

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

მნათმეცნიერების ინსტიტუტი

მ. სუსიშვილი

ბარლამაველი

გენები

ქართულში

სისტემისა და ისტორიის ზოგი საკითხი



თბილისი
„მეცნიერება“
1986

ნაშრომის პირველ ნაწილში მოკლედ მიმოხილულია სამეცნიერო ლიტერატურაში გარდამავლობის შესახებ არსებული თვალსაზრისები. შემდეგ მოცემულია ზმნისა და მასთან შეხამებული სახელების საფუძველზე წარმოქმნილი გარდამავალი კონსტრუქციის დახასიათება.

გარდამავლობა-გარდაუვალობა განხილულია „ეინ“ და „რა“ ჯგუფების სახელებთან მიმართების თვალსაზრისით. გაანალიზებულია უახლოესი (პირდაპირი) ობიექტის გამოტოვების შემთხვევები ძველი და ახალი ქართულის გარდამავალი ზმნის სინტაგმაში.

წარმოდგენილია ცდა დაიძებნოს გარდამავლობის მორფოლოგიური დახასიათებლები.

ნაშრომი განკუთვნილია ენათმეცნიერთა და ამ საკითხით დაინტერესებულ პირთათვის.

რედაქტორი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
თ. უთურგაიძე

რეცენზენტები ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატები:
ვ. შენგელია, მ. ტუსკია

I. გარდამავლობის რაოგისათვის

გარდამავლობის ტრადიციული სემანტიკური განსაზღვრა (და თვით ტერმინი: ლათ. *transitivus*, რუს. *переходный*, ქართ. გარდამავალი...) გულისხმობს, რომ ზმნით გამოხატული მოქმედება გადადის აგენსიდან (მოქმედიდან) პაციენსზე (სამოქმედოზე, რომელსაც „მიზანსაც“ ეძახიან).

კლასიკურ გრამატიკებში გარდამავლობა-გარდაუვლობის გარჩევას დიდ მნიშვნელობა ენიჭება. ამ ცნებით მუდმივად სარგებლობენ გრამატიკოსები და იმდენად ბუნებრივად თვლიან, რომ საუკროდ არც კი მიაჩნიათ მისი განსაზღვრა: შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ის (ე. ი. გარდამავლობა) თავისთავადაა ცხადი, სინამდვილეში არაფერი არ არის უფრო გაურკვეველი — წერდა ე. ვანდრიესი¹. ე. ვანდრიესი სათანადო არგუმენტებსაც გვაწვდის. მისი აზრით ხშირად განსხვავება გარდამავალ და გარდაუვალ კონსტრუქციებს შორის შემთხვევითია, მეორეული. ენის განვითარების პროცესში კონსტრუქციები იცვლებოდნენ, გარდაუვალი ზმნები გარდამავალნი ხდებოდნენ და პირიქით. მაგ., ძველ ბერძნულში ზმნა *παραινυειν* (არიგებს, *наставляет*) კლასიკურ ხანაში გარდამავალია, მაგრამ ეს ზმნა გარდაუვალი მნიშვნელობით გვაქვს „საქმე მოციქულთაში“: *παραινυειν* (27,22). ასევე, ლათ. *mederi* თავდაპირველად ბრალდებით ბრუნვას მართავდა: *mederi oculos* (лечить глаза), შემდგომ—მიცემით *mederi oculis*...² ე. ი. ერთი ენის სისტემის განვითარების ფარგლებში გარდამავლობის ცნება ცვალებადია; რომ გარდამავლობას ზმნის ლექსიკური შინაარსი, ზმნის ფუძის სემანტიკა არ განსაზღვრავს, ამას მოწმობს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ გარდამავლობის ცნება, გარდამავლობის შინაარსი სხვადასხვა ენებში ერთმანეთს არ ემთხვევა: ფრანგ. *jàide ma mère* (ზედმიწევნით: *помогаю мою мать*), *j suis mon père* (ზედმიწევნით: *следую моего отца*), გერმ. *ich helfe der Mutter* (я помогаю матери), *ich folge dem Vater* (я следую отцу),

¹ Ж. Вандриес, Язык, Лингвистическое введение в историю, пер. с французского, М., 1937, с. 106.

² Ж. Вандриес, Язык, с. 106.

რუს. благодарю вас—იმგვარია, როგორც ფრანგ. je vous remercie, გერმანულად კი გვაქვს ich danke Ihnen (ზედმიწვევით: благодарю вам) და სხვა³. აქ დასახელებულ ზმნათა ქართული ეკვივალენტები (ეხმარება, მიჰყვება, ჰმადლობს) გარდაუვლი ზმნებია.

გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა დახასიათება მხოლოდ სემანტიკის მიხედვით, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი გარდამავლობის, როგორც დამოუკიდებელი გრამატიკული ერთეულის, გამოსაყოფად; მაგრამ ანტიკურ გრამატიკაში, გრამატიკული აზროვნების განვითარების საწყის ეტაპზე, სწორედ გარდამავლობის სემანტიკური მნიშვნელობა იყო შემჩნეული და წამოწეული (ბერძნ. Μετα-βασιος, ლათ. transitivus⁴). ანტიკური ხანის გრამატიკისათვის ის სეირნობს დამთავრებული წინადადებაა, აზიანებს კი — არა, რადგან არ ჩანს, ვისაც აზიანებს⁵. წინადადების თეორია ანტიკურ გრამატიკებში უკავშირდება მსჯელობის თეორიას (არისტოტელე, პლატონი...); ამის შესაბამისად წინადადების თეორიაში სუბიექტისა და პრედიკატის ცნებაა განმსაზღვრელი⁶; ამიტომაც, აბსოლუტური ზმნა (სეირნობს) დამთავრებული, სრული წინადადებაა, გარდამავალი (აზიანებს) კი — უსრული.

გრამატიკაში სინტაქსურ ცნებათა შემოტანა სტოელების დამსახურებად ითვლება; მათ დამუშავებს პრედიკატის განმსაზღვრელი როლი გამოთქმაში (არისტოტელესათვის გამოთქმაში განმსაზღვრელია სახელური კომპონენტი, რომელიც ქვემდებარის როლში გვევლინება)⁷, ე. ი. სტოელთა გრამატიკაში სინტაქსი უფრო ლოგიკური დისციპლინაა, ვინემ გრამატიკული.

სტოელები გამოყოფენ წინადადების ოთხ ტიპს, რომლებიც განსხვავდებიან, ჯერ ერთი, იმის მიხედვით, თუ სუბიექტის რა გრამატიკულ კლასს მოითხოვს წინადადების პრედიკატი (პირდაპირი თუ ირიბი ბრუნვის ფორმას) და მეორე, სჭირდება პრედიკატს დამატება თუ არა (ე. ი. გარდამავალია თუ არა)⁸. წინადადების ძირითადი ტიპი

³ Ж. Вандриес, Язык, с. 106.

⁴ Ж. Марузо, Словарь лингвистических терминов, М., 1960.

⁵ Античные теории языка и стиля, М.-Л., 1936, с. 71—72.

⁶ В. В. Виноградов, Из истории изучения русского синтаксиса (от Ломоносова до Потебни и Фортунатова), М., 1958, с. 8-9.

⁷ И. М. Тронский, Учение о частях речи у Аристотеля, с. 28, История лингвистических учений. Древний мир, М., 1980, с. 198—199.

⁸ История лингвистических учений, ... с. 200.

სტოელი გრამატიკოსებისათვის არის გარდაუვალი ზმნით გადმოცემული შემასმენელი — შეთანხმებული ქვემდებარესთან⁹.

ტერმინი „ბრალდებითი“ ბრუნვა (αἰματιση πασσι) სტოელებს ეკუთვნის (აქედანაა ლათ. accusativus, რუს. винительный). თანამედროვე ენათმეცნიერებაში ერთ-ერთი ფრიად გავრცელებული შეხედულების მიხედვით, αἰματιση ეტიმოლოგიურად არის „მიზეზით გამოწვეული, შედეგი“. მოქმედების შედეგად წარმოქმნილი ობიექტის აღნიშვნა არ წარმოადგენს ბრალდებითი ბრუნვის ერთადერთ ფუნქციას, მაგრამ ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია კი ნამდვილად არის¹⁰. ბრალდებითი ბრუნვის ბერძნული ტერმინის ეტიმოლოგიის ამგვარ გახსნაში გარდამავლობის ცნების სინტაქსური მოაზრების ჩანასახი შეიძლება დაინახოთ.

ბუნებრივია, რომ, თუკი წინადადების განსაზღვრისას ყურადღების ცენტრში სუბიექტი და პრედიკატი იყო, გარდამავლობა, რომელიც თავისი არსით ობიექტს უკავშირდება, გრამატიკულად ვერ დახასიათდებოდა — ვერც სინტაქსურად და, მით უმეტეს, ვერც მორფოლოგიურად. თვით გვარის ცნებაც, რომელიც სუბიექტს უკავშირდება, ანტიკურ გრამატიკებში ჩამოყალიბებული არ არის (ინდოევროპულ ენებში კი გარდამავლობა თავისი სინტაქსითა და სემანტიკით ჩვეულებრივ გვართან დაკავშირებით განიხილება). გვარის განსაზღვრაში სტოელებიც კი ფუნქციურ-სემანტიკურ და ლოგიკურ-სინტაქსურ კრიტერიუმებს ემყარებოდნენ: „მოძღვრება გვარის შესახებ აქ ჯერ არა გვაქვს; ის მორფოლოგიურ კრიტერიუმთა საფუძველზე წარმოიქმნება, რომელსაც ძველი სტოა ჯერ გვერდს უვლის“¹¹.

ანტიკური ხანის შემდგომ გრამატიკებში გარდამავლობა განიხილებოდა გვართან კავშირში და ქვემდებარის მოქმედების ერთ-ერთ ნიუანსს გამოხატავდა. გარდამავლობაზე ყურადღება გამახვილებული იყო მედიუმისა და აქტივის ოპოზიციასთან დაკავშირებით; მედიალურ გვარში (Media tantum) პროცესი, მოქმედება, მდგომარეობა სუბიექტში, სუბიექტის სფეროში მიმდინარეობს, აქტივში კი სუბიექტის სფეროდან გამოდის...¹²

გარდამავლობა გვარის კატეგორიასთან მიმართებით განიხილებოდა ძველ რუსულ გრამატიკებშიც. გვარი ლექსიკურ-სემანტიკური კა-

⁹ სტოელების მოძღვრება წინადადების ოთხი ტიპის შესახებ გადმოცემულია ა მონიოსის კომენტარებში არისტოტელეს ტრაქტატის „მსჯელობისათვის“ შესახებ. იხ. Античные теории языка и стиля, с. 79.

¹⁰ История лингвистических учений, с. 196.

¹¹ И. М. Тронский, Основы стойческой грамматики, с. 306.

¹² K. Brugmann, Grundriß der Vergleichenden Grammatik der indogermanischen Sprachen. Laut-, Stammbildungs und Flexionslehre, 2. Aufl. 3, Straßburg, 1897—1916, გვ. 685.

ტეგორია იყო. ლექსიკურ-სემანტიკური დაყოფის ტრადიციული სქემა ითავსებდა ზმნის სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებათა ყველა სახეს. მ. ლომონოსოვის, ა. ვოსტოკოვის, ფ. ბუსლაევის და სხვათა გრამატიკებში 5—6 გვარის სახეობა აღინიშნება. ბუნებრივია, ეს კლასიფიკაცია აერთიანებდა სხვადასხვა გრამატიკულ მნიშვნელობას, მათ შორის—გარდამავლობასაც. მაგ.: მოქმედებითი გვარი გამოიყოფოდა ზმნური მოქმედების ობიექტზე გადასვლის ნიშნით, საშუალო—პირიქით—„გადაუსვლლობით“ (აქაც ჩანს აქტივისა და მედიუმის ოპოზიცია); გამოიყოფოდა გვარის სხვა მნიშვნელობებიც — ვნებითი, უკუქცევითი, საურთიერთო, ზოგადი...¹³ მაშასადამე, კლასიფიკაციის ამ ეტაპზე გვარის კატეგორია არ არსებობდა. იმდროინდელი რუსული გრამატიკული აზროვნების თვალსაზრისი გვარის შესახებ წარმოდგენილია ფ. ბროკჰაუზისა და ი. ეფრონის ენციკლოპედიურ ლექსიკონში. ს. ბულიჩისეულ განმარტებაში გვარი დახასიათებულია როგორც შემასმენლისა და ქვემდებარის ნაირგვარი ურთიერთობის გამომხატველი: მოქმედებითი გვარი გვიჩვენებს ქვემდებარის მოქმედებას, რომელიც სხვა საგანზე გადადის, ვნებითი — ქვემდებარის მოქმედებას, რომელსაც თვითონ განიცდის, საშუალო გვარი — ქვემდებარის მოქმედებას, რომელიც სხვა საგანზე არ გადადის და ა. შ.¹⁴

გარდამავლობას (გარდამავალ და გარდაუვალ გვარს) უკუქცევითობასთან კავშირში განიხილავდა ფ. ფორტუნატოვი. უკუქცევითობის ზოგად ფუნქციას ის გარდაუვალობაში ხედავდა: უკუქცევითობა გარდამავალ მნიშვნელობას გარდაუვალად აქცევს. -СЯ სუფიქსის დართვით წარმოშობით გარდამავალი ზმნა გარდაუვალი ხდება¹⁵.

ფორტუნატოვის კონცეფცია შემდგომში გააღრმავა და ჩამოაყალიბა რ. იაკობსონმა, უკუქცევითი და არაუკუქცევითი ზმნები, მისი თვალსაზრისით, ქმნიან ბინარულ პრივატულ ოპოზიციას, სადაც მარკირებული წევრი გარდაუვალობაზე მიგვითითებს, სუსტი წევრი კი ამ ნიშნის უქონლობით არის დახასიათებული¹⁶.

¹³ А. Востоков, Русская грамматика Александра Востокова, С.-Пб., 1859, с. 70.

¹⁴ Ф. Брокгауз, И. Эфрон, Энциклопедический словарь, т. XII, 1894. (საყურადღებოა, რომ ამ ლექსიკონში გარდამავლობა განმარტებული არ არის).

¹⁵ Ф. Ф. Фортунатов, О залогах русского глагола. «Известия от-деления русского языка и словестности Императорской Академии Наук», т. IV, кн. 4, 1899, с. 1153—1155.

¹⁶ R. Jakobson, Zur struktur des russischen Verbums, Charisteria Gulielmo Mathesio quinquagenario a discipulus et circuli linguistica pragensis sodalibus oblata, Praga, 1932, გვ. 77.

ფორტუნატოვ-იაკობსონის თეორიის მიხედვით გვარის საგანს რუსულში ზმნის ობიექტური მიმართებანი განსაზღვრავს¹⁷.

გარდამავლობის სინტაქსური განსაზღვრა მოცემული გვაქვს ა. პეშკოვსკის შრომებში. ძლიერი და სუსტი მართვა განსაზღვრავს რუსულში ზმნების დაყოფას გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებად. გარდამავალია ზმნები, რომელთაც რაღაც ზომით აქვთ ძლიერი მართვის უნარი, გარდაუვალ ზმნებს ძლიერი მართვის უნარი არ გააჩნიათ (жить, умирать, расти, чихать, кашлять, потеть და სხვ.), ე. ი. გარდამავლობის ცნება გულისხმობს ზმნის მკიდრო კავშირს მართულ ბრუნვასთან. იმისდა მიხედვით ზმნა წინდებულთ მართავს ბრუნვას თუ უწინდებულად, ა. პეშკოვსკი განარჩევს „შუალობით“ გარდამავალ ზმნებს და „უშუალო“ გარდამავალ ზმნებს (непосредственно-переходные и посредственно-переходные); როგორც ვხედავთ, ა. პეშკოვსკის გარდამავლობის ცნება ფართოდ ესმის, გარდამავლობა ზმნის მიერ სახელის ყოველგვარ მართვას მოიცავს¹⁸.

საინტერესოა, რომ ა. პეშკოვსკი საკუთრივ გარდამავლობასა და უკუქცევითობას განიხილავს როგორც ურთიერთშექცევად მოვლენას. უკუქცევითობა გულისხმობს გარკვეულ დამოკიდებულებას პროცესსა და მის წარმომქმნელს შორის. ეს დამოკიდებულება კი ხორციელდება იმ საგანთან კავშირით, რომელიც თავის თავზე განიცდის პროცესის მოქმედებას (ე. ი. ობიექტთან კავშირით).

აქედან გამომდინარე, რაც უფრო ნაკლებია კავშირი ობიექტთან (და მეტი სუბიექტთან), მით უფრო მეტია უკუქცევითობა და, პირიქით, რაც უფრო მეტია ობიექტთან კავშირი, უფრო მეტია გარდამავლობა. მაშასადამე, უკუქცევითობა და გარდამავლობა ერთი კატეგორიის ორი მხარეა, რომელთაც განსხვავებული გარეგნული გამოხატულება აქვთ. ერთისთვის ესაა სიტყვის ფორმა, მეორისათვის — სიტყვათაშეხამება. ამ სიტყვათაშეხამებაში (მიუხედავად გარდამავლობის ცნების ფართოდ გაგებისა) ბრალდებითი არის ის ბრუნვა, რომელზედაც უშუალოდ გადადის ზმნით გამოხატული მოქმედება¹⁹.

გარდამავალ ზმნას ბრალდებით ბრუნვასთან კავშირში განიხილავს ა. შახმატოვიც. ბრალდებითი ბრუნვა არის პირდაპირი დამატება. გარდამავალი ზმნები იმით განსხვავდებიან გარდაუვალთაგან, რომ აწარმოებენ ვნებითსა და ვნებით-უკუქცევით ფორმებს²⁰.

¹⁷ Б. Ю. Норман, Переходность, залог, возвратность (на материале болгарского и других славянских языков), Минск, 1972, с. 34.

¹⁸ А. М. Пешковский, Русский синтаксис в научном освещении, М., 1935, с. 259—261.

¹⁹ А. М. Пешковский, იქვე.

²⁰ А. А. Шахматов, Синтаксис русского языка, Л., 1941, с. 326.

გარდამავლობის სინტაქსურ-სემანტიკური დახასიათება რუსულში ზოგ მკვლევარს საკმარისად არ მიაჩნია; მორფოლოგიურ შესაძლებლობათა გათვალისწინება გარდამავლობის აღწერისას აუცილებლად არის მიჩნეული²¹. გარდამავალ ზმნებს (ისევე, როგორც გარდაუევლებს) ჩვეულებრივ მორფოლოგიური ნიშანი არ გააჩნიათ. თუმცა ზმნური სიტყვაწარმოების ზოგი ტიპი გარდამავლობის მაჩვენებლად გვევლინება²².

რუსული ენის გრამატიკაში (1960 წ.) ობიექტთან მიმართების თვალსაზრისით, ე. ი. ბრუნვასთან კავშირის მიხედვით, ზმნები ორ ჯგუფად ნაწილდება: გარდამავლებად და გარდაუევლებად. გარდამავალი და გარდაუევალი ზმნები განისაზღვრება ბრალდებით ბრუნვასთან პირდაპირი დამატების შეთანხმებით, ე. ი. სინტაქსურად (პირდაპირი დამატების გამოხატვა ბრალდებითი ბრუნვის ყველაზე ზოგადი და ძირითადი ფუნქცია). სინტაქსური თავისებურებანი კი დაკავშირებულია ლექსიკურ მნიშვნელობასთან და, ნაწილობრივ, მორფოლოგიურ აგებულებასთან.

გარდამავალ და გარდაუევალ ზმნათა განსხვავება არის გვარის წარმოქმნის პირობა. მხოლოდ გარდამავალი ზმნისაგან იწარმოება გვარის ფორმები. მხოლოდ გარდამავალ ზმნებს აქვთ უნარი გამოხატონ ცვლილება მოქმედების „მწარმოებელსა“ და მოქმედების ობიექტს შორის ამ ზმნათა ფორმის შეცვლით²³.

რუსული გრამატიკული აზრის განვითარების ისტორია გარდამავლობის ცნების დაზუსტების საკითხში გარკვევით წარმოაჩენს გვარის კატეგორიისაგან გარდამავლობის გამოიჭენის ცდებს, მაგრამ ეს ცდები ყოველთვის დამაკმაყოფილებელი არ არის. მაგ.: ა. სმირნიცკის მიაჩნია, რომ გვარი და გარდამავლობა სხვადასხვა ასპექტში უნდა იქნეს განხილული, რადგან გვარის გრამატიკული კატეგორია ერთი დამიხვე სიტყვის ფარგლებში გამოხატულ ფორმათა დაპირისპირებაა ლათ. *amat* და *amatur*), გარდამავლობა კი ლექსიკურ-გრამატიკულ კატეგორიას წარმოადგენს (*incendere* «зажигать, жечь, сжигать», *flagrare* «гореть»), გრამატიკული და ლექსიკურ-გრამატიკული კატეგორიების გამოიჭენა აგვაცილებს ზოგ გაუგებრობას, გარდამავლობისა და გვარის დახასიათებაში რომ შეღავნდება; მაგ.: როგორ უნდა შევეთანხმოთ ერთმანეთს შემდეგი დებულებანი: გარდამავალი ზმნა მოქმედებითი

²¹ В. В. Виноградов, Русский язык. Грамматическое учение о слове, Л., 1947, с. 641.

²² Д. Е. Розенталь, М. А. Теленкова, Справочник лингвистических терминов, М., 1972, с. 253.

²³ Грамматика русского языка, I, Фонетика и морфология, с. 410—412; II, ч. I, М., 1960, с. 113.

გვარის ზმნაა და, ამავე დროს, გარდამავალი ზმნა სამ გვარად იყოფა, თუ სამი გვარის მიხედვით იცვლება?...²⁴

რუსულსა და სლავურ ენათა უმეტესობაში გარდამავლობა ხასიათდება როგორც სინტაქსურ-ლექსიკური კატეგორია²⁵. თუმცა გარდამავლობა გრამატიკის სხვადასხვა სფეროთა მიჯნაზე დგას, მისი აღწერა მორფოლოგიური შესაძლებლობებით მიზანშეწონილად არ არის მიჩნეული. გარდამავლობის კატეგორიას რუსულში არა აქვს ფორმალურ-მორფოლოგიური გამოხატულება. მორფოლოგიური სტრუქტურა რუსული (და სლავური) ზმნისა ვერ მოგვეცემს წარმოდგენას გარდამავლობის კატეგორიის შესახებ²⁶, გარდამავლობის საკითხი არ არის საკუთრივ მორფოლოგიური საკითხი²⁷.

გარდამავლობის მორფოლოგიური სტატუსის უარყოფის მიღმა კი აღნიშნულია, რომ მაკედონურში გარდამავლობა მორფოლოგიურ-სინტაქსური კატეგორიის სახეს იღებს. აქ სინტაქსური ობიექტი აუცილებლად დუბლირებულია ზმნის მორფოლოგიაში, ამასთან, ლექსიკურ-სემანტიკური შეზღუდვები იხსნება და თეორიულად ყველა ზმნას (გარდაუვალსაც) უჩნდება პირდაპირი ობიექტის მართვის უნარი²⁸.

გარდამავლობის ცნების ჩამოყალიბების ეს მოკლე მიმოხილვა (ძირითადად რუსული გრამატიკული ლიტერატურის მიხედვით) ასე თუ ისე წარმოაჩენს გარდამავლობის გაგება-დახასიათების ნაირგვარობას სხვა ინდოევროპულ ენათა გრამატიკებშიც. როგორც ვნახეთ, განსხვავებულია გარდამავლობის კვალიფიკაცია: ლექსიკურ-სემანტიკური, სინტაქსურ-ლექსიკური, სინტაქსურ-მორფოლოგიური, ან, საერთოდ, სათუთა გარდამავლობის გრამატიკულ კატეგორიად მიჩნევა.

გარდამავლობის შინაარსი ორ გაგებას ითავსებს: ფართოს (პირდაპირი და ირიბი გარდამავლობა) და ვიწროს (მხოლოდ პირდაპირი გარდამავლობის ზმნები) ეს განსხვავებული თვალსაზრისები გარდამავლობის სემანტიკური და სინტაქსური ასპექტების შეუგუებლობას ასანავს. ამასთან დაკავშირებით ე. ვანდრიესი წერდა: „უმჯობესი იქნებოდა თუ

²⁴ А. М. Смирницкий, Лексическое и грамматическое условие в слове. — в кн.: Вопросы грамматического строя, М., 1955, с. 47—48; А. В. Исаченко, Грамматический строй русского языка в сопоставлении со словацким, часть II, Морфология, Братислава, 1960, с. 354.

²⁵ ზოგიერთი სლავური ენის გრამატიკაში, მაგ.: ჩეხურში, გარდამავლობა საერთოდ არ განიხილება, იხ.: Б. Ю. Норман, Переходность, залог, возвратность (на материале болгарских и славянских языков), Минск, 1972, с. 4.

²⁶ Б. Ю. Норман, ..., с. 15—16.

²⁷ Морфологические категории современного русского языка, М., 1981, с. 241.

²⁸ Б. Ю. Норман, დასახ. ნაშრ., გვ. 15.

გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებს შემდეგნაირად დავაპირისპირებდით: რადგან გარდამავლობა ვარაუდობს დამატებას, გარდამავლად შეგვეძლო ჩაგვეთვალა ყველა ზმნა, რომლის მოქმედებასაც ფრაზაში გამოხატული ობიექტი გააჩნია, გარდაუვლად კი ყველა ზმნა დამატების გარეშე, რადგან დამატების გარეშე ნახშირი ყველა ზმნა გარდაუვალია²⁹. მაგრამ ამგვარი ოპოზიცია, რომელიც ნამდვილად ლოგიკური ჩანს, ავტორისავე აზრით, ლოგიკურ წინააღმდეგობებს შეიცავს.

გარდამავლობის ვიწრო გავებით (საკუთრივ გარდამავალი ზმნები, პირდაპირ გარდამავალი ზმნები) დამატება (პირდაპირი) ბრალდებით ბრუნვაში დგას. ცალკეული ენების მიხედვით აქაც გარკვეული თავისებურებანი გვაქვს: რიგ ენაში პირდაპირი დამატების ბრუნვა მონოვალენტურია, ის ბრალდებითი ბრუნვაა. სხვაგან პირდაპირ დამატებას ორი ბრუნვა შეიძლება შეეწყოს — ბრალდებითი და ნათესაობითი (თუმცა, გარკვეული შეზღუდვებით, მაგ., რუსულში).

პირდაპირი გარდამავალი ზმნების დახასიათების ღროსაც აშკარად ჩანს გარდამავლობის ლექსიკურ-სემანტიკური განსაზღვრის, ტერმინის „შეუფერებლობა“. ჭერ კიდეც ა. პეშკოვსკი აღნიშნავდა, რომ ტერმინი „გარდამავალი“ ზედმიწევნით მხოლოდ იმ შემთხვევებისათვის გამოდგება, სადაც საგანზე ფიზიკური ზემოქმედებაა ასახული (ც ე მ ა, ა დ ე ბ ა... წ ა ყ ვ ა ნ ა), მაგრამ უკეთესი განსაზღვრა ამ ჭგუფის ზმნებისა არ არსებობს და არცაა საჭირო. აქ საქმე გვაქვს გრამატიკასთან, სახესთან, ხატთან. როგორც чернота — არის სახეობრივი საგანი, белеет — სახეობრივი მოქმედება, кусаться — სახეობრივი უკუქცევითობა, скажет — სახეობრივი მეყსეულობა და ა. შ. ასევე, я знаю арифметику, я люблю отца, я утоляю жажду... გამოხატავს სახეობრივ გადასვლას მოქმედების საგანზე, ეს საგანიც, სხვათა შორის, ზშირად სახეობრივია (арифметику. жажду...), და ის, რითაც ემსგავსებიან ერთმანეთს სიტყვათშეხამებანი: я бью собаку და я люблю отца, წარმოადგენს „გარდამავლობის“ მნიშვნელობას და სხვას არაფერს³⁰.

სინტაქსურად გარდამავალ ზმნებს I hear You «я слышу вас», I love You «я люблю вас» არ მიესადაგება გარდამავლობის სემანტიკური განსაზღვრა. ჯ. ლაიონზს მიზანშეწონილად მიაჩნია ამგვარ შემთხვევებში „ფორმალურ“ და „ცნებით“ კატეგორიათა გამიჯვნა. იმისთვის, რომ ზმნათა მთელი კლასი გარდამავლებში ჩაერიცხოს, საკმარისია სემანტიკური ან „ცნებითი“ განსაზღვრა ორადგილიან ზმნათა უმეტესობას მიესადაგებოდეს. ამიტომ, თუმცა სინტაქსური თვალსაზ-

²⁹ Ж. Вандриес, Язык, с. 107.

³⁰ А. М. Пешковский, Русский синтаксис в научном освещении, с. 261—262.

რისით გარდამავალ ზმნათა კლასში ბევრი ისეთი ზმნა ერთიანდება, რომელთა სამოქმედო ობიექტი აშკარად გამოკვეთილი არ არის, მაინც სამართლიანი გვეჩვენება მტკიცება, რომ გარდამავლობის ტრადიციული „ცნებითი“ ახსნა მიესადაგება სინტაქსური (ფორმალური) თვალსაზრისით გარდამავალ ზმნათა უმეტესობას³¹.

ეს საკითხები ქართული ენის გარდამავალი ზმნის დახასიათების დროსაც იჩენს თავს. ტერმინი „გარდამავალი“ მთელ რიგ შემთხვევაში არ შეესაბამება რეალურ ვითარებას; მაგ., თუ ტ ე ხ ს, ხ ე ვ ს, წ ე რ ს, ხ ა ტ ა ვ ს, ა შ ე ნ ე ბ ს, ა ნ გ რ ე ე ს, ა რ წ ე ე ს, ა რ ხ ე ვ ს, ა რ ყ ე ე ს, გ რ ე ხ ს, ხ ლ ე ჩ ს, ხ ე თ ქ ს... ზმნებში მოქმედების „გადასვლა“ აშკარად ჩანს (ზმნების სემანტიკა ფიზიკურ ზემოქმედებას გამოხატავს). სხვაგან ის არაა ხელშესახები: ა ბ ა კ უ ნ ე ბ ს, ა დ რ ო ვ ე ბ ს, ა გ ვ ი ა ნ ე ბ ს, ა ნ ა დ ვ ლ ე ბ ს...

გარდამავლობის სემანტიკის თვალსაზრისით ქართული ზმნების შესწავლა მომავლის საქმეა და ალბათ ბევრ საინტერესოს გამოავლენს.

³¹ Дж. Лайонз, Введение в теоретическую лингвистику, М., 1978, с. 371—372.

II. ბარდაგავლობის საკითხი ქართული ენის პრაქტიკულ გრამატიკაში

ა) ბარდაგავლობის სემანტიკური რაობისათვის

დიმ. ყიფიანი წერდა: „ქართული ზმნების უინჯვას რომ დალაგებით დავადგეთ, ჯერ ის უნდა წარმოვადგინოთ, რასაც ჩვენი ძველი გრამატიკოსები გვასწავლიდნენ“¹. ვფიქრობთ, რომ გარდამავლობის შესახებ არსებული თვალსაზრისები ჩვენი ძველი გრამატიკოსებისა დაგვეხმარება ამ მოვლენის შემდგომ კვლევაში.

ქართული ენის პირველ გრამატიკებში გარდამავლობა არ არის დახასიათებული და გამოყოფილი. გარდამავლობა სხვა ენობრივ ერთეულებთანაა გაიგივებული და გარდამავლობის შინაარსი — მოქმედება გადადის სხვა საგანზე — სხვა მოვლენას მიეწერება; ერთმანეთისაგან არ არის გამოცალკევებული გვარი, რელატიურობა, გარდამავლობა და სხვა გრამატიკული მოვლენები. ასეა ანტონის გრამატიკაში და ტრადიციით — მომდევნო გრამატიკებშიც.

გარდამავლობის სემანტიკური მახასიათებელი გამოკრთება ანტონის გრამატიკაში ზმნის გვარის (ანტონის ტერმინით „ნათესავი“) დახასიათებისას: „შემოქმედებითი ზმნა პირველ-სახე თვისა საქმესა სხვისა მიმართ დაჰნიშნავს და სხმით-გარდასლვით, არა თუ თვისა მართოდ, არამედ თვისგან სხვისასა სხვსადმი“...² ანტონის განმარტებით, საშუალო („უმეშეობითი“) გვარის ზმნები არც მოქმედებითება და არც ვნებითები; ისეთ მოქმედებას აღნიშნავენ, რომელსაც შედეგად ვნება არ მოჰყვება: „რომელნიმე ითქმიან უმეშუჴობითაჲ, ამად რომელ, არა ჰშობს გუარაი იგი არცა მოქმედებასა ესე გუარსა, რომელსა სდეგს ვნებაჲ და არცაჲ ვნებასა სხვისაგან არსებისა და ანუ სხვისაგან.

¹ დიმ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამატიკა, ტფ., 1882, გვ. 65.

² ქართული გრამატიკა, შედგენილი ანტონი I-ის მიერ, თბ., 1885, გვ. 38; ე. ბაბუნაშვილი, ანტონ I და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970, გვ. 129.

გუამისა...³ „შემოქმედებითი“ გვარის განსაზღვრა ანტონის გრამატიკაში მოქმედება-ვნებულობის თვალსაზრისით ზმნის გარდამავლობის დახასიათებაა, მაგრამ, რამდენადაც „შემოქმედებითს“ უპირისპირდება ვნებითი და „უმეშვეობითი“ ზმნები, როგორც სემანტიკურად, ასევე წარმოების პრინციპების მიხედვითაც — „შემოქმედებითი“ ზმნები მოქმედებითი გვარის გაგებასაც შეიცავენ.

გარდამავლობის სემანტიკური დახასიათება გვაქვს გაიოზის გრამატიკაშიც (1789) „შემოქმედებითი“ ზმნის განმარტებისას: „რამეთუ ყოველი ზმნა, ოდესცა ჰნიშნავს მოქმედებასა რამასამე ვნებულთურთ, ესე იგი არს ნამოქმედებით, იწოდების შემოქმედებითად; მაგალ.: ვჰსწერ, ვსჯრი და სხუანი. რამეთუ ოდეს გაიგონეთ ჯმასა ამას ვჰსჯრი, მყისუჴ წარმოვიდგენ გონებასა შინა, ვითარმედ მეტყუელი ამისი მოქმედებს ჰრასა და ჰსჯრის რამასამე, სადაცა ცხად-იქმნების მოქმედება ჰრისა გაჰკრილთურთ, ესე იგი არს ვნებულთურთ, ანუ ნამოქმედებით“⁴.

ასეა განმარტებული მოქმედებითი ზმნა ს. დოდაშვილის მოკლე გრამატიკაში: „მოქმედებითი ზმნა არის იგი, რომელიცა აღნიშნავს მოქმედებასა სხუასა საგანსა ზედა გარდასრულსა, მაგ.: მოწაფე ეთხულობს წიგნს, მზე ატფობს ქუეყანასა, ცოდჴამან დასაჯა პირველი კაცი“...⁵

შემოქმედებითი (მოქმედებითი) ზმნის ანალოგიური განმარტება აქვს მოცემული პლ. იოსელიანს, ი. ქართველიშვილს⁶.

დ. ჩუბინაშვილი „მოკლე გრამატიკაში“ შემოქმედებით ზმნებს ასახელებს განმარტების გარეშე: ვჰსწერ წიგნსა..., ვაშენებ სახლსა..., ვზომავ მაუდსა...⁷. დ. ჩუბინაშვილის 1887 წ. გრამატიკა საყურადღებოა გარდამავლობის გაგების თვალსაზრისითაც; მნიშვნელობის მიხედვით ზმნათა ორი ჯგუფი გამოიყოფა, მოქმედებითებად ჩაითვლებიან ზმნები, „რომელნიცა დანიშნვენ მოქმედებასა გადასვლით სხვას საგანზედ ან სიტყვაზედ, მაგ.: გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეესწრება მცნებასა. ამ წინადადებაში გიჟი არის უფალი სიტყვა, მიუშვი მოქმედება, რომელიც გადავა სიტყვაზედ ნებასა. გვარიანი ცხენი

³ ქართული ლრამატიკა, შედგენილი ანტონი I-ის მიერ, გვ. 158.

⁴ გაიოზ რექტორი, ქართული ლრამატიკა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ელენე ნიკოლაიშვილმა, თბ., 1970, გვ. 67.

⁵ ს. დოდაშვილი, შემოკლებული ქართული ლრამატიკა, ტფ., 1830, გვ. 20.

⁶ პლ. იოსელიანი, პირუელ-დაწყებითი კანონი ქართულისა ლრამატიკისა, ტფ., 1840, გვ. 39; ი. ქართველიშვილი, ქართული ლრამატიკა.

⁷ Д. Чубинов, Краткая грузинская грамматика, С.-Пб., 1855, с. 13.

მათრახს არ იკრავს: აქ ცხენი არის უფალი სიტყვა, იკრავს მოქმედება, რომელიც გადავა სიტყვაზედ-მათრახსა*.

უმეშვეობითი, მოქმედებითის საპირისპიროდ, ასეა განმარტებული: „...რომელიც დანიშნავს მოქმედებას ან მდგომარეობასა გადაუვლად სხვას საგანზედ ან სიტყვაზედ, მაგალ.: ბუზი ბევრი ჰბზუვის, ფუტკართან ყველა ჰსტყუვის. აქ ბუზი არის უფალი სიტყვა, რომლისაც მოქმედება ჰბზუვის არ გადავა სხვას საგანზედ...“⁸

დ. ჩუბინაშვილის გრამატიკაში მნიშვნელობის მიხედვით დაჯგუფებული მოქმედებითი და უმეშვეობითი ზმნები გარდამავალი და გარდაუვალი ზმნებია — მოქმედება გადადის, ან არ გადადის სხვა საგანზე. ეს ორი ჯგუფი ძირითადია და ამოსავალი სხვა გრამატიკული კატეგორიებისათვის (კაუზატივი, ვნებითები, ქცევის ფორმები და ა. შ.). შდრ.:
„თვითოეული მოქმედებითის ან უმეშვეობითის ზმნისაგან ჰსწარმოებენ:

ა) სხმით-გარდასვლითნი, რომელნიც დანიშნენ მოქმედებასა სხვა პირის საშუალებითა. მაგალ.: ვაწერინებ, ვაშენებინებ, ვათლევინებ, დავარჩევინებ, ან: ვაბზუვებინებ, ვაყვირებინებ; ან: ვაბზუვებ, ვალაპარაკებ, ვაყვირებ, ვაბდავლებ.

ბ) მრჩობლ-სხმით-გარდასვლითნი დანიშნენ მოქმედებასა, წარმოებულსა საშუალობითა მეორეს პირისა მესამეს პირისაგან. მაგალ.: ვაწერინებინებ, ვაშენებინებინებ, დავარჩევინებინებ, ვაბზუვებინებინებ.

გ) ვნებითნი ზმნანი, რომელშიაც მოქმედნი პირნი არ მოქმედებენ, არამედ მოქმედებას მიიღებენ სხვათა მოქმედთა პირთაგან. მაგალ.: ვჰსწერ, ვაშენებ, ითქმის საზოგადოდ, გარნა ვნებითად: ვიწერები, ვიწერვი, ვიშენები; ანდაზები: ზღვა კოვზით არ დაილევია, ქადა ორის ხელით იჰმება, თივაში ცეცხლი არ დაიმალებია. აგრეთვე ვნებითნი არიან: დავრჩობილვარ, ვჰდირსვარ, ვჰქუხვარ, ვჰსწერივარ.

დ) ვნებით დაწყებითნი, რომელთაცა მოქმედება დანიშნავს დაწყებასა, მაგალ.: ვჰშენდები, შევაწერდები, ვჰმართლდები, გამოვსჩნდები, ვჰსდნები, ვჰსტყდები, ვჰსძლები.

⁸ დ. ჩუბინაშვილი, ქართული ლრამატიკა, სანკტპეტერბურგი, 1887, გვ. XII.

ე) თვით ვნებიანი ზმნანი დანიშნენ მოქმედებასა, რომელიც მოქცევის თვით მომქმედსა პირზედა. მაგალ. საზოგადოლ: ვჰს წე რ, თვითვნებითად ვეწერებ ი, ვაშენებ, ვეშენებ ი, ვამზადებ, ვემზადებ ი. ანდაზა: ერთ ადგილას თუ ვირი ტალახჩი ჩაეფლა, მეორედ თუნდა მოჰკლა, იქ აღარ გაივლის...“

ვ) ზმნანი მიჩემებითნი... ესაა საქცეო ფორმები, აქ შემოდის როგორც ნეიტრალური, ასევე სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმები, გარდაუვალიც და გარდამავალიც. აქვე, მიჩემებით ზმნებში, განიხილება ობიექტური წყობის ფორმები: მწერ, მწერს... მაწერ, მაწერს... მყეფ, მყეფს...

აქვე განიხილება აგრეთვე მიჩემებითად წარმოდგენილი კაუზატიური და ვნებითის ფორმებიც: ვიწერინებ, ვიშენებინებ... მაწერინებ... მაშენებინებ... ვიწერინები და სხვ⁹.

ღ. ჩუბინაშვილის მიერ შემუშავებული კლასიფიკაცია ერთ-ერთი საინტერესო და სისტემური კლასიფიკაციაა ქართული ზმნისა — ძირითად საკლასიფიკაციო ერთეულად აღებული მოქმედებითი და უშეშვეობითი ზმნები აქპირველადი, მარტივი ფუძის გარდამავალი და გარდაუვალი ზმნებია და ეს ერთეულები ამოსავალია ყველა სხვა გრამატიკული კატეგორიისათვის (ვნებითი მოქმედებითისაგან იწარმოება, სხმით-გარდასვლითი მოქმედებითისაგანაც და უმეშვეობითისაგანაც და ა. შ.).

თ. ჟორდანია ორგვარ მოქმედებას განარჩევს: 1) სხვა საგანზე გარდასული, მაგ. „ცეცხლი განლევს ცკლსა და შური გულსა“... — აქ მოქმედება ცეცხლისა გარდავიდა ცკლზე, შურისა — გულზე... 2) არა გარდამსვლელი სხვა საგანზე — მაგ.: დედა ხუმრობს, იცინის, ბავშვი დარბის, ცელქობს; აქ აღნიშნულია თვით-მოქმედება დედისა და ბავშვისა; მოქმედება მათი სხვა საგანზე არ გადადის¹⁰. გრამატიკოსი მოქმედების ზმნებში ამ განსაზღვრის შესაბამისად გამოყოფს „შემოქმედებით“ და „თვით-მოქმედებით“ ზმნებს.

ცხადია, რომ შემოქმედებითი ზმნები გარდამავალი ზმნებია, თვით-მოქმედებითი — გარდაუვალი, მაგრამ ისეთი გარდაუვალი ზმნები, რომლებიც „მოქმედებას“ გამოხატავენ: მოძრაობის (ვღგებ, ვტრიალებ, მივდივარ), ხმაურის (ვკისკასებ, ვხარ-

⁹ ღ. ჩუბინაშვილი, ქართული ლამბატიკა, § 21, გვ. XII—XIII.

¹⁰ თ. ჟორდანია, ქართული გრამატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი), ტფ., 1889, გვ. 50.

ზარებ, წივის, შრიალეხ...) — გამომხატველი ზმნები. თვით-მოქმედებით ზმნებში განიხილება რელატიური ვნებითებიც (აბსოლუტური ვნებითები გრამატიკოსის თვალსაზრისით მოქმედებას არ გამოხატავენ).

მოქმედების ზმნებს უპირისპირდება მდგომარეობითი ზმნები: ვარ, ვზივარ, მწყინს, მინთია (ცეცხლი), ჰყვავის (ვარდი); მდგომარეობით ზმნებში განიხილება აბსოლუტური ვნებითისა და სუფიქსიანი ვნებითის ფორმები (ამ უკანასკნელს გრამატიკოსი „უქუქცევით სახეს“ უწოდებს).

კუთვნილებითი ფორმები ყველა ზმნისათვის საერთოაო — შენიშნავს თ. ჟორდანია.

თ. ჟორდანია ქართულ ზმნებს აჯგუფებს აქტიურ და არააქტიურ ზმნებად. მოქმედების სხვა საგანზე. გადასვლა-გადაუსვლელობის თვალსაზრისით მხოლოდ აქტიური, მოქმედების აღმნიშვნელი ზმნები ხასიათდება.

მ. ჯანაშვილი ზმნის გვარში, დარგში (genera) განასხვავებს: ა) მოქმედება-გარდამავალ (Verba transitiva), ბ) მოქმედება-გარდაუსვალ (Verba intransitiva) და გ) ვნებითი ზმნის მაგვარ Verba deponentia-ს¹¹. ტერმინი გარდამავალი, გარდაუსვალ აქ პირველად არის ნახმარი.

მოქმედება-გარდამავალ ზმნებში ორი სახეა გამოყოფილი: მოქმედებითი (activum) და ვნებითი (passivum). ორივე სახე მოქმედების გადასვლას გვიჩვენებს, ოღონდ პირველ შემთხვევაში ქვემდებარე მოქმედებს სხვა საგანზე, მეორე შემთხვევაში კი — მოქმედების ობიექტი ქვემდებარე ხდება.

„მოქმედებითი დარგის ზმნა გვიჩვენებს, რომ ქვემდებარის მოქმედება გადადის სხვა საგანზე, — დამატებაზე, რომელიც დაისმის ანუ სახელობით ბრუნვაში და ანუ მიცემითში.“

ვნებითი დარგის ზმნა გვიჩვენებს, რომ ქვემდებარეზე გადმოდის რომელიმე მოქმედება, მაგ.: წერილი იწერების სუფთად; ბეჭითი მოწაფე ქებულია ყველასაგან¹². აქვე აღწერილია ის სინტაქსური მექანიზმი, რაც მოქმედებითი ზმნის ვნებითად გადაქცევის ახლავს.

¹¹ მ. ჯანაშვილი, ქართული გრამატიკა, ტფ., 1906, გვ. 51 და შემდეგ.

¹² უნდა აღინიშნოს, რომ ვნებითის ფორმებში მ. ჯანაშვილი ასახელებს როგორც სინთეტურ, ასევე ანალიზურ წარმოებებს: მამამ შეიყვარა შეილი — მამის მიერ შეყვარებულია შეილი; მამა შეიყვარებს შეილს — მამის მიერ შეყვარების შეილი...

მოქმედებით-გარდაუვალი ზმნები საშუალო გვარის (უმეშვეობითი) ზმნებია, რომლებიც გვიჩვენებენ „რომ ქვემდებარის მოქმედება სხვა საგანზე არ გადადის. მაგ.: ყმაწვილი ზის, ვარლი ყვავის და ფშვის, მამა მოღის, ყმაწვილები სხედაან“¹³.

ენებითისმაგვარ ზმნებს, დებონენებს „სახე აქვთ ვნებითი ზმნის, ხოლო მნიშვნელობა მოქმედებითი ანუ უმეშვეობითი“ (ამ განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, რომ გარდამავლობის თვალსაზრისით ისინი შეიძლება გარდამავლებიც იყვნენ და გარდაუვალებიც).

მ. ჯანაშვილის ნააზრევში თავისებურია ვნებითი გვარის ფორმათა გარდამავლად გააზრიანება. აქ გარდამავლობა უფრო ფართოდაა გაგებული და გრამატიკული ქვემდებარის მოქმედებას კი არ უკავშირდება, არამედ ლოგიკური ქვემდებარისას.

მ. ჯანაშვილის მოქმედებით-გარდამავალი ზმნების განმარტების დახსენებას წარმოადგენს მოქმედებითი გვარის ზმნის დახასიათება ს. ხუნდაძის „ქართულ გრამატიკაში“: „მოქმედებითი გვარის ზმნა გვიჩვენებს, რომ სასაუბრო საგანი თვით მოქმედობს და ეს მოქმედება სხვა საგანზე პირდაპირ გადადის“¹⁴. გარდამავლობა გრამატიკულ ქვემდებარეს (მოქმედს) დაუკავშირდა და ამით ვნებითი გვარის ფორმების გარდამავლად გააზრიანება გამოირიცხა: შდრ.: წიგნი იკითხვის ბავშვისაგან — იკითხვის ვნებითი გვარის ზმნა გვიჩვენებს, რომ მთავარი საგანი (წიგნი) თვით კი არ მოქმედებს, არამედ გარეშე საგანი (ბავშვი) — მოქმედებს მასზე¹⁵.

ამ მნიშვნელოვან კორექტივს გარდამავლობის განსაზღვრაში ყოველთვის არ ითვალისწინებენ. მაგ., ი. ნიკოლაიშვილი ერთ-ერთ ადრინდელ გრამატიკაში აბსოლუტურ ვნებითს ახასიათებს როგორც ცალმაგად გარდამავალს (იწერება, იმალება...)¹⁶, სხვა ადგილას გრამატიკოსი მსჯელობს მოქმედებითი გვარის ცალმაგი და ორმაგი გარდამავლობის შესახებ. ცალმაგად მიჩნეულია გარდამავალი ზმნა, რომელსაც ერთი დამატება ახლავს (ბავშვი წერს წერილს), ორმაგად გარდამავალ ზმნებს ორი დამატება აქვს. ყურადღებას იქცევს ი. ნიკოლაიშვილის მიერ შემოთავაზებული გარდამავლობის შემდეგი განმარტება: „გარდამავალი ზმნა აღნიშნავს ქვემდებარის მოქმედების ურთიერთობას დამატებასთან (ობიექტთან), დამატება კი თავის მხრივ

¹³ მ. ჯანაშვილი, ქართული გრამატიკა. გვ. 52.

¹⁴ სილ. ხუნდაძე, ქართული გრამატიკა, ქუთაისი, (II გამოცემა), გვ. 56.

¹⁵ სილ. ხუნდაძე, ქართული გრამატიკა პირველდაწყებითი შკოლებისათვის (მეხუთე შესწორებული და შეგვხვებული გამოცემა); ქუთაისი, 1920, გვ. 23.

¹⁶ ი. ნიკოლაიშვილი, ქართული ენის მოკლე გრამატიკა (მეოთხე შესწორებული გამოცემა), თბ. 1919.

გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ქვემდებარის მოქმედების შესახებ¹⁷ (ქვემდებარისა და დამატების ბრუნვებს გრამატიკოსი იქვე ახასიათებს). ჩვენ უურადლებას ამ განსაზღვრაში მიიქცევს „ქვემდებარის მოქმედების ურთიერთობა დამატებასთან“. ქვემდებარის მოქმედება კი არ გადადის დამატებაზე, არამედ რაღაც განსაზღვრული ურთიერთობა აქვს დამატებასთან. „ურთიერთობა“ უფრო ნეიტრალურად ასახავს იმ ვითარებას, რაც გარდამავალი ზმნის ქვემდებარე-დამატების მიმართებაში გამოვლინდება. მართალია, გარდამავალი ზმნის ერთი რიგის შესიტყვებებში, როგორცაა „ტკივილი იგრძნო“, „თავი მოივადმყოფა“, „ძალა მოიკრიბა“, „სახე შეიკმულხნა“... ყოველთვის არ ჩანს, რომ ქვემდებარის მოქმედება „გადადის“ დამატებაზე, მაგრამ ზემოთ მოყვანილი განმარტების მიხედვით გარდამავლობის ცნება ესადაგება გარდაუვალ-რელატიურ ზმნებსაც. ამგვარი თვალსაზრისი გატარებულია დ. კარიჭაშვილის „ქართული ენის გრამატიკაში“.

დ. კარიჭაშვილი განასხვავებს გვარსა და გარდამავლობას¹⁸. გრამატიკოსი ზმნის სამ გვარს გამოყოფს („თავიანთი თვისების მიხედვით“): მოქმედებითს, ვნებითს და ყოფა-მდგომარეობითს; იძლევა მათ სემანტიკურ დახასიათებას: მოქმედებითი ზმნები „საგნის მოქმედებას, საქმიანობას აღნიშნავენ“ — ამ განმარტების მიხედვით მოქმედებითი გვარის ზმნებში ექცევა, როგორც საკუთრივ მოქმედებითი გვარის (ვწერ, ვხნავ), ასევე საშუალო გვარის (= „მედიაქტიური“) ზმნებიც (ვიბრძვი, ვშფოთავ, ველავ). ვნებითი გვარი აღნიშნავს „იმ მდგომარეობას, რომელშიც იგი ჩაყენებულია გარეშე მიზეზით, ან იმ მოქმედებას, რომელსაც ის განიცდის“. დამოწმებული მაგალითებიდან თითქოს ისე ჩანს, რომ „მდგომარეობის“ შინაარსი აბსოლუტურ ვნებითებს მიეწერება: ვიწერები, ვიქრები, ვიდაგვი, ხოლო „მოქმედებისა“ — სხვა დანარჩენ ვნებითებს. ყოფა-მდგომარეობითი გვარის ზმნებში დასახელებულია: ვარ, ვწევარ, ვზოვარ... ვაწევარ, ვაზოვარ და სხვა მეშველზმნიანი ფორმები.

გვარის ფორმები განსხვავდება გარდამავლობა-გარდაუვალობის მიხედვით. მაგრამ გარდამავლობა აქ რელატიურობას უკავშირდება. თუკი ზმნაში ორი პირის ურთიერთობაა აღნიშნული, ზმნა გარდამავალია, ამდენად რელატიური ვნებითები და მდგომარეობის აღმნიშვნელი რელატიური ზმნებიც ამ თვალსაზრისის მიხედვით გარდამავლები არიან:

¹⁷ ი. ნიკოლაიშვილი, ქართული ენის გრამატიკა, სახელმძღვანელო შრომის სკოლებისათვის, თბ., 1928, გვ. 118—119.

¹⁸ დ. კარიჭაშვილი, ქართული ენის გრამატიკა, ეტიმოლოგია, 1930, ტფ., გვ. 52.

„ზმნა, გამომხატველი იმისთანა მოქმედებისა, ვნებულობისა ან ყოფა-მდგომარეობისა, რომელსაც აქვს დამოკიდებულება სხვა საგანთან, გარდამავალ ზმნად იწოდება, ხოლო გამომხატველი იმისთანა მოქმედებისა, ვნებულობისა ან ყოფა-მდგომარეობისა, რომელსაც არა აქვს სხვა საგანთან არავითარი დამოკიდებულება, გარდაუვალ ზმნად იწოდება“. დ. კარიჭაშვილის კლასიფიკაციის მიხედვით ქართულში ზმნები ამგვარად ჯგუფდებიან:

ა) გარდამავალი მოქმედებთები: ვჭ რ ი, ვყ რ ი, ვგ ზ ა ვ ნ ი, ვზ ო გ ა ვ, ვხ ნ ა ვ, ვნ ა ტ რ უ ლ ო ბ, ვლ ა პ ა რ ა კ ო ბ, ვტ ი რ ი.

ბ) გარდაუვალი მოქმედებთები: ვც ო ც ა ვ, ვბ რ უ ნ ა ვ, ვი ბ რ ძ ვ ი, ვშ ფ ო თ ა ვ, ვღ ე ლ ა ვ.

გ) გარდამავალი ვნებთები: ვე ქ რ ე ბ ი, ვე ყ რ ე ბ ი, ვე-გ ზ ა ვ ნ ე ბ ი... ვე ნ ა ტ რ ე ბ ი, ვე ლ ა პ ა რ ა კ ე ბ ი... ვა კ-ვ დ ე ბ ი.

დ) გარდაუვალი ვნებთები: ვი ქ რ ე ბ ი, ვი ყ რ ე ბ ი... ვფ ი ქ-რ დ ე ბ ი, ვკ ვ დ ე ბ ი.

ე) გარდამავალი ყოფა-მდგომარეობითნი: ვა დ გ ა ვ ა რ, ვა ზ ო-ვ ა რ... ვკ ი დ ი ვ ა რ, ვუ რ ე ვ ი ვ ა რ.

ვ) გარდაუვალი ყოფა-მდგომარეობითი: ვა რ, ვდ გ ა ვ ა რ, ვზ ი ვ ა რ, ვწ ე ვ ა რ.

ამგვარად გაგებულ გარდამავლობა-გარდაუვლობის მიხედვით არის დახასიათებული აგრეთვე ზმნის ქცევები („ჯურები“)¹⁹.

ბ) გარდამავლობის სინტაქსური დახასიათება

ბუნებრივია, რაკი გარდამავლობა გვარის კატეგორიიდან არ იყო გამოცალკეებული, თვით გვარის კატეგორიაც სათანადოდ არ იყო შესწავლილი, გარდამავლობის სინტაქსური დახასიათებაც არ გვექნებოდა. ანტონის გრამატიკაში ჯერ არც სინტაქსის წევრებია სათანადოდ გარკვეული. თავისთავად ამ ეტაპზე სინტაქსის ამოცანაა სიტყვათა შეხამების შესწავლა. წინადადება და წინადადების ცნებები სინტაქსის ცნებად არ მიიჩნევა²⁰. თუმცა, როგორც ეს აღნიშნულია, ანტონის გრამატიკის II რედაქციაში სისტემებზე იხმარება ტერმინები: „ქუჭმ-დებარე“ (I რედაქციაში — უფალი), „შესმენილი“, რომლებიც აშ-

¹⁹ დ. კარიჭაშვილი, ქართული ენის გრამატიკა, გვ. 52, 54.

²⁰ ა. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965, გვ. 96.

კარად დღევანდელი „ქვემდებარისა“ და „შემასმენლის“ ფარდი ცნებებია²¹. ზმნასთან დაკავშირებული სხვა სახელები (დამატება, გარემოება) ანტონის ტერმინით არის ძიება²². ანტონის გრამატიკაში წინადადების განმარტებისას ქვემდებარესა და შემასმენელზე აქცენტის გამახვილება შემთხვევითი არ არის. ანტონი აქ ბაუმისტერის „ლოგიკას“ ემყარება და წინა პლანზე სუბიექტი და პრედიკატია წამოწეული.

ანტონის გრამატიკაში დახასიათებულია ქვემდებარის (მმართველი სახელის) ბრუნვები: სახელობითი (ანტონის ტერმინით: წრფელობითი), მოთხრობითი, მიცემითი, მოცემულია საძიებოს ბრუნვები:

„ყოველნი ზმნანი შემოქმედებითნი აწმყოსა დროსა შინანი... ითხოვენ საძიებოსა თვსთა ბრუნვლთა მიცემითად...“²³ ანდა: „ყოველნი ზმნანი შემოქმედებითნი, ნამყოსა სრულსა დროსა შინანი... ითხოვენ საძიებოდ ნათესავისამებრ ბრუნვლსა — წრფელობითად, მაგალითებრ: მოვიძულე ბოროტი, შევიყუარე ქეთილი...“²⁴

„ახლა ვიტყოდით: მოქმედებითი გვარის ზმნასთან მართული სახელი მიცემითშია, როცა ზმნა აწმყოშია, და — სახელობითში, თუ ზმნა ნამყო ძირითადშია“ — შენიშნავს არნ. ჩიქობავა²⁵.

ანტონის გრამატიკაში გარკვეულია „შემოქმედებით“ (გარდამავალ) ზმნასთან პირდაპირი დამატების ბრუნვაგვალეზადობა, ოღონდ ესაა, რომ საძიებო“ (დამატება) მას უფრო ფართოდ ესმის.

ყველაზე არსებითი ჩვენთვის აქ ისაა, რომ ანტონის გრამატიკაში, მიუხედავად სხვაგვარი წყობის გრამატიკების გავლენისა, მაინც აისახა ქართული ენის დამახასიათებელი ზოგი თავისებურება, მაგ.: მოთხრობითი ბრუნვა, როგორც დამოუკიდებელი ერთეული...“²⁶

გარდამავლობის ისტორიისათვის საინტერესოა შემასმენლობითი ბრუნვის დასახელება ანტონის მიერ აღწერილ ბრუნვათა პარადიგმებში. „ანტონიმ მეოთხე ბრუნვად პარადიგმებში მოაქცია „შემასმენლობითი“ (აკუსატივი); ბრუნვათა საკითხის განხილვისას — გრამატიკის მეორე ნაწილში — დატოვა ეს ბრუნვა (§ 200), ხოლო მომდევნო (§ 201) — მოანდომა იმის მოთხრობას, რომ შემასმენლობითი ბრუნვა ქართულს არა აქვს“²⁷.

²¹ ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, გვ. 209.

²² ანტ. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963, გვ. 1.

²³ ქართული ლრამატიკა, შედგენილი ანტონ I-ის მიერ, თბ., 1885, § 351.

²⁴ იგივე, § 353.

²⁵ არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, გვ. 96.

²⁶ არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 100.

²⁷ იქვე, გვ. 99.

„შემასმენლობითი ბრუნვის საკითხი ენის სისტემის აღწერის თვალსაზრისით საინტერესო ექსპერიმენტს წარმოადგენს და ზოგადი მეთოდოლოგიური მნიშვნელობისა ჩანს“, — წერს არნ. ჩიქობავა.

ანტონის შემდეგაც ბევრი გრამატიკოსი კარგა ხანს ვერ შეელია ქართულში არარსებულ ამ ბრუნვას.

როგორც ე. ბაბუნაშვილი აღნიშნავს, ანტონი გარკვეულია კონვერსიის არსშიც: როდესაც ვისიმე მოქმედება გადადის სხვა ვინმეზე, მაშინ ორი ქვემდებარე გვაქვს: ერთი — მოქმედების, რომელიც მოქმედებითი გვარის ზმნის გაბატონებული წევრია წრფელობით, მოთხრობით ან მიცემით ბრუნვაში (ეს ქვემდებარე ვნებითი გვარის ზმნასთან ზმნის მიერ მართულ სახელად გადაიქცევა) და მეორე — ვნებისა (ეს ქვემდებარე მოქმედებითი გვარის ზმნასთან ზმნის მიერ მართული სახელი იყო წრფელობით ან მიცემით ბრუნვაში), რომელიც ვნებითი გვარის ზმნის გაბატონებული წევრია წრფელობით ბრუნვაში²⁸.

ანტონის გრამატიკის გავლენა ძლიერი იყო მთელს მეთვრამეტე და მომდევნო საუკუნეშიც. მის მიერ დამკვიდრებული ტერმინები უფალი და ძიება მეორდება სხვა გრამატიკოსებთანაც²⁹, ისევე, როგორც მისი დაკვირვება მმართველი და მართული სახელების ბრუნვების შესახებ. მაგ., გაიოზ რექტორის გრამატიკაში: „შემოქმედებითნი ზმნანი I უღვლილებისა, აწმყოსა და უსრულ დროებში ითხოვენ უფლად სახელს წრფელობითში, ძიებას — მიცემითში, ნამყოსა და მყოობადში უფალს — მოთხრობითში, ნამყო უსრულესსა და უუსრულესში — უფალს მიცემითად, ხოლო ძიებას სხვა დროებში შემასმენლობითში. მაგალ. პატივი განამრავლებს მეცნიერებასა, მოწაფე აქებდა მოძღუარსა, ანტონიმ განაშუშნა ღრამმატიკაჲ; მესაჭიროდ მიჩუშნებიეს ახალი; სიბრძნესა შეემკო ელლადა...“³⁰

აღსანიშნავია, რომ გაიოზი ყურადღებას ამახვილებს ფრაზაში მმართველი და მართული სახელის პოზიციაზე: „ყოველი პიროვანი ზმნა კანონიერი ითანხმავებს ორთა სახელთა: ერთსა — წინარე და მეორესა — შემდგომად, მაგალ. მდებალი შეიძინებს მეგობართა; მართალი დაიმკვდრებს სასუფეველსა, კაცი ბედნიერი იქმნების სწავლულებისაგან და სხუანი“.

²⁸ ე. ბაბუნაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 204—205.

²⁹ ანტ. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, გვ. 3.

³⁰ გაიოზ რექტორი, ქართული ღრამმატიკა, § 173, გვ. 121.

სახელი, რომელიც ზმნას წინ უძღვის, უფალია ზმნისა, რომელიც მოსდევს ძიება, „პირველი სახელი არს მნიშვნელი მოქმედისა და მეორე იგი — მნიშვნელი ვნებულისა“³¹.

გაიოზის დაკვირვებას მმართველი და მართული სახელის პოზიციის შესახებ იმეორებს პლ. იოსელიანი: „ყოველი პიროვანი შემოქმედებითი ზმნა კანონიერი ითანხმავებს ორსა სახელსა: ერთსა წინარე და მეორესა შემდგომად. მაგ., მშკდი შეიძინებს მეგობართა; მართალი დაიმკვდრებს სასუფეველსა; კაცი ბედნიერ იქნების ჰსწავლითა და სხვ. პირუელსა სახელსა, რომელიცა სამართლად დაიდებს წინარე, ეწოდების უფალი ზმნისა, და მეორესა მას, რომელიცა შემდგომად ზმნისა ეწოდების ძიება ზმნისა. პირველ არს სახელი მნიშვნელი მოქმედისა, ხოლო მეორე მანიშვნელი ვნებულისა და ესრეთ მაგალითსა შინა: მშკდი შეიძინებს მეგობართა, — ლექსი მშკდი არის უფალი ზმნისა, ხოლო მეგობართა ძიება ზმნისა“. ქვემდებარედ გვაქვს სახელობითი, მიცემითი ან მოთხრობითი („უფლად ზმნისა იხმარების ნიადაგ, ანუ სახელობითი, ანუ მიცემითი, ანუ მოთხრობითი“). მოქმედებითი გვარის დამატება დგას მიცემითსა ან სახელობით ბრუნვაში („შემოქმედებითისა ზმნისა ნათესავისა ძიებად იხმარების ანუ ბრუნვა მიცემითი, ანუ სახელობითი“)³².

ი. ქართველიშვილის „ქართულ გრამატიკაში“ მნიშვნელობის მიხედვით გამოყოფილ ზმნურ ჯგუფებს (არსებითები, შემოქმედებითები, ვნებითები, უმეშუქონი, საშუალონი), ახლავს სინტაქსური დახასიათებაც. მაგ.: „შემოქმედებითი ზმნა არს იგი, რომელიცა აღჰნიშნავს მოქმედებასა პირისა ანუ ნივთისა სხუასა მეორესა ზედა პირსა ანუ ნივთსა, და რომლისა მიერ ცხად იქმნების მოქმედება ბრუნუათა შინა ანუ წრფელობითსა, ანუ მიცემითსა ანუ მოთხრობითსა, ხოლო ვნება ბრუნუათა შინა მიცემითსა და ანუ შემასმენლობითსა: მზე განადგობს პირსა ქუეყანისა, ცოდვამან დაჰსაჯა პირველი კაცი, მადლსა ღმრთისასა უცსნიეს იგი სასჯელისაგან“³³.

გარდამავალი ზმნის (მოქმედებითი გვარის) ვნებითად მოქცევის სინტაქსური მექანიზმია აღწერილი პ. კვიციანიძის „ქართულ სწორმეტყველებაში“ (როგორც ვნახეთ, ეს მექანიზმი ჯერ კიდევ ანტონის

³¹ გაიოზ რექტორი, ქართული ლრამატიკა, § 172, გვ. 121, ანტონის გრამატიკის მიხედვით ზმნის „უფალი“ სახელი შეიძლება წინ უძღოდეს ან მოსდევდეს ზმნას, იხ. ე. ბაბუნაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 212.

³² პლ. იოსელიანი, პირუელ-დაწყებითი კანონი ქართულისა ლრამატიკისა, თბ., 1840, გვ. 57.

³³ ი. ქართველიშვილი, ქართული ლრამატიკა, გვ. 38.

შიერაა შემჩნეული): „ვნებითი და თვითვნებითი ზმნები გამომდინარეობენ შემოქმედებითისაგან, როცა წინადადებაში დამატება საუბნად იქცევა. მაგ., სახლს ვაშენებ, ანუ — სახლი შენდება და სხვა (§ 157)“ (საუბნი ქვემდებარეს უტოლდება), ან: „ესე ზემოდ აღწერილი სხვადასხვა გვარის ზმნანი ადვილად გადადიან ერთი მეორედ ცოტაოდენის თავ-ბოლოს შეცვლით. ფრაზა „მონადირეში ირემი მოკლა“ შეგვიძლია ასე გადავასხვავოთ: „ირემი მოიკლა მონადირისაგან“. აზრი ერთი და იგივე არის, თუმცა პირველი ფრაზის შემოქმედებითი ზმნა მეორეში ვნებითად იქცა. სხვაობა მხოლოდ წინადადების სინტაქსშია: პირველის წინადადების საუბნი მეორეში დამატებად იქცა...“ (§ 161)³⁴.

ქართულში ზმნის სინტაქსური უნარის შეფასება მოგვცა თ. ყორღანიამ. მან შენიშნა, რომ წინადადებაში მთავარია შემასმენელი, ქვემდებარეა და დამატებითი სიტყვებიც შემასმენელზე არიან დამოკიდებული³⁵: „შესმენილი არის უფალი მრთელის წინადადებისა. მისგან დამოკიდებულია გრამატიკულად ქვემდებარე და დამატებითი სიტყვებიც; ხოლო განმმარტველის ცვლილებაცა (განმმარტველი = განსაზღვრებას — მ. ს.) დამოკიდებულია ქვემდებარის ცვლილებისაგან, შესმენილისაგან განკანონებულისა. ამ სახით, ქართულს ენაში (წინადადებაში) მოსპობილია ორთა უფალთა (ქვემდებარისა და შემასმენლის) მონება, უცხო ენათაგან აღიარებულისა, და გამეფებულია ერთი უფალი — შესმენილი, კანონმდებელი ენისა, სული და გული მისი“. განხილულია შემოქმედებითი ზმნის საქვემდებარო ბრუნვები — სახელობითი, მიცემითი, მოთხრობითი. გარდამავლობის თვალსაზრისით საინტერესო აქ ის არის, რომ ფუნქციის მიხედვით დამატებათა სამი ჯგუფი გამოიყოფა: 1. გარემოებითი, 2. საძიებო, და 3. ბუნებრივი დამატება.

გარემოებითი დამატება უჩვენებს დროს, ადგილს, მიზეზს, მიზანს და გვარმოქმედებას და, როგორც აღნიშნულია, იგივე დროის, ადგილის, მიზეზის, მიზნისა და ვითარების გარემოებებია³⁶.

საძიებო დამატება პირმომართი დამატებაა, ბუნებრივი დამატება კი — პირმიუმართავი დამატება.

საძიებო დამატება იმ შემთხვევაში გვაქვს, როდესაც „წინადადებაში შესმენილი გვიჩვენებს მოქმედებას სხვა საგანზე გარდასულს...

³⁴ პ. კვიციანიძე, ქართული სწორმეტყველება, თბ., 1888.

³⁵ თ. ყორღანია, ქართული გრამმატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი), თბ.-ლისი, 1889, გვ. 119—120.

³⁶ ანტ. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, გვ. 7.

მაგ.: „ძალღსა სცემდნენ — რძალს ასმენდნენ“,
„ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია“³⁷.

ავტორის ყურადღებას არ გამოპარვია, რომ ზოგი შემოქმედებითი ზმნა ნამყო უსრულში ობიექტს შესემნილობითის (სახელობითის) ნაცვლად მიცემით ბრუნვაში წარმოგვიდგენს: „ნამყო სრულში მხოლოდ ერთი სიტყვა დაიდება მიცემითად და ძიებად ზმნისა, ეს სიტყვა არის ძლევა: „მტერსა სძლია მეფემან (აჯობა)“, შემჩნეულია არსებითი შეუსაბამობა გარდამავალი ზმნის ფორმასა და შესიტყვებას შორის. თ. ჟორდანისა შენიშნული აქვს აგრეთვე შემდეგი ფაქტი: თუ ვნებითის ფორმა „შემოქმედებითი“ ან „თვითშემოქმედებითი“ (ე. ი. აქტიური) შინაარსით იხმარება, მაშინ ეს ფორმა ქვემდებარესაც მიიღებს მოქმედებითის ზმნისებრ. მაგ.: მტერი იმუქრება (ვნებითია, მაგრამ შემოქმედებითად ხმარებული), მტერმან დაიმუქრა, მტერს დაუმუქრია და სხვ. მეგობარი იწერება (სახით ვნებითია, ჰაზრით — შემოქმედებითი), მეგობარმან მოიწერა“³⁸.

დამატების ცნების ახსნაში შემდგომ ეტაპზე კორექტივი შეაქვს არ. ქუთათელაძეს. გარემოება გამოეყო დამატებას³⁹. მ. ჯანაშვილმა კი დამატების ცნებაში განასხვავა პირდაპირი და არაპირდაპირი დამატებანი.

მოქმედებით-გარდამავალი ზმნის დახასიათებაში მ. ჯანაშვილს დამატების ბრუნვაც აქვს ფიქსირებული: „მოქმედებითი დარგის ზმნა გვიჩვენებს, რომ ქვემდებარის მოქმედება გადადის სხვა საგანზე, — დამატებაზე, რომელიც დაისმის სახელობით ბრუნვაში და ანუ მიცემითში“⁴⁰. ქვემდებარისა და დამატების ბრუნვებს ცალკე სინტაქსშიც განიხილავს⁴¹. აქ საინტერესო ჩანს ბრუნვების დახასიათება; მ. ჯანაშვილი ორ სახელობითს განარჩევს: სახელობითი I და სახელობითი II, რომელიც მან ნაცვალსახელით ფორმდება.

„საზოგადოდ წარსული დროის შესემნილები მოითხოვენ, რომ ქვემდებარე დაისმებოდეს სახელობითს მეორეში, ხოლო დამატება — სახელობით პირველში. აწმყო ანუ შეუსრულებელი დროის შესემნი-

³⁷ თ. ჟორდანი, ქართული გრამმატიკა, გვ. 37, იხ. აგრეთვე ანტ. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, გვ. 7.

³⁸ იქვე, გვ. 122.

³⁹ არ. ქუთათელაძე, პირველ-დაწყებითი ქართული გრამმატიკა, ტფლისი, 1907, გვ. 2; იხ. აგრეთვე ანტ. კიზირიას მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, გვ. 8.

⁴⁰ მ. ჯანაშვილი, ქართული გრამმატიკა, გვ. 51.

⁴¹ იქვე, გვ. 135—138.

ლები კი მოითხოვენ ქვემდებარეს სახელობითს პირველსა და მიცემითში, დამატებას სახელობითს პირველსა და მიცემითში“. მ. ჯანაშვილი განასხვავებს პირდაპირი და არაპირდაპირი დამატების ბრუნვებს: „პირდაპირი დამატება დაისმის სახელობით I-სა და მიცემით ბრუნვაში, არა-პირდაპირი — ნათესაობითსა, შემოქმედებითსა და ზმნისზედითს ბრუნვებში“.

მიუხედავად იმისა, რომ გამოიყო პირდაპირი დამატება და დაზუსტდა მისი ბრუნვები, შემდგომ გრამატიკებში (მაგ. ს. ხუნდაძის „ქართული გრამატიკის“ გამოცემებში) პირმიმართი და პირმიუმაართავი დამატება არაა გარჩეული, და ყველა სახის დამატება ერთ ჯგუფშია მოქცეული⁴².

⁴² ანტ. კიზიჩია, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, გვ. 9.

III. გარდამავლობა თანამედროვე ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში

„პროფ. ა. შანიძის უთუო და მნიშვნელოვან დამსახურებას ქართველური ენათმეცნიერების წინაშე, სხვათა შორის, ზმნის გარდამავლობის განსაზღვრა შეადგენს; მან წამოაყენა განსაზღვრება: „მოქმედებითი ზმნა ის ზმნაა, რომელსაც პირდაპირი დამატება, დამატება ნივთისა, დრო-კილოთა პირველ ჯგუფში მიცემითი ბრუნვით, ხოლო მეორე ჯგუფში სახელობითის ბრუნვით აქვს გამოხატულიო (იხ. ქართული ზმნის საქცევი, ტფილ. უნივერსიტეტის მოამბე, VI, გვ. 316—317)“; იგივე აზრი მას გამოთქმული აქვს გაცილებით ადრე: იხ. „პრეფიქსები“, გვ. 78, შენ. 2; აქ ვკითხულობთ: „დამატება მიცემითში საშუალო გვარის ზმნასაც შეიძლება ჰქონდეს და მოქმედებითისასაც; სახელობითის დამატება კი მხოლოდ მოქმედებითი გვარის ზმნებს აქვთ“ — ამით რელატიურობა გაიმიჯნა გარდამავლობისაგან, რაც ასე მძნელი იყო ქართულში“ — წერდა არნ. ჩიქობავა 1928 წელს¹.

1930 წელს გამოცემული ქართული ენის მორფოლოგიის კურსში ა. შანიძე გარდამავლობას ზმნის პირებთან მიმართებით განიხილავს: პირი, რომელიც ობიექტად არის წარმოდგენილი ზმნის ფორმაში, შეიძლება ორგვარი იყოს: ერთი, რომელთანაც ზმნის გარდამავლობა დაკავშირებული, და მეორე, რომელსაც ზმნის გარდამავლობასთან არაფერი აქვს საერთო². გარდამავლობის მაჩვენებლად პირდაპირი ობიექტია მიჩნეული: „როდესაც ზმნა მესამე ობიექტურ პირშია, მისი გარდამავლობა გარეგნულად იმაში იჩენს თავს, რომ სახელს, რომელთანაც დაკავშირებულია მისი გარდამავლობა, ხან სახელობით ბრუნვაში მოითხოვს და ხან მიცემითში“³.

„პირდაპირი და ირიბი ობიექტი“, ა. შანიძის სიტყვებით, „გარეგანი ობიექტებია“, მაგრამ ობიექტებია აგრეთვე ზმნის ფორმაში მათ

¹ არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა, ქართულში, I, თბ., (მეორე გამოცემა), გვ. 143, შენ. I. არნ. ჩიქობავას აქ უხეზრულად მიაჩნია ტერმინი „მოქმედებითი“-ს ხმარება.

² ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, I, მორფოლოგია, თბ., 1930, § 70, 33-72.

³ იქვე.

შიერ წარმოდგენილი „მესამე პირები“, რომელთაც გარეგანისაგან განსხვავებით შინაგანი ეწოდება⁴. აქვე გარდაუვალი ზმნის განსაზღვრებაცაა მოცემული: „ყოველი ზმნა, რომელსაც პირდაპირი ობიექტი (ე. ი. ისეთი ობიექტი, რომელიც მესამე პირის ფორმასთან ბრუნვას იცვლის) არა აქვს, ან არ შეიძლება ჰქონდეს, გარდაუვალია“⁵.

წერილში „ზმნათა გარდამავლობის საკითხისათვის ქართველურ ენებში“ ა. შანიძე აფართოებს და აზუსტებს გარდამავლობის კრიტერიუმებს: გარდამავლობისათვის აუცილებელია: პირდაპირი დამატების ბრუნვაცვალებადობის გარკვევა, მაგრამ ობიექტის ბრუნვაცვალებადობა არაა მთავარი, რადგან საშუალო გვარის ზმნებში სუბიექტი ბრუნვას კი იცვლის, მაგრამ გარდამავალი არაა, ე. ი. მთავარია პირდაპირი დამატების არსებობა⁶.

„ქართული გრამატიკის საფუძვლები“ (I, მორფოლოგია) 1953 და 1973 წლის გამოცემებში ა. შანიძე იმეორებს გარდამავლობის შესახებ უკვე გამოთქმულ განსაზღვრებას⁷.

როგორც უკვე ითქვა, გარდამავლობა ზმნის პირებთან მიმართებით განიხილება და მას დამოუკიდებელი მორფოლოგიური სტატუსი თითქოს არ ეძებნება, მისი შესწავლა მორფოლოგიაში კი აუცილებელი ჩანს. ქართული ზმნის მორფოლოგიის ძირითადი და საკვანძო საკითხები მხოლოდ გარდამავლობასთან კავშირში განიხილება. ეს საკითხებია: ზმნის პირი და გარდამავლობა, გვარი და გარდამავლობა, ქცევა და გარდამავლობა, კონტაქტი და გარდამავლობა, სიტუაცია და გარდამავლობა, ინვერსია და გარდამავლობა და სხვ. შდრ.: „ყოველი ზმნა, რომელსაც პირდაპირ-ობიექტური პირის ფორმები აქვს, გარდამავალია, ხოლო, რომელსაც პირდაპირ-ობიექტური პირის ფორმები არა აქვს, ან არ შეიძლება ჰქონდეს, გარდაუვალია“⁸, „ერთპირიანი ზმნა გარდაუვალია, ორ-პირიანი ზმნა შეიძლება გარდამავალიც იყოს და გარდაუვალიც, სამ-პირიანი კი გარდამავალია“...⁹ „ქართველურ ენებში გარდამავალ ზმნებში სამ-სამი ფორმა გვაქვს კუთვნილება-დანისწეულების მიხედვით განსხვავებული, გარდაუვალ ზმნებში კი — ორ-ორი“¹⁰ (იხ.

⁴ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 81.

⁵ იქვე.

⁶ სმპ, თბ., 1942, III, № 2, 6.

⁷ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბ., 1953, გვ. 174; 1973, გვ. 172.

⁸ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973, გვ. 172.

⁹ იქვე, გვ. 173.

¹⁰ იქვე, გვ. 352.

აგრეთვე: § 381). გვარი და გარდამავლობა (გვ. 311), § 430, კონტაქტ და გარდამავლობა და სხვ.

ქართული ზმნის მორფოლოგიური კატეგორიების ბუნების გაკვევისათვის გარდამავლობის გათვალისწინება აუცილებელია; ამდენად, ბუნებრივია, ქართული ზმნების ძირითად საკლასიფიკაციო ერთეულად გარდამავლობა-გარდაუვალობის მიჩნევა — სტატიკურობა-დინამიკურობასთან ერთად; ქართული ზმნის გრამატიკულ კატეგორიათა რაობა ამ დაჯგუფებებში წარმოჩნდება¹¹.

ძველი ქართული ენის გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა სინტაქსური დახასიათება, გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა შესიტყვებების სინტაქსური მექანიზმია აღწერილი არნ. ჩიქობავას წიგნში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, I, 1928, ნაშრომის ერთ-ერთ ამოსავალ პრინციპს ენის სტრუქტურისა და ფუნქციის გამოიჯენა წარმოადგენს. ამ პრინციპითაა ნაკვლევი გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების შესიტყვებანი.

გარდამავლობის განსაზღვრა არნ. ჩიქობავას მორფოლოგიური სუბიექტისა და ობიექტის მიხედვით აქვს მოცემული („მარტივი წინადადების პრობლემაში“ გარდამავლობის განსაზღვრისას სუბიექტის უწინარესობაა აღიარებული): „გარდაუვალ და გარდამავალ ზმნათა განსაზღვრება შესაძლებელია და საჭიროა იქნეს მოცემული, როგორც MS-ის (ეს უწინარეს ყოვლისა!), ისე MO-ის მიხედვით.

პირველის თვალსაზრისით: გარდაუვალია ყოველი ზმნა, რომელსაც ან სულ არა აქვს ნამყო ძირითადი (აორისტი), ან თუ აქვს, მოითხოვს MS-ს სახელობითს ბრუნვაში; გარდამავალია ყოველი ზმნა, რომელიც ნამყო ძირითადში (აორისტი) MS-ს მოთხოვითს ბრუნვაში მოითხოვს.

ობიექტის (MO-ის) თვალსაზრისითაც მათი დახასიათება საჭიროა მით უფრო, რომ მოთხოვითი ბრუნვის ხმარებისას შეიძლება რყევამ იჩინოს თავი, და შეიძლება დაისვას კითხვა: როდისღა უნდა ვიხმაროთ მოთხოვითი ბრუნვა MS-ისთვისო? ასეთ შემთხვევაში MO-ს უნდა მივმართოთ...“¹² რადგან მორფოლოგიური ობიექტის ბრუნვათა ხმარება უფრო მკვიდრია, ვიდრე მორფოლოგიური სუბიექტისა (აქ იგარაუდება: იმან დამპირდა, დამეხმარა, შემეკითხა),

¹¹ არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბ., 1950, 051; მისივე: Картвельские языки, языки народов СССР, IV, Иберийско-кавказские языки, 1960, с. 40.

¹² არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბ., 1968 (მეორე გამოცემა), გვ. 142.

ამიტომ არნ. ჩიქობავას MO-ის მიხედვით გარდამავლობის განსაზღვრა უფრო სანდო კრიტერიუმად მიაჩნია.

მორფოლოგიური ობიექტის თვალსაზრისით: გარდაუვალია ყოველი ზმნა, რომელსაც ან სულ არა აქვს MO, ან თუ აქვს, ოდენ მიცემით ს ბ რ უ ნ ვ ა შ ი, იქნება ზმნა ნამყო ძირითადში თუ აწმყოში; გარდამავალია ყოველი ზმნა, რომელსაც ნამყო ძირითადში შეიძლება ჰქონდეს MO სახელობით ს ბ რ უ ნ ვ ა შ ი¹³.

არნ. ჩიქობავა შენიშნავს, რომ გარდამავლობის განსაზღვრა MO-ის მიხედვით მან პროფ. ა. შანიძის განსაზღვრებაზე დაყრდნობით წარმოადგინა. მაგრამ ზმნათა ასეთი კლასიფიკაციის დროს „მოქმედებითი“ შეუფერებელია. ქართულში მოქმედებითი გვარისა დროთა გარკვეული ჯგუფი, სახელდობრ, აწმყოს ჯგუფი შეიძლება იყოს და არა ზმნა; ნამყო ძირითადის ჯგუფი კი თვით გარდამავალ ზმნებთანაც არ არის „მოქმედებითი“, არამედ სპეციფიკურ-ინდიფერენტულია...¹⁴

რომ ზმნათა ასეთი კლასიფიკაციის დროს „მოქმედებითი“ შეუფერებელია, ამაზე ისიც მიგვანიშნებს, რომ მის კორელატად საშუალო და ვნებითი კი არ გვევლინება, არამედ გარდაუვალი¹⁵ — აღნიშნავს არნ. ჩიქობავა.

მიუღებლად მიაჩნია არნ. ჩიქობავას პირდაპირი დამატების ხმარება გარდამავლობასთან კონტექსტში. მართალია, ბრუნვაცვალებადი მორფოლოგიური ობიექტი უდრის ინდო-ევროპულ ენათა პირდაპირ დამატებას, მაგრამ უდრის შინაარს-მნიშვნელობით და არა გრამატიკულად. პირდაპირი დამატება ქართულში (ქართველურ ენებში) არ არსებობს¹⁶. რეალური ობიექტი, ნივთის ობიექტი, ე. წ. პირდაპირი ობიექტი ევროპული ენებისა სახელობითში დასმული (ანდა ფუძის სახით წარმოდგენილი) სახელია, მოსალოდნელი ბრალდებითი ბრუნვის ნაცვლად: ბრალდებითი ბრუნვა, accusativus, პირდაპირი ობიექტის ეს ბრუნვა ევროპული ენებისა, ერგატიული კონსტრუქციისათვის უცხოა¹⁷. „პირდაპირი ობიექტის“ ცნება ქართული ენის სინტაქსში ამჟამად ისეთივე წარმონაქმნია, როგორც იყო „შემასმენლობითი

¹³ არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბ., 1968 (მეორე გამოცემა), გვ. 142.

¹⁴ დასახ. ნაშრ., გვ. 143, შნშ. I.

¹⁵ არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა, გვ. 143, შნშ. I.

¹⁶ იქვე.

¹⁷ არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში: ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები, ენიმ-კის მოამბე, XII, თბ., 1942, გვ. 221.

ბრუნვა“ ანტონის გრამატიკაში: აკუზატივი არა აქვს მორფოლოგიას, „პირდაპირი ობიექტი კი ზის სინტაქსში“ — წერს არნ. ჩიქობავა¹⁸.

ასევე ვერ ეგუება ქართული რელატიური ზმნის შესიტყვების აღწერას ინდო-ევროპული ენების მასალაზე შექმნილი სინტაქსური ცნებები — მართვა, შეთანხმება, მირთვა. ქართული ენის შესიტყვების მექანიზმისათვის დამახასიათებელია სინტაქსური ურთიერთობის უფრო რთული სახე, რომლის დროსაც ზმნა მართავს მასთან დაკავშირებული სახელების ბრუნვებს, ხოლო სახელები მართავენ ზმნის პირებს და ითანხმებენ რიცხვს. ამ ორმხრივი სინტაქსური ურთიერთობის აღსანიშნავად ავტორი ხმარობს ტერმინებს კოორდინაციასა და კოორდინატებს (შემასმენლის, ქვემდებარისა და დამატების ნაცვლად). ზმნა მართავს მასთან მორფოლოგიურად დაკავშირებული სახელების, — MS-ისა და MO-ის ბრუნვებს, სახელნი, თავის მხრივ, მართავენ ზმნის პირს და ითანხმებენ რიცხვს. არა გვაქვს ოდენ ქართული ზმნა — შემასმენელი, არც ოდენ მმართველი (ზმნისა) სახელი — ქვემდებარე, არც სახელი, მართული ზმნის მიერ — დამატება¹⁹. არის მხოლოდ კოორდინატები: კოორდინატი არის წევრი კოორდინაციისა ანუ კოორდინაციაში მონაწილე სიტყვა (სახელები თუ ზმნა).

არნ. ჩიქობავას შრომათა ერთი ნაწილი გარდამავლობის არსის კვლევას ეძღვნება (ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, 1948, II²⁰. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში, ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები, ენიმკის შოამბე, XII, 1942 და ბეგრის სხვა წერილი). ამ გამოკვლევებში შესწავლილი და გამოვლენილი იქნა გარდამავალი ზმნის ბუნება: განისაზღვრა გარდამავალ ზმნათა ნომინატიურ, ერგატიულ, დატიურ კონსტრუქციათა რაობა და სტრუქტურა. მათი შეფარდება და თანმიმდევრობა ისტორიული და აღწერითი თვალსაზრისით, ერგატიული კონსტრუქციის არქაულობა. იმთავითვე გამოიკვეთა, რომ ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა გარდამავალი ზმნის პრობლემაა. გარდამა-

¹⁸ არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, გვ. 100.

¹⁹ თუ ორიოდ შემთხვევაში მაინც ჩნდება დამატება, ეს იმიტომ. რომ წყდება სახელის მორფოლოგიური კავშირი ზმნასთან, იხ. არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა... გვ. 233.

²⁰ აქ მოცემულია გარდამავალი ზმნის ერგატიული კონსტრუქციის შესახებ არსებული თეორიების კრიტიკა (პ. შუხართი, პ. უსლარი, ნ. მარი...), (ერგატიულობის ზოგადი თეორიების შესახებ იხ. აგრეთვე გ. კლიმოვის «Очерки общей теории эргативности», მოსკოვი, 1973).

ვალ და გარდაუვალ ზმნათა უღვლილების შესწავლამ ძველ ქართულში დრო-კილოს მიხედვით უღვლილების შემდგომადობა და ასპექტური უღვლილების თავდაპირველობა წარმოაჩინა. ასპექტური უღვლილებისას გარდამავალ ზმნას მხოლოდ ერგატული, ხოლო გარდაუვალს მხოლოდ ნომინატიური კონსტრუქცია ჰქონდა. ამოსავალი კი ყველა შემდგომი კონსტრუქციისათვის ინდეფინიტური კონსტრუქცია იყო, იმგვარივე, რაც ახლა გვაქვს I და II პირის ნაცვალსახელებთან, რომლებიც ბრუნვის ფორმებს არ განასხვავებენ. ინდეფინიტური კონსტრუქციის კვალი შეიმჩნევა ძველ ქართულში ადამიანის საკუთარ სახელებთანაც.

არნ. ჩიქობავამ დაასაბუთა ქართული და კავკასიური გარდამავალი ზმნის ნეიტრალურობა. ამოსავალში გარდამავალი ზმნა გვარებს ფორმალურად არ განარჩევდა; გარდამავალი ზმნა ნეიტრალური ბუნებისა იყო. გარდამავალი ზმნის ნეიტრალურობის მაჩვენებელია სინტაქსური კონსტრუქციის ლაბილურობა. ეს ამოსავალი ვითარება ახლაც გვაქვს კავკასიურ ენებში შენარჩუნებული. აქ გვარები — მოქმედებითი და ვნებითი არ განირჩევა. ქართულში ერგატიული კონსტრუქცია სტაბილურია ამჟამად. კონსტრუქციის სტაბილურობა ართულებს ფუძის ნეიტრალური ხასიათის ჩვენებას და მანაც ზმნის ფუძის ნეიტრალურობის კვალი ქართულში ხელშესახება.

გარდამავალი ზმნის ნეიტრალურობის საჩვენებლად არნ. ჩიქობავა ასახელებს შემდეგ ფაქტებს:

1. ნამყო ძირითადში გარდამავალ ზმნასთან ნივთის ობიექტი დგას სახელობითში, ე. ი. იმ ბრუნვაში, რომელშიც გარდაუვალ ზმნათა სუბიექტი დაისმის.

2. ნამყო დროის მიმღეობა არ შეიძლება იყოს მოქმედებითი გვარისა: მკუდარ-ი, მოკლულ-ი, დაწერილ-ი, გაკეთებულ-ი...

3. ნამყო დროის მოქმედებითი გვარის მიმღეობის შინაარსის გადმოსაცემად მიმღეობას წინ დაესმის ობიექტი და წარმოიქმნება მოქმედების შინაარსის კომპოზიტი: თავ-გასული, ხმალ-ამოწვილი...

4. ნამყო ძირითადის ჯგუფის დროებში ერთმანეთს „ემთხვევა“ გარდამავალი ზმნის სათავისო ქცევა და ონიანი ვნებითი. „დამთხვევას“ ახლანდელი გაგებით აქვს ადგილი. ისტორიულად კი სათანადო წარმოება არც ვნებითი ყოფილა და

არც სათავისო ქცევის, ის უფრო რეფლექსივს წარმოადგენდა და ორგვარს კონსტრუქციას იგუებდა: ე. ი. ნეიტრალური ბუნებისა იყო²¹.

ნამყო ძირითადადში, სადაც ერგატიული კონსტრუქცია აქვს გარდამავალ ზმნას, ძველ ქართულში დარჩენილია მეტად საყურადღებო ფაქტი ქართული ზმნის სტრუქტურის უძველესი ვითარების დასადგენად: სახელობითში დასმული უახლოესი ობიექტის მრავლობითობა გარდამავალ ზმნაში იმავე ნიშნით აღინიშნება, რითაც გარდაუვალი (ვნე-ბითი გვარის) ზმნის სუბიექტის მრავლობითობა; ეს მაშინ, როცა მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობა (ობიექტისა თუ სუბიექტისა) არ აღინიშნება. ეს მოვლენა ქართული ზმნის სტრუქტურაში პიროვანი უღვლილებიდან ამოსვლით ვერ იხსნება, კლასოვანი უღვლილებებისათვის კი ამგვარი რამ ჩვეულებრივია — გარდამავალ ზმნაში კლასოვანი უღვლილების მქონე ენებში ობიექტის კლასი, ხოლო გარდაუვალებში სუბიექტის კლასი აღინიშნება. კლასოვანი უღვლილების პრინციპით მოტივირებულად ესახება არნ. ჩიქობავას, აგრეთვე, ობიექტურ პირთა უპირატესობა სუბიექტის წინაშე გარდამავალ ზმნათა უღვლილებისა და რიგი სხვა ფაქტი.

გარდამავალ ზმნებთან ნომინატიური კონსტრუქციის გენეზისის საინტერესო ცდა ეკუთვნის გ. პეჩს²²: დრო-კილოთა პირველი ჯგუფის გარდამავალი ზმნები ისტორიულად გარდაუვალები უნდა ყოფილიყვნენ, რომელთაც გარკვეულ კონტექსტში შეიძლება ჰქონოდათ უბრალო დამატება, თანდებულიანი დამატება. ეს მოსაზრება გაიზიარა და ამოსავალი ლაბილური კონსტრუქციისა და ასპექტური უღვლილების გათვალისწინებით მთის იბერიულ-კავკასიური ენების სათანადო პარალელებით შეამაგრა გ. როგავამ²³. დასკვნა ასეთია: გარდამავალ ზმნათა ნომინატიური კონსტრუქციის ზმნები ისტორიულად გარდაუვალი ერთპირიანი ზმნებია. ქართველურ ენებში გარდამავალ ზმნებს ისტორიულად მხოლოდ ერგატიული კონსტრუქცია გააჩნდა. ნომინატიური და დატიური კონსტრუქციის ზმნები ფსევდოგარდამავალი ზმნებია.

²¹ არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში, ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები, გვ. 224.

²² G. P ä t s c h. Das georgische Präsens—indoeuropäischer Einfluss oder eigengesetzliche Entwicklung? Bedi Kartlisa (Revue de kartvélogie, XXIII—XXIV, P. 1967, გვ. 143—152.

²³ გ. როგავა, ნომინატიური კონსტრუქციის მქონე გარდამავალი ზმნის გენეზისისათვის ქართველურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენების წელიწდეული, თბ., 1975, გვ. 173—179.

გარდამავლობის საკითხები განსხვავებული მეთოდითა და თვალსაზრისებით განხილულია ქართული სინტაქსის შესახებ არსებულ შრომებში (ძირითადად ლ. კვაჭაძის²⁴, ა. დავითიანის²⁵ მონოგრაფიებში). გვარისა და გარდამავლობის, გარდამავლობისა და უკუქცევითობის დამოკიდებულების საკითხებს ეხება ბ. ჯორბენაძე²⁶.

²⁴ ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1973, გვ. 316—348.

²⁵ ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1973, გვ. 316—348.

²⁶ ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975, გვ. 9, 18...

IV. ჰარტველური ზმნის აპტიურობის ჰიპოთეზა

ერგატიული კონსტრუქცია გარდამავალ ზმნაში ზმნის სპეციფიკური აღნაგობის გამოვლენაა. გარდამავალი ზმნის უახლოესი ობიექტისა და გარდაუვალი ზმნის სუბიექტის მორფოლოგიური იგივეობის საკითხი და ამ საკითხთან დაკავშირებულ სტრუქტურულ თავისებურებათა გენეზისისა და რაობის კვლევა ესაა პრობლემა, რომელიც ერგატიული კონსტრუქციის სახელითაა ცნობილი. „როგორც უნდა გადაწყდეს ეს პრობლემა (მისი გადაწყვეტის რამდენსამე შესაძლებლობაზე მიუთითებენ), ერთი რამ მაინც უდავოა: შეუძლებელია მისი უგულებელყოფა ქართულ-ქართველურ ენათა სტრუქტურის კვლევისას“ — წერდა ერთ-ერთ სტატიაში ბ. ფოჩხუა¹.

უკანასკნელ ხანებში ქართულ-ქართველური გარდამავალი ზმნის ამ სპეციფიკური მოვლენის ახსნის სხვაგვარი შესაძლებლობაც გაჩნდა (როგორც სინქრონიულ, ასევე დიაქრონიულ ასპექტში); საქმე ეხება არა ერგატიული კონსტრუქციის განსხვავებულ კვალიფიკაციას ამ ენებში — აქტიურია ის, პასიური, თუ ნეიტრალური — არამედ იმას, რომ ექვემდებარება იქნა დაყენებული ერგატიული ბრუნვისა და კონსტრუქციის არსებობის საკითხი². თუ აქამდე ზმნის თავისებურების გარკვევისას გარდამავალი ზმნის უახლოესი ობიექტისა და გარდაუვალი ზმნის სუბიექტის მორფოლოგიურ იდენტურობას ექცეოდა ყურადღება, ახლა აქცენტი სუბიექტის ბრუნვაზე იქნა გადატანილი და აღმოჩნდა, რომ გარდამავალი ზმნისა და „გარდაუვალ“ ზმნათა გარკვეული ჯგუფის სუბიექტი მორფოლოგიურად და სემანტიკურად ერთი ოდენობაა (ააშენა მან სახლი, იმეფა მან...). ერგატივის გამოყენება გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებთან უკვე იმას ნიშნავს, რომ ის ერგატივი აღარაა; რაც ერგატივად და ერგატიულად იყო გაგებული, კვალიფიციკრებულია როგორც აქტიური (გარდამავალი და გარდაუვალი ზმნის ქვემდებარის ბრუნვა დაფასე-

¹ ბ. ფოჩხუა, მრავლობითის ნარიანი მაწარმოებლები ძველ ქართულში. — ქეის, II, თბ., 1961, გვ. 58.

² Г. А. Климов, Типология языков активного строя, М., 1977, с. 216, 228...

ბულია როგორც ნომინატივი, ე. ი. -მა და -ი სახელობითი ბრუნვის „ალომორფებია“)³.

„აქტიურობის თეორიას“ სხვადასხვა ავტორი საკუთარი თვალსაზრისისა თუ კვლევის მეთოდის შესაბამის შინაარსს აძლევს. მოკლედ შევებებით ზოგიერთ მათგანს:

ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურული ფენები ხელშესახებად წარმოაჩენს თავდაპირველი აქტიურობის კვალს (ამ საფეხურზე „გარდამავალი“ ზმნები აქტიური ზმნებია). შემდგომი საფეხურია აქტიური წყობის ნომინატივიზაცია. ზმნათა კლასების დაპირისპირება აქტიური~არააქტიური იხსნება (ამ დაპირისპირებას სახელთა კლასებში რეალიზებული ოპოზიცია ცოცხალი~არაცოცხალი განაპირობებს) და ზმნები გარდაუვალ და გარდამავალ ზმნათა ჯგუფებად ნაწილდება, რაც სათანადო ცვლილებებს იწვევს სინტაქსურ და მორფოლოგიურ დონეზე. შესაბამისად ხდება ენის სემანტიკური მახასიათებლის შეცვლა: აქტიური~არააქტიური > ხუბი-ექტური~ობიექტური. ამგვარია გ. კლიმოვის საბოლოო თვალსაზრისი⁴.

თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი პროტოქართველური ენის დიალექტებად დაშლის პერიოდში ვარაუდობენ აქტიური წყობის ენის ერგატიულად გარდაქმნას, რაც გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა კლასების მორფოლოგიური და ლექსიკური გაფორმებით და სახელური პარადიგმის სისტემაში განსაკუთრებული ერგატიული ბრუნვით გამოვლინდა⁵.

აღ. პარისი, ე. სეპირის ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციიდან ამოსვლით, ქართულ ზმნებს აჯგუფებს აქტიურ და არააქტიურ ზმნებად. საფუძველი კი ამგვარი დაჯგუფებისა ისაა, რომ გარდამავალი და გარდაუვალი „მედიოაქტიური“ ზმნების სუბიექტს ნამყო ძირითადში ერთი ბრუნვა აქვთ და განსხვავდებიან არააქტიურ ზმნათა სუბიექტის გაფორმებისაგან: ამასთან, III სერიის ფორმები ზმნათა ამ ჯგუფებს ინვერსიულად ეწარმოება. ამგვარი ინტერპრეტაციის საფუძველზე ქართული ტიპოლოგიურად აქტიური წყობის ენებს მიეკუთვნება⁶.

³ Г. А. Климов, Типология картвельских языков, в кн.: Г. А. Климов, М. Е. Алексеев, Типология кавказских языков, М., 1980, с. 112—113.

⁴ Г. А. Климов, Типология картвелских языков..., с. 168—169.

⁵ Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов, Активная типология праиндоевропейского языка, Известия АН СССР, серия литературы и языка, I, т. 43, с. 20.

⁶ Alice C. Harris, Georgian Syntax, A Study in relational Grammar, Cambridge, 1981, გვ. 181.

„აქტიურობის თეორია“ ქართველურ ენებში ეფუძნება „მედია-აქტიური“ ნარევი პარადიგმის ზმნების ნამყო ძირითადის ფორმათა ფორმალურ და სემანტიკურ თავისებურებებს (მე ფო ბ ს ი გი... ი მ ე ფ ა მ ა ნ...); ა. შანიძის მიერ სინქრონიულ დონეზე გარდაუვალად კვალიფიცირებული იმეფა ტიპის ფორმები ამოსავალშივე (ab ovo) გარდაუვალადაა გააზრებული (დიაქრონიულად ა. შანიძე მათ გარდამავალ, ობიექტდაკარგულ ზმნებად მიიჩნევს); აქედან ჩნდება გარდამავალ და გარდაუვალ „მედიააქტიურ“ ზმნათა სუბიექტის იდენტურობის სიკითხი, რაც ერგატიული წყობის ენათა შესახებ არსებულ თეორიულ წინამძღვრებს არ ეგუება.

ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენ ნაშრომში ძირითადი ადგილი გარდამავალ ზმნაში უახლოესი ობიექტის ელიფსის საკითხს ეთმობა. თუ ეს მოვლენა დამახასიათებელია ქართველური გარდამავალი ზმნისათვის, მაშინ ამ ფაქტთან იქნება დაკავშირებული „აქტიურ“ ერგატივსუბიექტიან ფორმათა გენეზისის საკითხი და ენის სტრუქტურისათვის ანალოგიური ზმნური ფორმები რელიქტად ველარ ჩაითვლება. ამით სათუო გახდება ქართული (ქართველური) ზმნის „აქტიურად“ კვალიფიკაციის საკითხიც. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ სინქრონიულ დონეზე ამ რიგის ფაქტების შეფასება (გარდამავალია თუ გარდაუვალი ეს ფორმები) მოსაგვარებელი და საკამათო საკითხია თვით იმ ენებშიც, სადაც გარდამავალი და გარდაუვალი ზმნის სუბიექტი ფორმალურად არ განსხვავდება⁷.

აქტიური წყობის ენებისათვის შესაძლო ლექსიკური მახასიათებლების გვერდით ქართველურ ენათა ზმნის სტრუქტურის არქაულ ფენებში მოიძიება არსებით სახელებში დღემდის შემორჩენილი პიროვნებისა (ვინ?) და ნივთის (რა?) აღმნიშვნელ სახელთა სემანტიკური და პირისპირების კვალი.

გარდამავალობასთან დაკავშირებული რიგი საკითხი (გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა სემანტიკური ჭფუფების რაგვარობის, ადგილიანობის და ა. შ.), რომელთა გარეშეც გარდამავლობის არსი სრულად ვერ გაიხსნება, ამჟერად ჩვენი კვლევის მიღმა რჩება.

⁷ ტრადიციული მიმართულების გრამატიკოსთა აზრით, ინგლისურში ამგვარი უობიექტო ზმნა გარდამავალია და იხმარება ან ობიექტებთან შეხამებით, ანდა აბსოლუტურად, ჯ. ლაიონზსაც მიაჩნია, რომ ამ ტიპის ზმნები შინაგანი თვისებით გარდამავლები არიან.

V. ბარდაგავლობა-ბარდაუვლობა და „ვინ“ და „რა“ ჯგუფის სახელთა დაპირისპირება ქართულში

ა) ზნური ლექსიური დუბლითი ქართულში

ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა ქართული ენის ერთი საგულისხმო მოვლენა, კერძოდ ის, რომ ერთი და იმავე მოქმედების გამოსახატავად ქართულში სხვადასხვა ფუძის ზმნები იხმარება, მაგ.: ქვის, პურის, ბურთის აღება, ხოლო ბავშვის, ავადმყოფის, კურდღლის, ქათმის, აყვანა. წიგნის, კოვზის, სურის, საღვინის, შანდლის დადება, ან დადგმა, ხოლო ბავშვის, მგზავრის, სტუმრის დასმა.

ასეთი თავისებურება ძველი ქართული ენის ძეგლებშიც დადასტურდა. ცოცხალი, სულიერი არსების შესახებ ითქმოდა შეყვანება, განყვანება, თანა წარყვანა, უსულოზე და მკვდარზე ამ ზმნის ხმარება არ შეიძლებოდა.

„ამიტომაც არის, რომ იაკობ ხუცესისავე სიტყვით, ქართლის პიტიახშს ციხეში დამწყვდეულ ცოლისა, შუშანიკისათვის უთქვამს: „ცოცხალ არღარა გამოსლვად ხარ, გარნა ოთხთა გამოგიღონ“ მკვდარიო (თავი IX, გვ. 12, 22—24). შემდეგ იგივე იაკობ ხუცესი მოგვითხრობს; რომ როდესაც შუშანიკი მართლაც გარდაიცვალა, „აღვიხუენით ძუალნი (იგულისხმება: გვამი) და გამოვიხუენით ეკლესიასა“—ო (თავი XIX, გვ. 22, 17—18). მაშასადამე, მკვდარზე და უსულო საგანზე გამოღება, ანდა გამოხუმება, გინდა აღხუმება ითქმოდა ხოლმე“...¹ ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „ყველა ასეთ შემთხვევაში ქართულში სულიერ არსებათათვის ერთი ზმნა იხმარება, უსულო საგნებისა და ნივთებისათვის კი უეჭველად სხვა ზმნაა: ხოლმე გამოყენებული. სხვა ენებში — კი ასეთ შემთხვევებში მოქმედება ერთი და იმავე ზმნით გამოითქმის. ქართული ზმნის ხმარების ეს წესი, მაშასადამე, მხოლოდ მოქმედების ობიექტის ბუნებაზეა დამოკიდებული, სულიერი არსებაა, თუ უსულო საგანია ობიექტად“.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფილისი, 1937, გვ. 173—174.

„ცხადია, რომ აქ ქართულში სულიერ არსებათა და უსულო საგნების კატეგორიების გარჩევა გვაქვს, სახელდობრ, ამ გარჩევის კვალია მხოლოდ დაცული...“²

ამ ხასიათის დაკვირვება სათანადო ზმნური ლექსემების განმარტებისას საბას „სიტყვის კონაშიც“ მოიპოვება. მაგ.: წ ა ტ ა ნ ა „თან წაღება უსულოთა, ხოლო წ ა ყ ვ ა ნ ა სულიერთათვის ითქმის“, შ ე ტ ა ნ ა „თან უსულო შეიღვენოს“, ქ ო ნ ე ბ ა „უსულო საქონელი, ანუ სიბრძნე, სწავლა და მისთანანი ქონებად ითქმის; ხოლო სულიერთა არა ქონებას ვიტყვით, არამედ ყ ო ლ ა ს ა“. საბასათვის და დ გ მ ა ზმნური ფუძე სემანტიკურად უსულო საგანს მიემართება: „ქურქელი, გინა სკამი ადგილას დასდვა“, და ს მ ა — ამ დაპირისპირების თვალსაზრისით ნეიტრალურია: „ადგილს დაჯდუნება სულიერთა, გინა უსულოთა...“, საბასეულ განმარტებებში, არც თუ იშვიათად, ზმნური მოქმედების ადრესატი მხოლოდ ადამიანია: და დ გ ი ნ ე ბ ა „კაცთ დაყენება“, და ა ნ ა რ ც ხ ა „კაცის მიწაზე დახეთქება“ (შდრ.: და ხ ე თ ქ ე ბ ა „ძლიერ დაცემა“, ან და ქ ლ ა „კვერცხისა და მისთანას დახეთქება“); შ ე მ ო ყ რ ა „ესე არს წინ კაცის შემთხვევა“ (შ ე მ თ ხ უ ტ ვ ა „შემოყრა“)...

ზოგჯერ ასეთ სემანტიკურ დაპირისპირებას წარმოგვიდგენს ერთი და იგივე ზმნური ფუძის სხვადასხვა ვარიანტი: დ გ რ ო მ ა „კაცთ დადგომა“ — დ გ ო მ ა... ცხოველთ ფეკზე ყოფა, გინა თავს დგომა“; მნიშვნელობაში ამგვარი სხვაობა ფონეტიკურად სახეცვლილ ზმნათა განმარტებებშიც წარმოჩინდება: მ ო კ რ ე ბ ა „შორიელნი ახლოს შეიყარნენ“ — მ ო კ რ ე ფ ა „ხილთ მოსთულება“...³

ამ სახის ზმნური ვარიანტების არსებობა ქართულში (ქართველურ ენებში) საფუძვლად დაედო გ. კლიმოვის „აქტიურობის“ ჰიპოთეზას; სემანტიკურად დეტერმინირებული ზმნები (ცოცხალი~არაცოცხალი) განსაზღვრავდა ამოსავალში ქართველური ზმნის აქტიურობა-ინაქტიურობას. აქ ორი რიგის ფაქტი გვაქვს: 1. როდესაც ოპოზიცია ცოცხალი~არაცოცხალი ზმნის სუბიექტს განსაზღვრავს: წ ო ლ ა, წ ა ქ ც ე ვ ა, და ხ რ ჩ ო ბ ა, მ ო ხ უ ტ ე ბ ა, ბ ე რ ვ ა, შ ე მ ო რ ტ ყ მ ა ზმნათა სუბიექტი სულიერია, ცოცხალია — დ ე ბ ა, და ვ ა რ დ ნ ა, ჩ ა ძ ი რ ვ ა, მ ო ძ ვ ე ლ ე ბ ა, ქ რ ო ლ ა, შ ე მ ო ვ ლ ე ბ ა ზმნებისა კი არაცოცხალი, უსულო. 2. როდესაც ოპოზიცია ცოცხალი~არაცოცხალი ობიექტს, გარდამავალი ზმნის პირდაპირ ობიექტს მიემართება — სულიერი, ცოცხალი: და წ ვ ე ნ ა, ა ყ ვ ა ნ ა, მ ო

² ივ. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 174.

³ სულხან-საბა ორბელიანი, „სიტყვის კონა“, ს. იორდანიშვილის რედაქციით, თბ., 1949.

ყოლა, ცნობა, შეცოდება, ბანვა, მოციქვა... უსულო, არაცოცხალი: დადება, აღება, მოტანა, ცოდნა, დანანება, რეცხვა, მოძღვნა... ობიექტური ინტენცია ამ რიგის ზმნათა (გარდამავალ ზმნათა) გვიანდელ წარმოშობაზე მიუთითებს. ამ დაპირისპირებას ხედავს გ. კლიმოვი აგრეთვე *verba habendi*-ს ზმნებში. ქართ. ყოლა (ცოცხალი)~ქონა (არაცოცხალი)⁴.

თავისთავად საინტერესო „აქტიურობის“ ჰიპოთეზა, ჩვენი აზრით, ქართული ენის ფაქტებს ვერ იგუბებს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ცნებების აღრევა (დახრჩობა და ჩაძირვა, მოხუცება და მოძველება...), არსებობს ზოგიერთი ფაქტის უფრო სარწმუნო კვალიფიკაცია: კერძოდ, ძველი ქართული ენის წერილობითი ძეგლების დაწვრილებითი ანალიზის საფუძველზე ვ. შენგელია არკვევს, რომ ძველ ქართულში ქონა-ყოლის აღსანიშნავად გამოყენებულ ზმნათა განაწილებას საფუძვლად უდევს ადამიანისა (პიროვნების) და ნივთის დაპირისპირება, ზმნები — ჰყავს, უვის, ესუა ძველ ქართულში მხოლოდ ადამიანის (პიროვნების) ყოლას აღნიშნავდნენ, ზმნები — უღვას (ედგა), უცედვა ნივთის (რა ჯგუფის სახელების) ქონას გამოხატავდნენ.

აქუს ზმნა ძველ ქართულში გამოხატავს როგორც რა ჯგუფის სახელის ქონას, ისე ვინ ჯგუფის სახელის ყოლასაც. სტატისტიკურად აქუს ზმნა ნივთის ქონას გაცილებით უფრო ხშირად გამოხატავს, ვიდრე ადამიანის ყოლას. მაგ.: „სინურ მრავალთავეში“ ეს ზმნა ნივთის ქონას აღნიშნავს 143-ჯერ, ადამიანისას — 11-ჯერ, ამასთან, ადამიანის ყოლის აღსანიშნავად უფრო ხშირად გამოიყენება ჰყავს, უვის, ესუა, ვიდრე — აქუს.

ავტორის აზრით, ამ სახის სემანტიკური გარჩევა ადამიანისა და ნივთისა მეორეულია, და ის განიხილება, ერთი მხრივ, როგორც ენობრივ კოლექტივში ამჟამადაც არსებულ სათანადო ცნებითი კატეგორიების ასახვა, მეორე მხრივ, როგორც ამოსავალი ვითარებით მოტივირებული მოვლენა. ამდენად, ახალ ქართულში, ზანურსა და სვანურში „ქონა-ყოლის“ ზმნებთან ამჟამინდელი დაპირისპირება ცოცხალსა და არაცოცხალს შორის უფრო გვიანდელია, ვიდრე ძველი ქართული ენის ვითარება⁵.

⁴ Г. А. Климов, Типология языков активного строя, М., 1977, с. 220—222.

⁵ ვ. შენგელია, ქონა-ყოლის აღნიშნულ ზმნათა სემანტიკური განაწილება ძველ ქართულში, იყშ, V, 1978, გვ. 110, შტრ: G. Deeters, „Haben“ im Georgischen.—კრებ. „Sprachgeschichte und Wort-bedeutung“, Bern. 1954, გვ. 109—119, W. Boeder, „Haben“ in Kartwelsprachen,—Wege Zur Universalienforschung: sprachwissenschaftliche Beitrag, Tübingen, 1980, გვ. 207—217.

წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ გ. კლიმოვი ქართველურ *ყ ა ვ (*ყ ა-, *ყ ვ-) ზმნური ლექსემის „სემანტიკური რეკონსტრუქციისას“ არ ითვალისწინებს ძველი ქართულის სათანადო მონაცემებს და მის ამოსავალ მნიშვნელობად სულიერის ყოლას ვარაუდობს, რასაც შემდეგ თავისი „აქტიურობის ჰიპოთეზის“ სასარგებლოდ იყენებს⁶.

ბუნებრივია, თუ გარდაუვალი ჰყავს ზმნა თავდაპირველად ადამიანის ყოლას აღნიშნავდა, ამავე ფუძიდან ნაწარმოები გარდამავალი (წარყვანება, მოყვანება, მიყვანება, შთაყვანება) ზმნის მორფოლოგიური ობიექტიც ადამიანს (პიროვნებას) ასახავდა. ცხოველის წაყვანის გამოსახატავად (შთაიყვანოს... დიაკეული ლელესა ძნელსა; II, შგ. 24, 4) ამ ზმნის გამოყენება მერმინდელი ჩანს; საგულისხმოა, რომ შატბერდული „ოთხთავის“ რედაქციების მიხედვით ობიექტად „ყვანება“ ფუძესთან მხოლოდ ვინ ჯგუფის სახელი აღინიშნება.

უნდა ითქვას, რომ ქართული ზმნის აქტიურობის სამტკიცებლად მოხმობილი ზმნების სემანტიკა სპეციალური კვლევის ჩატარების გარეშე არ იძლევა რაიმე ცალსახა დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას. განვიხილავთ ზოგიერთ მათგანს:

აღება ზმნას ახალ ქართულში ობიექტად მხოლოდ ნივთის სახელი მოუღის, ძველ ქართულში კი ადამიანის აღმნიშვნელი სახელიც შეეწყობა: აღიღეს კაცი (ლ. 5, 19); აღიღე უფალი საფლავით (ი. 20, 2C); აღიღე ეგე და მომიტევე ჩუენ ბარაბა (ლ. 23, 18); აღიღე ეგე და ჯუარს-აცუ (ი. 19, 15)... ამ სემანტიკის შესაბამისად ვნებითის ფორმაში სუბიექტად ვინ კლასის სახელი დასტურდება: რაჟამს აღიღის მათგან სიძმ იგი (მრ. 2, 20C).

დგამს ზმნას ობიექტად ნივთის სახელი ეწყობა, მაგრამ არც ადამიანის სახელი გამოირიცხება: უბნებსა ზედა დასდგმიღეს სნეულესა (მრ. 6, 56C). ასევე, დებს ზმნა ძველ ქართულში ობიექტად ადამიანის კლასის სახელსაც იგუებს: დაჰსდებდეს უძლურთა (მრ. 6, 56DE); შდრ.: ვნებითის ფორმის სათანადო ნიმუშები (სუბიექტი=პიროვნებას, ადამიანს): სადა იღვა უფალი (მ. 28, 6C); სიღედრი სიმონისი იღვა სიციხითა (მრ. I, 30C); რომლისა ძმ თუსი იღვა სნეული კაფერნაომს (ი. 4, 46C); იგო ვა იხილა იესუ, რ დაერდომილ იღვა (ი. 5, 6C)...

⁶ ვ. შენგელია, ქონა-ყოლის აღმნიშვნელ ზმნათა სემანტიკური განაწილება..., გვ. 114; შდრ.: Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964, с. 208; მისივე, К этимологии двух картвельских основ-обладания. Этимология, 1974, Москва, 1976, с. 172—174.

ასევე არ ჩანს სემანტიკურად ცოცხალი-არაცოცხალის დაპირისპირებით მოტივირებული ცნობა-ცოდნა ზმნური ვარიანტების არსებობა ძველ ქართულში: შდრ.: რამეთუ იცნიან კმაჲ მისი (ი. 10, 4C), რომლისაჲ ვიცით დედაჲ და მამაჲ (ი. 6, 42)...

მიძღუანა, მიძღუანება ზმნის ობიექტად ძველ ქართულში ნივთის სახელთან ერთად ადამიანის სახელიც გვხვდება: წარგიძღუანებდეს შენ მილიონ ერთ (მ. 5, 41), აღრე მომიძღუანოს იგი აჟა (მრ. II, 3C; მოავლინოს DE). „ვეფხისტყაოსანში“ ამ ფუძესთან ობიექტად მხოლოდ ნივთის სახელი გვაქვს. ასეა ძირითადად ზანურშიც⁷.

მოტანა, შეტანა, წატანა... ზმნური ფორმები ძველ ქართულში იშვიათად დასტურდება. მოგვიანო ხანის ძეგლებში კი ეს ფორმები დღევანდელი ქართულისაგან განსხვავებით ადამიანის, პიროვნების მიმართაც ითქმობა: მუნ შევიტანენ ხათუნნი (ვეფხ. 1126, 3); შეიტანნეს დიდებულნი (ვეფხ. 722. 2)⁸, ერთი კაცო წავიტანე და წაველ (რუსულ. 4, 39)...

დანანება ზმნა ძველსა და მომდევნო ქართულში ადამიანის მიმართაც იხმარება: ღმერთმანცა შეინანა განმბქობელი იგი (მ. სწ. 7, 36); შევინანნე კაცნი ესენი (ქ. ცხ. II, 65, 9); „საპირისპირო“ შეცოდება ფუძეს ძვ. ქართულში სხვა მნიშვნელობა აქვს: „ცოდვის ქნა“ (საბა).

ძველ ქართულში შეშობა//შეშობა (=დახრჩობა) ზმნის ობიექტად ნივთის სახელიც ჩანს: აღმოსცენდეს ეკალნი და შეაშთვეს იგი და ნაყოფი ვერ გამოიღო (მრკ. 4, 7 DE; შეაშდვეს C); და სხუა დავარდა შორის ეკალთა, და აღმოსცენდეს ეკალნი და შეაშთვეს იგი (ლკ. 8, 7);

დახრჩობა ზმნის „საპირისპირო“ სემანტიკური ცალი ჩაძირვა ძველ ქართულში თითქოს არ დასტურდება, არ გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“. დ. გურამიშვილთან კი ეს ზმნა ადამიანს მიემართება: ბეწვი მწყდა მისის ღვენითა, მეც წყალში არ დავიძირე (129, 451-1).

ოპოზიცია მოხუცება~დაძულება (თუკი ამგვარ ოპოზიციას დავუშვებთ), უფრო ადამიანისა და ნივთის დაპირისპირების ამსახველია, ვიდრე ცოცხალისა და არაცოცხალისა, შდრ.: ყოველნი

⁷ ამ ფუძის საპირისპირო ციქუ/ციქვ ძირი ეტიმოლოგიურად ვინმეს წარვლინებას ნიშნავს. შდრ.: ზან. ო-ჩქვან-ს „აგზავნის ვილაცას“... არნ. ჩიქობაჲ, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., გვ. 379; ქ. დანელია, ქართული სამწერლობო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1983, გვ. 199.

⁸ „ვეფხისტყაოსნის სიმფონია“, შედგენილი აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1956.

ვითარცა სამოსელნი დაძუელდნენ, (ფს. 101C27), ჩანს, რომ დაძუ-
ელება ნივთის სახელის, სამოსელის თვისებაა და ადამიანის მიმართ
გადატანითი მნიშვნელობით იხმარება; შვილნი უცხოთანი განყდეს
დაძუელებულნი და კელობდეს ალაგთა მათთაგან (ფს. 17C45);
და მოიწია დაძუელებულისამდე დღეთაჲსა (შატბ. კრ.,
277, 24)⁹.

ასევე არაა ზუსტი წაქცევა-ვარდება ზმნების დაპირის-
პირება ცოცხალთან და არაცოცხალთან მიმართების თვალსაზრისით.
ვარდება ზმნის სუბიექტად ძველ ქართულშიც ჩვეულებრივია
ადამიანის კლასის სახელის დასმა: ერთიცა მათგანი არა და-
ვარდების (მ. 10, 29); დავარდა მონაჲ იგი (მ. 18, 26);
დავარდა მოყუასი იგი მისი (მ. 18. 29C); დავარდა
ფერკთა თანა იესუმისთა (ლ. 8, 41); დავარდეს და თაყუანის-
სცეს მას (მ. 2, 11)... შტრ.: აგრეთვე ამ ზმნის მიმღებობის (დავრ-
დომილი) სემანტიკა: სიღვდრი სიმონისი დავრდომილი იყო
მჭურვალებითა (მრ. 1, 30); (იხ. საბა: დავრდომილი „გლახაქთან ნახე“);
ძველ ქართულში წაქცევა ზმნას სხვა მნიშვნელობა ჰქონდა (საბა:
წარქცევა „წინ წაყრა“)¹⁰ და ვარდნა ზმნის საოპოზიციო ცალად
არ გვევლინებოდა.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ სპეციალური კვლევის ჩატარების
გარეშე, განსახილველად წარმოდგენილ ზმნურ ლექსებათა ისტორიის
გაუთვალისწინებლად, ქართული (და ქართველური) ზმნის პრინციპულ
საკითხთა დასმა-გადაწყვეტა წარმატებული ვერ იქნება. სპეციალური
კვლევა ცალკე აღებული ზმნური ლექსიკური ჯგუფისა თუ ცალკეული
ზმნის სემანტიკისა სხვაგვარი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას
ვარაუდობს. კერძოდ, უკვე ითქვა, რომ *verba habendi*-ს რიგის ზმნა-
თა სემანტიკის კვლევამ ძველ ქართულში გამოავლინა ქონა-ყოლის
აღმნიშვნელ ზმნებში პიროვნებისა და ნივთის სემანტიკის გარჩევა,
როგორც ამოსავალი ვითარებით მოტივირებული მოვლენა. ასევე,
ცალკეული ზმნური ლექსიკური ვარიანტების ანალიზმა ისევ ადამიან-
ისა და ნივთის დაპირისპირება წამოსწია წინ. მაგ.: აღტეხა და
აღტყინება ფორმების შედარების შედეგად ძველ ქართულში
ასეთი დასკვნაა მიღებული: აღტეხა და აღატყინა (<აღ-ა-
ტეხ-ინ-ა) ფორმების ერთდროული არსებობა განაპირობა იმ ფაქტმა,
რომ აღტეხა ზმნას დაეკისრა სემანტიკურად რამდენადმე განსხვავ-
ებული მნიშვნელობის გადმოცემა: აღტყინება კონკრეტულად

⁹ შტრ.: ხეშიაშვილების ძველები კახეთიდან მოსული ყოფილან, ქ. დიალ. I, ზემოთპარული, 400, 10.

¹⁰ იხ. ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი.

„ანთებას“ ნიშნავს და ითქმის უმეტესად ცეცხლზე ან ნივთზე, ხოლო ალტენბახ — უპირატესად ადამიანზე ითქმის და მათს ალელეგებას ნიშნავს. თუმცა არის ცალკეული შემთხვევები, როცა ალტენბახ, ალტენბახული ზოგჯერ ადამიანის მიმართაც იხმარება, მაგრამ კონკრეტულ მნიშვნელობას „ანთება-დაწვისას“ ინარჩუნებს¹¹.

რა თქმა უნდა, ენაში ყოველთვის არსებობს ისეთი ზმნური ცნებები, რომლებიც მიემართება მხოლოდ ადამიანს (იციინის...). მხოლოდ ცხოველს (ქიხვიინებს...), ან — ნივთს (იბზარება...): ბუნებრივია, თუ ცოცხალ არსებებს (ადამიანებს, ცხოველებს) ბევრი საერთო ცნების აღმნიშვნელი სიტყვა შეესაბამება; ქართული ენის ბუნების, ქართული ენის ისტორიის თვალსაზრისით უფრო ფასეული ჩანს იმ ზმნათა ჩვენება, რომლებიც ამოსავალში ნეიტრალური არიან. ნიშნულად განვიხილოთ ზმნური ფუძე შევ (შობა):

ახალ ქართულში შობს (შევა) ადამიანის მსამართით ითქმის; ცხოველის გამრავლების აღმნიშვნელად სხვა ზმნური ლექსემები იხმარება (მოგება, გაჩენა...); უმეტესად ადამიანის დაბადებას აღნიშნავს ეს ფუძე ძველ ქართულშიც: აბრაჰამ შევა ისაკი (მ. I, 2), მაგრამ გამოიყენება ცხოველის მიმართაც: „შობაჲ მართო ადამიანის დაბადების სახელზმნა კი არ იყო, როგორც ახლა გვესმის, არამედ დედალი პირუტყვის მოგებასაც ამავე სიტყვით აღნიშნავდნენ ხოლმე“ — წერდა ივ. ჯავახიშვილი¹². რაჟამს შევის ძუმან ლომმან ლეკუნი (ფიზ. II, 59), რომ ამ ზმნის ობიექტი რა კლასის სახელსაც იგუებდა, ეს ჩანს შევ ფუძის ზანური შესატყვისობებიდანაც: ჰან. ქორმე მაქვალი ქოღოსქუ, მეგრ. ქოთომქ კვერცხი ქოსქუ „ქათამმა კვერცხი დაღო“. „მნიშვნელობის მხრივ სხვაობაა ამ ძირებს შორის: ზანურში იგი (სქე) აღნიშნავს „კვერცხის დაღებას“, ქართულში — „შობს“ (შევა) ადამიანის დაბადებაზე ითქმის“¹³.

ინტერესს იწვევს ქართულსა და ზანურში შევ ფუძიდან ნაწარმოები სუფიქსური (ქართ. შვილი-, ჰან. სქირი- < *სქე-ირი-, მეგრ. სქი < სქირი-) და პრეფიქსულ-სუფიქსური ქართ. (პირ)-მშო, მეგრ. სქუ-ა < *მსქუ-ა წარმოება: სვანურში მხოლოდ

¹¹ ბ. გიგინეიშვილი, კულტურის ფუნქციონალური სუფიქსი ზმნათა ერთ წყობასთან ძველ ქართულში. — მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, IX, თბ., 1981, გვ. 67.

¹² ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველ ბუნება და ნათესაობა, გვ. 198.

¹³ არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1936, გვ. 315—316.

პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება დასტურდება: გ-მ-ს გ-ე // ს გ-ე-მ (<*მ-შ ვ-ე), რაც უფრო არქაულად არის მიჩნეული¹⁴.

სემანტიკის თვალსაზრისით ძველი ქართულის პირმშო და შვილი ადამიანის მოდგმის ნაშიერს აღნიშნავს: შვა ძმ იგი მისი პირმშო (ლ. 2, 7), შვილი ჰშეე (1, მეფ. 4, 20); ორივე ფუძე ცხოველთა ნაშიერის გამოსახატავდაც იხმარება: პირმშოები ზროხათა ჩუენთა და არვეთა ჩუენთა მოვილოთ (0, ნემ. 10, 36); ცხოვარი იგი და შვილი მისი არა დაჰკლნეთ (G ლევიტ. 22, 28); საფიქრებელია, რომ ამოსავალში *მ-შ ვ-ე (პირმშო) და შვილ ფუძეები სემანტიკურადაც განსხვავდებოდნენ. მშეე-შვილი მიმღეობათა შესატყვისი ფორმების არსებობა ქართველურ ენებში გაპირობებულთა საერთო ქართველურში გარდამავლობა-გარდაუვალობის დაპირისპირების გარჩევით. კერძოდ, მ-თავსართით ნაწარმოები მიმღეობა ყოველთვის სასუბიექტოა (ცალკე დგას ინვერსიული ზმნეობი) და გარდაუვალი ზმნიდან იწარმოება¹⁵: მშეე — ვინც იშვა (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ვნებითის ფორმები ამ რიგის მიმღეობებს არ აწარმოებენ!); -ილ სუფიქსიანი მიმღეობები კი გარდამავალი ზმნიდან იწარმოება და უახლოესობიექტს მიესადაგება: შვა — შვილი. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ ზანურსა და სვანურში არ დასტურდება გარდამავალი ზმნის აწმყოს ფუძიდან წარმოებული სასუბიექტო მიმღეობის (მ-შობელ-ი) შესატყვისი ფორმა.

ბ) ერთი ზამონაჲლისი კითხვითი „რა“ ნაცვალსახელის ხმარებაში

ცნობილია, ენათა უმრავლესობა კითხვით ნაცვალსახელებს იმის მიხედვით განარჩევს, ადამიანს ეხება შეკითხვა თუ საგანს, ამასთან სხვადასხვა ენებში ცხოველები მიეკუთვნებიან როგორც ადამიანთა, ასევე ნივთთა კლასს; არსებობს შერეული ვარიანტიც: ცხოველს შეესაბამება როგორც ადამიანის, ასევე ნივთის კლასის აღმნიშვნელი ნაცვალსახელი¹⁶. მაგ.: სქესის მიხედვით ფორმალური დიფერენციაცია კითხვითი ნაცვალსახელებისა გერმანულში ლექსიკალიზებულია და

¹⁴ თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1959, გვ. 60.

¹⁵ ე. თ. სიძე, მიმღეობის წარმოება ქართულში, თსუ შრ., ტ. 67, თბ., 1957, გვ. 188, 193.

¹⁶ К. Е. Майтинская, Местоимение в языках разных систем, Москва, 1969, с. 218—219.

გამოიყენება პიროვანისა და არაპიროვანის განსასხვავებლად Wer? „ვინ?“ — Was? „რა?“ (მღრ.: wer — der, was — das, Wer? და-ესმის პიროვნებას, Was? საგანსა და ცხოველს. რუსულში კითხვითი ნაცვალსახელი KTO? დაისმის როგორც ადამიანის, ისევე ცხოველის მიმართ, ЧТО? — საგნებისა და მოვლენების მიმართ).

ქართულში (და სხვა ქართველურ ენებში) კითხვითი ნაცვალსახელი ვინ მხოლოდ ადამიანს აღნიშნავს რა? — ნივთის კლასის სახელებს. ამ ჩგუფში ცხოველებიც შემოდიან.

ერთგვარ გამონაკლის ქმნის თითქოს შემდეგი ფაქტი: ახალდაბადებული ბავშვის მიმართ შეკითხვის ფორმაში შევ- ზმნასთან კითხვითი რა ნაცვალსახელი დაისმის (რა — კითხვითი ნაცვალსახელი დაისმის აგრეთვე დაბადება, შექენა, ყოლა ზმნათა მიმართაც): „და აღივსნეს ექუსნი თუენი, და მეშვდესა თუესა შუა ანა. და ჰრქუა ყრმის აღმქუმელსა მას: „რაჲ ვშევ?“ და მან ჰრქუა მას: „ქალი“ (2, 84)¹⁷; შეკითხვის ფორმა განუსაზღვრელია: „რაჲ ვშევ?“ — პასუხი განსაზღვრული, კონკრეტული — ქალი.

რა კითხვითი ნაცვალსახელი იხმარება დაჰბადა ზმნასთან „ვეფხის-ტყაოსანში“: მისი მსგავსი სიუხვითა ღმერთმან სხვამცა რა დაბადა? (119, 4); კითხვითი ნაცვალსახელის აღრესატს ამ კონტექსტში ზოგადის, განუსაზღვრელის ფუნქცია აკისრია.

რა კითხვითი ნაცვალსახელი დაისმის ყოლა ზმნასთანაც, არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ბავშვი ახალდაბადებულია (და სქესი განუსაზღვრელია, უცნობია), არამედ მაშინაც, როდესაც ბავშვი ასაკოვანია, მაგრამ შემკითხველისათვის არაა ცნობილი მოსაუბრეს ვაჟი ჰყავს, თუ ქალი: ჰკითხა მას, ვითარმედ: რაჲ გყავს თვისი? მიუგო, ვითარმედ ძმ ერთი (პატ. I, 158, 10-ა); ჰყავს ზმნას ენაცვლება აქუს $\sin=8; 79v Ath=12: 198r$)... გაქუს რაჲ სოფელსა შინა? ხოლო მან ჰრქუა: გარნა ერთი ძე მივის“. აქვე, პარალელურ კონტექსტში უვის ზმნასთან რა კითხვითი ნაცვალსახელის მაგივრად ვინ დაისმის: ...უკუეთუ უვის ვინ სოფელსა? და მან თქუა: ერთი ძმ მივის (პატ. I, 159)... ამ პარალელურ კონტექსტებში კითხვითი რა ნაცვალსახელის ზმნასთან მიმართების ორი შესაძლებლობაა განხორციელებული: 1. კითხვითი რა ნაცვალსახელი და ზმნის სემანტიკა ერთმანეთს იგუეებს მიმართების თვალსაზრისით: რაჲ აქუს? (მორფოლოგიურ სუბიექტად აქუს ზმნასთან ძვ. ქართულში უფრო ხშირად ნივთის კლასის სახელი დგას, მაგრამ აღინიშნება ადამიანის სახელიც). II. კითხვითი ნაცვალსახელისა და

¹⁷ იაკობის პირველსაზარების ხანშეტი ნაწყვეტები, ა. შანიძის რედაქციით. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 20, თბ., 1976, გვ. 24.

ზმნის სემანტიკა ერთმანეთს არ ეგუება — რაა ჰყავს? (ჰყავს ზმნა ძველ ქართულში მხოლოდ ადამიანის სახელს აჩვენებს მორფოლოგიურ სუბიექტად): ნაცვალსახელში ენის ვითარებაა წარმოდგენილი, ზმნაში — რეალური ვითარება; ვინ უფის? ამ კონტექსტში უკვე რეალური ვითარების ასახვაც გვაქვს და სემანტიკური შეხამებაც.

ახალ ქართულში ჩვეულებრივია ამგვარი სიტუაციისათვის რა ჰყავს? რა ეყოლა? ან რა შეეძინა? დიალექტებში ასეთი ფრაზები შეგვხვდება: „ჩემმა ცოლმა ლეკვები შობა, თუ რაცა შობა, მაინც ჩემი შვილიაო“ (ქ. დიალ. I, ქვემოაქარული, 511, 33), ცოლს დაუბარა: ვაჟი გექნებო (ქ. დიალ. I, ზემორაქული, 518, 17)...

კონტექსტში, რომელიც ბავშვის შეძენას უკავშირდება, შეკითხვის ფორმებში რა კითხვითი ნაცვალსახელი დაისმის სხვა ქართველურ ენებშიც:

მეგრ. მუ ცუნს? (კან. მუ უყოუნ) „რა ჰყავს?“

მუქ შეძინუ „რა შეეძინა?“

სვან. მჰჰ ხორი? „რა ჰყავს?“

მჰჰ ვხთენან? „რა შეეძინა?“

ინდოევროპულ ენებში სხვაგვარი ვითარება ჩანს; ახალდაბადებული ბავშვის სქესის გარკვევის დროს რუსულში იტყვიან — Кого она родила? «— А меж тем мы ещё толком не знаем, кто родился: сын или дочь?» — Кого родила Есма? — наперебой крикнули Мкид и Харихан — сына или дочь?»¹⁸ გერმანულში ამგვარად აგებული ფრაზა ბუნებრივი არ იქნება. აქ შეკითხვის ფორმაშივე უნდა აისახოს ადრესატი (ბიჭი, თუ გოგო): Ist es ein Junge oder ein Mädchen? ასევე ინგლისურშიც: Is that a boy or a girl? (Whom did she give birth to?—ინგლისურისათვის წიგნური მეტყველების ნიმუშია).

ქართველურ ენათა აღნიშნულ ფაქტს პარალელი და ახსნა მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში მოეძებნება, რომელთა უმეტესობა ადამიანის (პირონების) და ნივთის კატეგორიას გრამატიკულადაც არჩევს. ამგვარი გარჩევისათვის კი მნიშვნელოვანია შეფასებითი საზომი, რის მიხედვითაც ბავშვი ამ ენებში შეიძლება არაადამიანის, ნივთის კლასში გაერთიანდეს. დამახასიათებელია, რომ ხუნძურში ლ¹ მერ „ბავშვი“ მესამე გრამატიკულ კლასს განეკუთვნება (ჭერ კიდევ არაა ადამიანიო)¹⁹.

¹⁸ Дмитрий Гулия, Избранное, 1974, Москва, с. 73—75.

¹⁹ არნ. ჩიქობავა, მეორე გრამატიკული კლასის („მდებრობითი სქესის“) გენეზისისათვის მთის კავკასიურ ენებში, სმამ, ტ. III, № 4, 1942, გვ. 375; ნ. ან-

უნდა აღინიშნოს, რომ ადიღურ და ყაბარდოულ ენებშიც (სადაც ქართველურ ენათა მსგავსად პიროვნებისა და ნივთის კატეგორია ამაჟამად მხოლოდ სემანტიკურადაა გარჩეული) ახალდაბადებული ბავშვის მიმართ სგღ? სგთ? „რა?“ კითხვითი ნაცვალსახელი გამოიყენება: ადიღ.: ს გ და ს ო გ ზ გ მ კ გ ლ ჭ გ ღ ჳ რ? ყაბ.: ს გ თ ა ძ ჯ ზ გ მ ჯ ჯ გ ლ ზ ო ა რ „რაც იმ ქალმა შეა, ის რაა?“²⁰.

ახალდაბადებული ბავშვის მიმართ შეკითხვის ასეთი ფორმა კავკასიური ენებიდან სხვაგანაც დასტურდება. მაგ. უდიურში ამბობენ: ე კ ა ტ ა ბ ა ქ ე ? „რა ეყოლა?“ (ბ ა ქ ი ზ ე „კეთება“), ქისტურ-ბატურში: ჰ უ დ ი ნ ა ? „რა ეყოლა?“ ა — ქალის კლასის ნიშანია, მაგრამ ამ შემთხვევაში პასუხად გოგოსაც იგუებს და ბიჭსაც, შეიძლება იმიტომაც, რომ ნივთის კლასის დ-პრეფიქსით ამ ზმნას სხვა სემანტიკა აქვს: ჰ უ დ ი ნ ა ? „რა გააკეთა?“ (დ ა რ „კეთება“)...

ყუბაჩურში შეკითხვის ფორმაშივე უნდა ჩანდეს სავარაუდო პასუხი:

შღრ.: I კლ. გ ა ლ ტ ა ყ ა დ ი მ ? „ბიჭი ეყოლა?“

II კლ. ა ტ ს ო ე ა ნ ყ ა დ ი მ ? „გოგო ეყოლა?“

III კლ. კ ო ა ჩ ო ა ბ ა ყ ა დ ი მ ? „ბბო ეყოლა?“

შეკითხვის ადრესატი აქ ზმნაში შესაბამისი კლასის ნიშანს აჩენს. აფხაზურში ახალდაბადებული ბავშვის სქესის გარკვევისას შეკითხვის ფორმაში პირისა და კლასის ნიშანი არაა წარმოდგენილი: ფ ჰ ა ტ ბ ? „ქალიშვილია?“ — შღრ.: პირისა და კლას-ნიშნის დ გ ფ ჰ ა უ ჰ „ის ქალიშვილია“. უპირკლასო ზმნური ფორმები გადმოგვეცემს ზოგადად, განუსაზღვრელად აღებული სახელის შინაარსს, რამდენადაც ჭერ არ იციან, ქ ა ლ ი დაიბადა თუ ვ ა ყ ი“²¹.

შეიძლება დაგვესკვნა, რომ რა კითხვითი ნაცვალსახელი ქართული ენის ზემოგანზილულ კონტექსტებში განუსაზღვრელი სახელის მიმართ დაისმის, როდესაც ჭერ კიდევ არაა ცნობილი, ქ ა ლ ი დაი-

დ ლ უ ლ ა ძ ე , კლასობანი და პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბ., 1965, გვ. 24.

²⁰ Н. Г. Гишнев, О классе человека и вещей, как семантической категории в адыгейском, Тезисы докладов седьмой региональной научной сессии по историко-сравнительному изучению иберийско-кавказских языков, Сухуми 1977, с. 21; З. Кумахова, О некоторых способах выражения семантической категории классов в современных адыгских языках, — ЕИКЯ, VII' Тбилиси, 1981, с. 93—94.

²¹ ქ. ლომთათიძე, განსაზღვრულობა-განუსაზღვრულობის ასახვა აფხაზ რი ზმნის უღვლილებაში: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1979, № 33-132.

ბადა თუ ვაჟი; დასტურდება ისეთი ფაქტებიც, როდესაც რა კითხვითი ნაცვალსახელით განუსაზღვრელი სახელი (ვერა ნახეს სულიერი, ვერცა რამან შეაშინა, ვეფხ. 1130, 3) ან გაურკვეველი ჯიშის და მოდგმის ზღაპრული კაც-ცხოველები არიან დახასიათებულნი: ასე უთხარ: მითხარ, რანი არიან? რად ეგრე გრძნეულობთ, რომ ხან კაცი ხართ და ხან მხეცი (რუსულ. 172, 38-39); ადგილსა ერთსა პოვნეს კაცნი მძოვარნი, ღმრთის-მსახურნი, რომელთა ეკიდა ძუალები ქედთა მათთა, და, ვითარცა მოიყვანნეს იგინი წინაშე მეფისა, ჰკითხა მათ: „რანი ხართ თქუენ, ანუ რაჲ არს ძუალები ეგე, რომელ გვიდავს ყელთა? (ბალ. 51, 6); თქვა ყაის: ნეტარ რა მოვიდა თავსა ჩემსა, ნეტარ რანი არიან ესენი? თუ კაცნი არიან, რასათვის ხოცენ ამ თვსთა ბედაურთა ცხენთა და, თუ გრძნეულნი არიან, ღმრთის შეწევნით, მე გრძნეული ვერას მავნებსო (რუსულ. 343, 15-17); და ალექსანდრე ჰრქვა მას: „მხეტთა სახენი ესე, და კაცობრივად მეტყველნი რანი არიან?“ (ალექსანდრ. 149, 33)... ამათ გვერდით ისეთი შემთხვევებიც იძებნება, რომლებიც განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობით ვერ იხსნება; აქ რა ნაცვალსახელით შეფასებული სახელი მის საზოგადოებრივ ღირებულებას მიაწინებებს: ხოლო ამას ეამსა შინა მოიპოვა ღონე ესე შაჰ-თამაზ: ეზრახა ათაბაგს ქაიხოსროს და სთხოვა ცოლად ტომისაგან თვისისა. ხოლო ათაბაგს თვისი არა ჰყვანდა რა... (ქ. ცხ. II, 364, 1-3); მორდალი ზაალ მიუგებდა: ეს ბიჭი ჩემის ყმის შვილი კი არ არის, მაგრამ პატარა მოგვივიდა, გავზარდეთ, დიდძალი ღვაწლი მაქვს მაგაზედ და ჩემი მოსული ყმა არისო. თუ მოჰკვდომია რამე, ისიც მე დამიმარხავსო (ქ. ს. ძეგ. VI, 201); ბევრჯერ მივარდნილა სიკვდილის პირამდის ბავშვი, მაგრამ ქეთევანს თავისი მოვლით, თავგანწირულებით გამოუბრუნებია: ვინ დაჰკარგა და რას შეჰყურებს (ან. ერისთავი-ხოშტარია, „ბედის ტრიალი“)...

კონტექსტის მიხედვით აქ კითხვითი ნაცვალსახელი ვინ ბავშვის მშობლებს (გარდაცვლილებს) გულისხმობს, რა კითხვითი ნაცვალსახელი ბავშვის მიმართ დაისმის.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული შემთხვევების კვალიფიკაციისათვის შეფასებითი ღირებულება უფრო არსებითია. ის, რაც ადამიანის (პიროვნების) ხატს არ შეესაბამება, საზოგადოებაში ადამიანის შესახებ არსებულ ცოდნას და წარმოდგენას არ ემთხვევა — რა კითხვითი ნაცვალსახელით აღინიშნება. ასევე, ახალშობილის მისამართით შეკითხვის ფორმაში რა დაისმის არა მხოლოდ იმიტომ, რომ გაურკვეველია, ქალი დაიბადა თუ ვაჟი, არამედ იმიტომაც, რომ ახალშობილი, ჩვილი საზოგადოებრივი ღირებულების თვალსაზრისით, პი-

როვნებას, ვინ კლასის სახელს ვერ უტოლდება²². ეს რომ არა, ვინ ნაცვალსახელის დასმა შეეკითხვოს ფორმაში უფრო ბუნებრივი იქნებოდა: ახალშობილი რეალურად ვინ ჯგუფის წევრია და ვინ კითხვითი ნაცვალსახელის დასმით ახალშობილის სქესი (ქალია თუ ვაჟი?) ასევე უცნობი რჩება.

ახალი ქართულის ენობრივად თავისებური სტილური შემთხვევები, როდესაც მოსალოდნელი „ვინ“-ის ნაცვალად „რა“ იხმარება, ე. ი. რა შეეხამება ადამიანის სახელებს, თავდაპირველად ენაში არსებული სათანადო დაპირისპირებით არის მოტივირებული; ასეთებია: იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა; ვინა ხარ, რა სულიერი ხარ (ზღაპრებში)... „მტერი ამბობს, მოყვარეს კი აბა ჰკითხეთ, რა კაცია? სულ კახურს სვამს, წყალს კი არა, ისე უყვარს თვის ნაცია (ი.რ. ედლოშვილი), მაშინ გაიგებთ — ვინ ვარ და რა კაც ვარ, როცა ქალარა თმებს შემევერცხლავს (ვ. ჟურული), „ნუ კითხულობთ — ვინა ვარ? საიდან მოველ? სად წავალ? სულ ესა ვარ, რა კაც ვარ, რასაც მხედავთ თვალდათვალ“ (აკაკი)...²³

განსხვავებით სხვა ენებისაგან, რომლებშიც კითხვით ნაცვალსახელთა ბინარული სისტემის არსებობა სახელთა სათანადო განსხვავებას არ ვარაუდობს, ქართულში (და სხვა ქართველურ ენებში) ეს სემანტიკური დაპირისპირება — პიროვნება-ნივთი ლოგიკურად აუცილებელია — სემანტიკურად განსხვავებული სახელები მორფოლოგიურადაც უპირისპირდებიან ერთმანეთს: ვინ? — კახელი, რა? — კახური...²⁴

ბ) „ვინ“ და „რა“ კითხვითი ნაცვალსახელის ზოგიერთი თავისებურება ზმნათა შეხამებისას

არსებით სახელებში წარმოდგენილი „ვინ“ და „რა“ ჯგუფების დაპირისპირება ზმნაშიაც პოვებს ასახვას. კერძოდ, როგორც უკვე აღინიშნა, ქონა-ყოლის ზმნათა განაწილებას ძველ ქართულში

²² „ადამიანის გრამატიკული კატეგორია პიროვნებას გულისხმობს. რომელსაც ასაკრულის უფლება აქვს და მოვალეობაც აწევს“. — იხ. არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979, გვ. 89.

²³ ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974, გვ. 133.

²⁴ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 80, 137, 166, მისივე: იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979, გვ. 110—134. (ამდენად, მტკიცება, თითქოს არავითარი ლოგიკური აუცილებლობა არ არსებობს კითხვით ნაცვალსახელთა ბინარული სისტემის არსებობისა (ადამიანი ~ არაადამიანი, ცოცხალი ~ არაცოცხალი), იმის დამოწმე-

„ვინ“ და „რა“ სემანტიკური დაპირისპირება უდევს საფუძვლად, ამ განაწილებისათვის სახელობით ბრუნვაში დასმული მორფოლოგიური სუბიექტის სემანტიკაა განმსაზღვრელი (ვ. შენგელია).

რადგან გარდამავლობა სახელისა და ზმნის შეხამებით განისაზღვრება, ბუნებრივია, სახელთა ძირითადი სემანტიკური დაჯგუფების კვალი (ვინ~რა) აქაც წარმოჩნდეს. „ვინ და „რა“ ჯგუფის სახელები ახალ ქართულში სუბიექტადაც გვევლინებიან და ობიექტადაც: ვინ მოვიდა? — ბავშვი... რა დგას? — ხე; ვინ მოკლეს? — კაცი. რა მოკლეს? — მგელი. ვინ ააშენა? — კაცმა, რამ დააბრმავა? — ხიხარბემ.

გასათვალისწინებელია, რომ ნივთის სახელების გამოყენება გარდამავალ ზმნებში სუბიექტად შეზღუდულია²⁵ (თავისი სემანტიკის მიხედვით ისინი შესაბამის ზმნათა მხოლოდ III პირის ფორმაში იხმარებიან), სამაგიეროდ ობიექტად ნივთის სახელები ჰარბობენ გარდამავალ ზმნებთან (იგულისხმება სახელობითში დასმული უანლოესი ობიექტი); როგორც აღნიშნულია²⁶, სამვალენტთან გარდამავალ ზმნასთან პიროვნებისა და ნივთის სემანტიკის ლექსიკური ერთეულების შეხამებისას სახელობითის ბრუნვის ფორმას მიიღებს უპირატესად ნივთის სემანტიკის მქონე დამატება, მაგ.:

უკერავენ თინას კაბას — შეუკერეს თინას კაბა.

უშენებენ ქვრივს სახლს — აუშენეს ქვრივს სახლი.

დამატებათა შექცევადობა ამ კონსტრუქციებში გამორიცხული ჩანს.

არსებით სახელებში პიროვნებისა და ნივთის საოპოზიციო ჯგუფების სემანტიკურ და გრამატიკულ თავისებურებებს წარმოაჩენენ კლასიფიკატორები — „ვინ“ და „რა“ კითხვითი ნაცვალსახელები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით თავისებური ვითარება ძველ ქართულში გვაქვს. კითხვით „ვინ“ და „რა“ ნაცვალსახელთა ქცევა ბრუნებისა და შესაბამისად ზმნასთან

ბით, რომ ზოგიერთ ენაში ერთი კითხვითი ნაცვალსახელი ასხვევებს აღმინანს და არაღამინანს, ცოცხალს და არაცოცხალს (იხ. K. E. Майтинская, Местонимие в языках разных систем, Москва, 1969, с. 220—221) ქართველურ (და კავკასურ) ენების მიმართ, ჩვენი აზრით არაა ზუსტი.

²⁵ შეკითხვა что делает? განსხვავებით შეკითხვისაგან кто делает? მეემართება მუდამ ობიექტს და არასდროს სუბიექტს. იხ. R. Jakobson. Beitrag zur allgemeine Kasuslehre, TCLP, 1936, ესარგებლობთ ამ შრომის ო. რევზინას ეულის თარგმანით ფრანგულიდან «Материалы к спецкурсу по структурной типологии языков», Москва, 1956, (ლითოგრ.), გვ. 146.

²⁶ ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, I, თბ., 1973, გვ. 321.

(გარდამავალთან და გარდაუვალთან) შეხამებისას რიგ თავისებურებებს გამოავლენს, რაც გარდამავალი ზმნის ბუნებითაცაა შეპირობებული.

ინდოევროპულ ენებში ბრუნვის კატეგორია მჭიდროდ უკავშირდება სქესის კატეგორიას²⁷; მოულოდნელი არ იქნება თუ ქართულში (ქართველურ ენებში) სახელთა ბრუნებაში გამოვლინდება ბინარული ოპოზიციის — პიროვნება-ნივთი — კვალი, „ვინ“ და „რა“ ნაცვალსახელების ბრუნების თავისებურება ამ დაპირისპირებას მიაწინებს.

როგორც ცნობილია, ვინ კითხვითი ნაცვალსახელის ბრუნების პარადიგმა ძველ ქართულში საზოგადო სახელების ბრუნების პარადიგმასთან შედარებით ნაკლებია. საზოგადო სახელთა ექვსი ბრუნვის ნაცვალად (წოდებითის გამოკლებით) „ვინ“ ნაცვალსახელს ოთხი ბრუნვა აქვს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ოთხი ბრუნვის ფუნქციას ორი ფორმა ვი-ნ, ვი-ხ ასრულებს:

მხ. რ.		მრ. რ.
სახ.	}	ვი-ნ
მოთხ.		
მიც.	}	ვი-ეთ
ნათ.		

„ვინ“ ნაცვალსახელის სემანტიკითაა განპირობებული, რომ ძველ ქართულში მას არა აქვს მოქმედებითი (ინსტრუმენტალისი) და ვითარებითი (ტრანსფორმატივი) ბრუნვები²⁸; ინსტრუმენტალისი და ტრანსფორმატივი ადამიანის კლასის სახელისათვის დამა-

²⁷ Дж. Лайонз, Введение в теоретическую лингвистику, М., 1978, с. 310—311. სხვაობა არსებით სახელებსა და ნაცვალსახელების „სახელობითი“ და „ბრალდებითი“ ბრუნვის ფორმებს შორის შედგენდება მხოლოდ ცოცხალ არსებათა სახელებში — არც ერთ ინდოევროპულ ენაში საშუალო სქესის არსებით სახელებში სახელობითი და ბრალდებითი არ განსხვავდებიან. ასე რომ, საშუალო სქესისა და არაცოცხალის კატეგორია გათანაბრებულია.

²⁸ თ. შარაძენიძე, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, კრ. „სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, I, თბ., 1956, გვ. 410—433; Г. А. Климов, Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962, с. 101..; ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 505—506; ჯ. ფოგტი, ბრუნვათა სისტემა ძველ ქართულში. მიმოხილველი (სამეცნიერო-მხილვითი-გრაფიული ჟურნალი), თბ., 1963, გვ. 269, 279; არ. მარტიოშვილი, ნაცვალსახელი, ქართველურ ენებში, თბ., 1964, გვ. 331—341.

ხასიათებელი არ არის²⁹ (შდრ.: კვლა ეტყვის: ყმაო, რად მპოვე, ვინ მეუბნები, მე ვინო, „ვეფხ“. 241, 1; რად მპოვე = ვინაღ მიგაჩნი-ვარ).

„ვინ“³⁰ კითხვითი ნაცვალსახელი პიროვნების აღმნიშვნელ გრამატიკულ და რეალურ სუბიექტად გვევლინება გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების დრო-კილოთა I და II ჯგუფში; გარდაუვალ ზმნასთან ის სახელობით ბრუნვაშია წარმოდგენილი, გარდამავალთან — დრო-კილოთა I ჯგუფში სახელობით ბრუნვაში, II ჯგუფში — ერგატივში. სახელობითი და ერგატივი ვინ ნაცვალსახელისა გაუღიფერენციკრებელია (ე. ი. ვინ ომონიმური ფორმაა); აქ საინტერესოა ის შემთხვევები, როცა პიროვნების აღმნიშვნელი სუბიექტი და ობიექტი ერთ ფორმასთანაა შეხამებული (დრო-კილოთა II ჯგუფში).

იჩვენება, რომ „ვინ“ სუბიექტის როლში გვევლინება გარდამავალი ზმნის ობიექტური წყობის ფორმებთან; თუ ზმნაში წარმოდგენილია მარკირებული უახლოესი ობიექტი (I და II პირი), გარდამავალ ზმნასთან შეხამებული ვინ ნაცვალსახელი მხოლოდ სუბიექტი შეიძლება იყოს (ერგატივში): ვინ არა გამგმოს და მაბრალოს სწრაფსათვის ჩემისა მშვდობის ყოფად! (მ. სწ. 31, 29), ვინ მომიყვანოს მე ქალაქსა მას ძნელსა? (ფს. 107C11), ვინ გვხილნეს ჩუენ? (ფს. 63C6), მრავალთა თქვან: ვინ გვჩუენოს ჩუენ კეთილი? (ფს. 4, 7), ვინ მოგცა შენ კელმწიფებად ესე? (მ. 21, 13), ვინ გიჩუენა თქუენ სივლტოლად მომავლისა მისგან რისხვისა (მ. 3, 7)...

III პირის ფორმათა შეხამება ვინ ნაცვალსახელთან ამჟღავნებს ამ ფორმის ობიექტურ ბუნებას; ვინ ამ რიგის შეხამებაში სუბიექტის როლში გვევლინება: ვინ ცოდა, ამან თუ მშობელთა მისთა, რამეთუ ბრმად იშვა? (ი. 9, 2); ვინ-მე უკუე ცნას ძალი რისხვისა შენისაჲ, ანუ შიშითა გულისწყრომად შენი ვინ არაცხოს? (ფს. 89C11), ანუ ვინ იქსნეს სული თვისი კელთაგან ჯოჯობეთისათა? (ფს. 88C49), ვინ მოსცეს სიონით ცხორებად ისრაელსა (ფს. 52C7)...

²⁹ მაგ. დილოურ ენებში საკუთარ სახელებს ინსტრუმენტალიზი არა აქვთ. იხ. Д. С. И м н а й ш в и л и, Дидойский язык в сравнении с гинухским и хваршинским языками, Тбилиси, 1963, с. 53—56.

³⁰ სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ -ნ კითხვით ვინ-ნ ნაცვალსახელში (და მითითებით მან-ნ ნაცვალსახელში), ერგატიული ბრუნვის ორგანულ დაბოლოებას წარმოადგენს, იხ. არნ. ჩიქობავა, მითხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში, თსუ შრ., X, თბ., 1939, გვ. 168.

სამვალენტოან გარდამავალ ზმნებთან, როდესაც უახლოესი ობიექტი (არამარკირებული) პიროვნებას აღნიშნავს, დასაშვებია კითხვითი ვინ ნაცვალსახელის დასმა ფრაზაში სახელობითის ფუნქციით, მაგრამ ამგვარი შემთხვევები ძველი ქართულიდან იშვიათად დასტურდება: უახლოესი ობიექტის მისამართით დასმული ვინ ნაცვალსახელი ძველი ქართულისათვის არ არის ჩვეულებრივი ფაქტი³¹: ვინ განარიხხე? (ეს. 37, 23), ვინ აგინე და შეურა ცხყავ? Кого ты порицал и поносил? (IV მეფ. 19, 22).

გარდამავალ ზმნებთან სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვის ფუნქციით ვინ ნაცვალსახელის ხმარება პოზიციურადაა გაპირობებული; ამასთან, გარდამავალ ზმნასთან სახელობითში დასმული „პიროვნების“ ობიექტის შეხამება შეზღუდულია. პიროვნების აღმნიშვნელი სახელის ძირითადი ფუნქცია სუბიექტის აღნიშვნაა.

კითხვითი რა ნაცვალსახელი ძველ ქართულში გარდაუვალი ზმნის სუბიექტისა და გარდამავალი ზმნის ობიექტის აღსანიშნავად იხმარება: რაჲ ძეს ჩემი ცათა შინა? ანუ შენგან რაჲ ვითხო [ო] ქუეყანასა ზედა? (ფს. 72C25). თავისი სემანტიკის გამო ეს ნაცვალსახელი აბსოლუტურ-გარდაუვალი ზმნის მხოლოდ მესამე პირის ფორმას იკუთხებს.

რა კითხვითი ნაცვალსახელი ობიექტად (III პ.) წარმოგვიღებდა გარდამავალი ზმნის როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური წყობის ფორმებთან შეხამებისას. ოღონდ ესაა: თუ ზმნა ორვალენტანია, რა ნაცვალსახელი უახლოეს ობიექტად მხოლოდ სუბიექტური წყობის ფორმებთან დასტურდება: ნუ ჰზრუნავთ და იტყვთ: რაჲ ვჰამოთ, ანუ რაჲ ვსუათ, ანუ რაჲ შევიმოსოთ? (მ 6, 31), ...და შენგან რაჲ ვინებე ქუეყანასა ზედა? (ფს. 72L25), რაჲ განიზრახე და უდებ-ჰყავ? (სინ. 67, 6), რაჲ ვყო, რამეთუ ბრძოლაჲ მაქუს სიძვისაჲ და მიმოდავიტაცები გულისწყრომად? (პატ. II, 182, 84—86).

გარდამავალი ზმნის ობიექტური წყობის ფორმებთან რა ნაცვალსახელი უახლოეს ობიექტად გვევლინება თუ ზმნა სამვალენტოანია: რაჲ მოგცეს, ანუ რაჲ შეგძინოს შენ ენამან მზაკუევარმან? (ფს. 119C3), რაჲ მიყოს მე კაცმან? (ფს. 117C6)...

³¹ თუ გარდამავალი ზმნის ობიექტური უღვლოლების პრინციპებს გაითვალისწინებთ, ეს მოვლენა უჩვეულოდ არ მოგვეჩვენება: ობიექტია განსაზღვრული და შეკითხვის დასმა აღარაა საჭირო. საკითხი ქართულ-ბერძნული, ქართულ-სომხური... პარალელური ტექსტების შესწავლას მოითხოვს.

გარდამავალ ორვალენტთან ზმნასთან თუ პიროვნების ობიექტით წარმოდგენილი, რა კითხვითი ნაცვალსახელის შეხამება გამორიცხულია; გამონაკლისის შესახებ (რ ა ე ვ ე ვ?) უკვე გვქონდა მსჯელობა.

სამვალენტთან გარდამავალ ზმნასთან ნაცვალსახელი „რა“ შეიძლება მიემართოს უახლოეს ან ირიბ ობიექტს (ნიეთის ან ცხოველის აღმნიშვნელს): რას ძურის-საქმესა შესწამებთ მაგას? (ი. 18, 29), რასა-მე ვამსგავსო ნათესავი ესე? (მ. 11, 1)...

ძველ ქართულში კითხვითი რა ნაცვალსახელი ერგატივში (ე. ი. გარდამავალი ზმნის სუბიექტად) თითქმის არ გვხვდება (ეს ბუნებრივია, რადგანაც ყოველი ზმნა უპირველესად მოქმედებას აღნიშნავს... მაგრამ რეალურად „მოქმედებენ“ მხოლოდ ცოცხალი არსებანი, დანარჩენი საგნები კი არ „მოქმედებენ“, არამედ გადაადგილდებიან)³²:

ერგატივში დასმული რა (რამან, რამ) კითხვითი ნაცვალსახელი ძირითადად გვიანდელი ძეგლებიდან დასტურდება („ვეფხისტყაოსანი“, „ბალავარიანი“...):

რ ა მ ა ნ დაგაყენნა აქამომდე? (ბალ. 19).

„ვარდსა ჰკითხეს: ეგზომ ტურთა რამან შეგქმნა ტანად, პირად (ვეფხ. 879, 1).

ქაჯი ყველა უხორცოა, რამან შექმნა ხორციელად (ვეფხ. 1254, 2);

პირველ მითხრა: „არა ვიცი, რა ხარ, ანუ რას გამსგავსო?

ანუ აგრე რამ დაგლიძ, ანუ პირველ რამ გაგავსო, რამან შექმნა მოყვითანედ, ვარდ-გიშერი რომე ჰრგავსო ღმერთმან მისგან ანთებული სანთელიმცა რად დაგავსო?

(ვეფხ. 602).

ცხადია, რომ „რა“ ნაცვალსახელის გამოყენება ერგატივის ფუნქციით შეზღუდულია³³.

„ვინ“ ნაცვალსახელისაგან განსხვავებით „რა“ კითხვით ნაცვალსახელს მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმები ეწარმოება.

³² А. М. Пешковский, Русский синтаксис в научном освещении, Москва, 1956, с. 78—79.

³³ კ. დანელიამ X საუკუნის ხელნაწერ ძეგლებში დაადასტურა რა ნაცვალსახელის ბრუნვათა უიშვითესი ფორმები: რამან მოკლა ნაბუთე ისრაიტელი... რანო იყენენ სასწაულნი იგი? (ბას. კეს. „სწაულათა“, Ath, 32)... შესმნეს რათა იტყვან წინაასწარმეტყუელნი (იერ. A—1108), იხ., მისი: რა კითხვითი ნაცვალსახელის ბრუნვის ისტორიისათვის. — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადეული, XII, 1985.

მოქმ. ბრ.: უკუეთუ მარილი იგი წბილ იყოს, რაჲთა დაიმა-
რილოს მრკ. 9, 50 (Ежели соль не солона будет, чем вы её поп-
равьте); რაჲთა ვცნა ესე? (ლ. 1, 18)... По чему узнаю это?
ვით. ბრ. რად დამაგდებ მე? (მ., 27, 46); Для чего ты меня
оставил?

როგორც ვნახეთ, „ვინ“ და „რა“ ნაცვალსახელების
სემანტიკური დაპირისპირება თავს იჩენს ამ
ნაცვალსახელთა ბრუნებისას და ზმნასთან შე-
ხამებისას. ვინ ნაცვალსახელისათვის ძირითადია სუბიექტის
აღნიშვნა გარდამავალი თუ გარდაუვალი ზმნისა, რა ნაცვალსახე-
ლისათვის ძირითადი ჩანს გარდამავალი ზმნის ობიექტის აღნიშვნა.
ზმნასთან შეხამებისას სუბიექტისა და ობიექტის პოზიციები განსაზ-
ღვრულია. „ვინ“ კითხვით ნაცვალსახელებს არა აქვს მოქმედებითი
(ინსტრუმენტალისი) და ვითარებითი (ტრანსფორმატივი) ბრუნვები.
„რა“ კითხვით ნაცვალსახელს კი ძველ ქართულში იშვიათად ეწარმოე-
ბა ერგატიული ბრუნვა. ნაცვალსახელთა ეს თავისებურება, რაც მათი
სემანტიკითაა გაპირობებული, ბუნებრივია, თუ ამ ნაცვალსახელთა
შესაბამისი კლასის სახელებსაც ახასიათებდა. კერძოდ, მიგვანჩია, რომ
მეორეული უნდა იყოს ერგატივი ნივთის აღმნიშვნელ სახელებში —
ნივთის აღმნიშვნელ სახელთა მეტაფორული გაზრების, პერსონიფი-
ციების შედეგად წარმოქმნილი; ძველი ქართულის ზოგიერთი ფაქტი
შეიძლება მიგვანიშნებდეს ნივთის აღმნიშვნელ სახელებში ერგატიუ-
ლი ბრუნვის ჩამოყალიბების დინამიკას. მაგ., რიგი ზმნა, რომელიც
ცოცხალ საგანთა მოქმედებას გამოხატავს ძველ ქართულში II ჯგუ-
ფის დრო-კილოთა ფორმებს არ იწარმოებს³⁴ (იქვრნობს, კვ-
ვის...), ანდა, მეტაფორულად ადამიანის მიმართ იხმარება და შესა-
ბამისად დრო-კილოთა II ჯგუფში სუბიექტი ერგატივში დგას.

ღალად ყავ და დაიყვივლე (ეზ. 21, 12), აღიყუვლა ყო-
ველმან ერთბამად (ი. ნ. 6, 20); დაიღუშინა ვითარცა მკეცმან
(ფლატ. 145, 25), იქუხოს კმითა რისხვისა მისისაჲთა (ი. 37, 4)...

ნივთის კლასის სახელთა მეტაფორული გამოყენების შემთხვე-
ვები ძველ ქართულში საკმაოდ დასტურდება: სიბრძნემან ღმრთისა-
მან თქუა (ლ. 11, 49); ვა იწყო ღლემან მან მიდრეკად (ლ. 9, 12); მწუ-
ხარებამან აღავსნა გულნი თქუენნი (ი. 16, 6); ცამან წუმაჲ მოსცა
(იაკობ, 5, 18); და დაუტევა იგი მჭურვალეებამან მან (მ. 8, 15); სარწმუ-
ნოებამან შენმან გაცხოვნა შენ (მრკ. 5, 34) და ა. შ.

³⁴ ამ თვალსაზრისით შემთხვევითი არ უნდა იყოს ძველი ქართულის ცნობილი
უიკვა ფორმა: „მეყსეულად ქათამი ყიკა“. (მ. 26, 74).

ეს საკითხი, რა თქმა უნდა, სპეციალურ კვლევას საჭიროებს. პერსონიფიკაცია მრავალ ენას ახასიათებს და ის ენის გრამატიკულ სტრუქტურაში განსაზღვრულ როლს ასრულებს. ყველაზე უფრო შესაფერის წარმოდგენას მოქმედ სუბიექტზე, განსაკუთრებით კი გარდამავალი მოქმედების სუბიექტზე ცოცხალი არსება გვაძლევს, ობიექტზე — არაცოცხალი არსება. როლების შეცვლას — როდესაც არაცოცხალი სუბიექტის როლში გამოდის სახელობით ბრუნვაში, ცოცხალი კი ობიექტად — ბრალდებითში — პერსონიფიკაციის ელფერი დაჰკრავს: Грузовик раздавил ребёнка; Фабрика калечит людей; Печь пожирает много угля — წერს რ. იაკობსონი³⁵. ბ. უორფი შენიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევებში ცხოველის სქესი ინგლისურში განისაზღვრება იმ საკუთარი სახელებით, რომლებსაც ჩვენ ცხოველებს ვარქმევთ: თუ ძაღლს ჰქვია ტომი (Tom), ან ლედი (Lady), ვერ ვიტყვი: „Tom came out of its Kennel“, არამედ ვამბობთ „Tom came out of his Kennel“ (ძაღლი ტომი გამოვიდა თავისი სადგომიდან)... „Lady came out of her Kennel“...³⁶; ცოცხალი არსებითი სახელი ფაქულტატურად შეიძლება განისაზღვროს როგორც პირი³⁷.

ახალ ქართულში შეიმჩნევა ცხოველების ადამიანებთან გათანაბრების ტენდენცია. არსებით სახელთა „ვინ“ და „რა“ ჯგუფების გვერდით იმავდროულად გვაქვს სხვაგვარი დაჯგუფება არსებითი სახელებისა; „არსებითი სახელების მთელი ფონდი ნაწილდება ჰყავს- და აქვს- ჯგუფებად, ე. ი. ერთი მხრივ, ისეთ სახელებად, რომელთაც ჰყავს — ზმნა შეესამება და, მეორე მხრივ, ისეთებად, რომლებიც მხოლოდ აქვს — ზმნას იგუებენ³⁸. ქართული ენის განვითარების გზაზე — ძველიდან ახალი ქართულისაკენ — „ქონა-ყოლის“ ზმნებში განხორციელდა ოპოზიციის ვინ-რა გარდაქმნა თვისობრივად ახალ დაპირისპირებად სულიერი-უსულო: ჰყავს მეგობარი-აქვს წიგნი... ცხოველებს უთანაბრდება თვითმობრავი ტრანსპორტი: მანქანა ჰყავს...

ქონა-ყოლის ზმნებში მომხდარი ამ „გადაფასების“ შედეგად, შეიძლება უჩვეულო აღარც იყოს ცხოველების მიმართ „ვინ“ კითხვითი ნაცვალსახელის ხმარება:

³⁵ Р. Якобсон, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 146.

³⁶ B. Whorf, *Language, Thought and Reality, Selected Writings of Benjamin See Whorf, Massachusetts, 1965*, გვ. 93.

³⁷ Уолесс Л. Чейф, *Значение и структура языка, Москва, с. 130.*

³⁸ ბ. ფონსეა, *ქართული ენის ლექსიკოლოგია*, გვ. 133—134.

- კიანკველებზე რამე თუ გსმენია?
- ვიზე? არა, არაფერი (გ. დოჩ. 153).
- ისინი თუ გხედავდნენ?
- ვინ, კიანკველები? (გ. დოჩ. 156)...

„ქონა-ყოლის“ ზმნებთან „ვინ“ და „რა“ დაპირისპირების მოხსნა, რა კითხვითი ნაცვალსახელის ერგატივში დასმა ერთი რიგის მოვლენებია და პიროვნებისა და ნივთის სახელთა დაპირისპირების რღვევას მიანიშნებს.

VI. ბარდამავლობის სინტაქსური განხილვები ქართულში (უახლოესი ობიექტი, სუბიექტი)

გარდამავალი ზმნა ქართულში ხასიათდება „პირდაპირი ობიექტის შეწყობის უნარით“¹. გარდამავალია ზმნა, თუ მას ბრუნვაცვალებადი ობიექტი მოეპოვება². ეს ბრუნვაცვალებადი ობიექტი ნამყოფი ძირითადში სახელობით ბრუნვაში დგას. სახელობითში დასმული ობიექტი არის გარდამავლობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი.

3. ფოგტის აზრით, გარდამავალია ქართულში ის ზმნები, რომელთაც სუბიექტი ერგატივში შეეწყობათ³. ავტორი ითვალისწინებს ობიექტის ბრუნვებსაც, თუმცა აქცენტი ამ განსაზღვრაში სუბიექტზეა გადატანილი (ამგვარად, გარდამავლობის განსაზღვრისათვის გადამწყვეტია ბირთვის სიტყვათა სინტაქსი ნამყოფი ძირითადში).

გარდამავლობის დახასიათება სუბიექტის თუ ობიექტის ბრუნვის მიხედვით სინტაქსურია. ეს სინტაქსური ნიშნები „გარდამავალი ზმნის თავისებურების ერთ-ერთი გამოვლენაა, მეტად მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ერთადერთი“⁴.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ რიგ შემთხვევაში გარდამავალი ზმნის შემცველ შესიტყვებაში შეიძლება არ აღმოჩნდეს გარდამავლობის განმსაზღვრელი ძირითადი სინტაქსური ნიშნები: უახლოესი (პირდაპირი) ობიექტი ან სუბიექტი. ქვემოთ წარმოვადგენთ შესიტყვებებში ობიექტისა და სუბიექტის გაუჩინარების შემთხვევებს

¹ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბილისი, 1973, მეორე გამოცემა, გვ. 311.

² იქვე.

³ H. Vjøsigt. Grammaire de la langue georgienne, Oslo, 1971, გვ. 88, იხ. ამის შესახებ ნ. ჩართოლანის რეცენზია — პანს ფოგტის „ქართული ენის გრამატიკა“. მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია, I, თბ., 1974, გვ. 174—175.

⁴ არნ. ჩიქობავა, ზმნის გარდამავლობის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიისა და სისტემის თვალსაზრისით. ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXV სამეცნიერო სესია, თეზისები, თბ., 1969.

ახალი და ძველი სალიტერატურო ქართულის მასალების მიხედვით (ამგვარი ელიფსური შესიტყვებები ძირითადად ნასახელარ ზმნებს ახასიათებს).

1. ბარდამავლობა და უახლოესი ობიექტი

ა) უახლოესი ობიექტის ელიფსი შესიტყვებაში

(ახალი ქართულის მიხედვით)

უახლოესი ობიექტი უფრო ხშირად იმგვარ შესიტყვებებში გაუჩინარდება⁵, სადაც ზმნა სასუბიექტო ქცევის ფორმითაა წარმოდგენილი⁶, თუმცა ობიექტის დაკარგვა არც ნეიტრალური და საობიექტო ქცევის ფორმათა შემცველი შესიტყვებებისათვის არის უცხო. წარმოდგენილი მასალის გათვალისწინებით ელიფსურ შესიტყვებებს შემდეგი თანამიმდევრობით განვიხილავთ: ნეიტრალური ქცევის, საობიექტო და სასუბიექტო ქცევის ფორმათა შემცველი შესიტყვებანი.

ქცევის მიხედვით ნეიტრალური გარდამავალი ზმნები

ა-თენ-ებ-ს // ა-თენებ-ს მას: დასვენების მაგივრად ცის ქვეშ ათენებ („ლიტერატურული საქართველო“, 20.VIII, 76. № 34 (2033); რა. ხანია მამლაყინწამ იყივლა და გაათენა (რაფ. ერისთავი); შდრ.: ამის შემდეგ გადასწყვიტა, რომ დამეს აქ გაათენებს (ალ. ყაზბეგი, II, 17).

ა-ღამ-ებ-ს // ა-ღამ-ებს მას: მე ვათენებ, მე ვაღამებ, მე ამომყავს შუე და მთვარე (აკაკი, ქგლ, I, 738); შდრ.: ტაციობით დღეს აღამებს (ილია, I, 86).

⁵ გაუჩინარებას; „დაკარგვას“ პირობითად ვხმარობთ. კონკრეტული ფაქტის ისტორიის შესწავლა გვარკვევს, სად გვაკლია შესიტყვებაში ობიექტი და სად არ გვექონია საერთოდ.

⁶ ა. შანიძე წერს: ის სათავისო ქცევის ფორმები, რომლებიც დაცლილია ქცევის შინაარსისაგან და პირდაპირ ობიექტს ვერ მიიღებენ („თავსაც“ კი), საშუალო გვარის ზმნებშია გადასული (მედიაოქტივებში); ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 330. ზმნებს, რომელთაც პირდაპირი ობიექტი არა აქვთ და სუბიექტის ბრუნვაეცვალებადობა ახასიათებს, ა. შანიძე პირობითად ნახევრად გარდამავალ ზმნებს უწოდებს. იხ. მისი „ქართული გრამატიკა“, I, მორფოლოგია, თბილისი, 1930, § 58; „ძველი ენის გრამატიკა, თბილისი, 1976, გვ. 59.

ა-ცხუნ-ებ-ს // ა-ცხუნ-ებ-ს მას: მზე კი თანდათან მიიწვედა და ისე აცხუნებდა, რომ ზოგი კამეჩი გააღეკა (შ. არაგვ. II, 59, 3). შდრ. მზე მეტად აცხუნებდა გარემოს (გ. წერ. II, 232, 1); მზე საამოდ აცხუნებდა ზურგს (დ. შენგ. II, 451).

ა-ნათ-ებ-ს // ა-ნათ-ებ-ს მას: თქვენ იცით, რომ ქვეყანაზედ მაშინ უფრო თბილა, როცა მზე ანათებს. (გოგ. V, 30); შავხედე: ელისაბედი მონათებდა თეთრადა (რაფ. ერისთ. II, 49); შდრ.: სამოთხესაც აქედამევე ეგ ანათებს (ილია, II, 73).

და-ა-ბნელ-ებ-ს // და-ა-ბნელ-ებ-ს მას: ფარდებს ჩამოუშვებ, დაეაბნელებ სახლში (გოგ. V, 76); შდრ.: ჭალას ნისლი დააწვა შავად და ისედაც ჩამობურულ-ჩაბნელებული არემარე უფრო დააბნელა (ვაჟა, ქგლ, III).

ა-ბოლ-ებ-ს // ა-ბოლ-ებ-ს მას: გაციებულ თუჯის გროვაზე მუშა იჭდა, აბოლებდა („კომ“. 12. VI, 76, № 137); შდრ.: პირალ-მა წევს, აბოლებს ჩიბუხს (ილია, II, 150); ლუარსაბი ისევ ოცნებაში იყო და აბოლებდა ჩიბუხსა (ილია, II, 151).

მი-ა-ბაკუნ-ებ-ს // მი-ა-ბაკუნ-ებ-ს მას: მიდის, ყავარჯენს მიიბჯენს, მიაბაკუნებს მიწაზე (ვაჟა, ქგლ, V); შდრ.: დობილები ბორანის დაღმართზე მიაბაკუნებდნენ ქოშებს („ლიტერატურული საქართველო, 25, VI, 76, № 26).

მო-ა-ბიჯებ-ს: დინჯად ფენს მოაბიჯებდა ჰუსეინ ალა (უიარაღო, I, 401). შდრ.: მიაბიჯებს (იგი);

მი-ვ-ა-შურე მას // მი-ვ-ა-შურე იგი: ცხენი მაშინვე იქით მივაშურე (შ. არაგვ. II, 35, 4)..

ა-გვიან-ებ-ს // ა-გვიან-ებ-ს მას: მე თანაბმა ვარ... ოლონდ არ დააგვიანო... (დ. კლდ. ქგლ, III). შდრ.: ჭერ სოსო არ ამღვარა, ნულარ დააგვიანებ? (შ. არაგვ., I, 50, 27).

ა-თბობ-ს // ა-თბობ-ს მას: თქვენ შენიშნავდით, რასაკვირველია, რომ მზე დილითა და საღამოთი ისე ძრიელ არათბობს, როგორც შუადღისას (გოგ. V, 82). შდრ.: ხოლო მზე, შეიძლება გადმოითურს უფრო ათბობდა, ვიდრე გამოღმითურს (ვაჟა, VI, 60).

ა-კანტურ-ებ-ს // ა-კანტურ-ებ-ს თავს: და რო შაძებდა, რო კატამ მზეზე აკანტურებდა, წამოხტა და სოსოსკენ მოკურცხლა (ქ. დიალ. I, ქიზ. 225, 5).

გა-ა-ჭენ-ა: კაცმა გააჭენა, წევიდა (ქ. დიალ. I, იმერხ. 386, 10); შდრ.: გაათავა სიმღერა და თან გააჭენა ცხენი (ქ. დიალ. I, 387, 12).

⁷ დააგვიანებ-ს (=და-ი-გვიანებ-ს) განმარტებით ლექსიკონში კვალიფიცირებულთა როგორც კუთხური.

ჩვენ მიერ დამოწმებულ შესიტყვებაში უახლოესი ობიექტის გაუჩინარების მიზეზი შეიძლება შემდეგი იყოს: შესიტყვებისათვის სუბიექტს ენიჭება მნიშვნელობა და ობიექტი შეიძლება გამოტოვებულ იქნეს, მით უმეტეს თუ ეს ობიექტი ადვილად იგულისხმება, ე. ი. მოცემული სიტუაციისათვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მზე ანათებს, აცხუნებს და ათბობს და არა ის, თუ რას ანათებს, აცხუნებს და ათბობს. როდესაც კონკრეტულად ობიექტზე მითითებაა საჭირო, ის აღდება.

საობიექტო ქცევის გარდამავალი ზმნები

შესიტყვებებში, სადაც საობიექტო ქცევის გარდამავალი ზმნა მონაწილეობს, შეიძლება უახლოესი ობიექტის ფარდი სახელი არ დადასტურდეს:

გა-უ-ჩირაღდნ-ა: ივანე მოგიკვდეთ, თუ ახლავ არ გაგიჩირაღდნოთ (შ. არაგვ. II, 101, 20).

მო-უ-ჩრდილ-ა: მოკაფეს ფოთლიანი ფიჩხი და მოუჩრდილეს იაგოს (ალ. ყაზბ. I, 281, 39).

მო-უ-ყრუ-ა: ნუთუ გგონიათ, რომ მე იმათ მოვუყრუებდი (მაჩაბ. თარგმ. ქეგლ); სიმართლეს არ ვუყრუებდი („მნათ“. 7, 1983, 55); მეც წავუყრუე და ვფიქრობ ჩემთვის (დ. შენგ. II, 336)... შდრ.: ყოველივე ამას ყური მოუყრუა ჩვენმა ავტორმა (ილია, IV, 90); სხვების ლაპარაკს კი მოვუყრუოთ ყური (ნ. ლომ. I, 282, 14).

გა-უ-ხუმრ-ა: წისქვილის პირას მაძინია შეგვხვდა და ხომ იცი მისი ამბავი, გაუხუმრა (უიარაღო, II, 368), შდრ.: ლიზობლოდოვის სახელიც კი გაუხუმრა (გ. წერ. 424).

შემო-უ-ტი-ა: ჩვეულებრივ უახლოესი ობიექტის გარეშე გვხვდება: შემოუტია მან მას; მაგრამ, შდრ.: მან ცხენი შემოუტივა (ამირანდარ. 83, 9); შემოუტივა ცხენი (ამირანდარ. 307, 5)...

უ-ღრენ-ხ: ლომ-ვეშაბ-მგელნი დიდ პირს მიღრენენ, თვალებს მიჰყეტენ, მყეფენ, მიღრენენ (გურ. 308, 14, 3—4).

უ-სტვინ-ა: /და/უსტვინა მან მას, შდრ.: შაშვმა მისტვინოს ზევსური (აკაკი, II, 310).

წა-უ-ბორძიკ-ა: ჩვეულებრივია სასუბიექტო ქცევის ფორმა: წაიბორძიკა (მან), უახლოესი ობიექტი აღდება საობიექტო ქცევის შესაბამის სინტაგმამო:

ქარგია, თუ კაცს საწუთრო გრძლად საქმეს დააცლიდესა,

წაუბორძიკოს არ ფეხი გზასა, რაზომსაც ვლიდესა

(გურ. 92, 211, 23);

მო-უ-ხშირ-ა: ფრთების ბარტყუნი, საშინლად მოუხშირა (შ. არაგვ. II, 86, 5), გულმა ძგერა მოუხშირა (აღ. ყაზბ. II, 380, 20). ჩვეულებრივ ამ ზმნასთან მიცემითში დასმული ობიექტი გვაქვს.

შე-უ-თამაშ-ა (გა-უ-თამაშ-ა): ჩვეულებრივ უახლოესი ობიექტის გარეშე იხმარება. მაგრამ, შდრ.: დიასახლისს შეაჩერდა, ტუჩები შეუთამაშა და შორეული კონცა გაუგზავნა (უიარაღო, I, 177).

უახლოესი ობიექტი საკმაოდ ხშირად ზმნის ფუძეში გვაქვს წარმოდგენილი:

გაუჩირადდნა ჩირადანი, მოუყრუა ყური, მოუჩრდილა ჩრდილი, ჩვენს მაგალითში „ფოთლიანი ფიჩხი“ ენაცვლება „ჩრდილი“ სიტყვას (მოკაფეს ფოთლიანი ფიჩხი და მოუჩრდილეს იაგოს), რადგან სემანტიკურად იმავე ფუნქციას ასრულებს; საინტერესოა ამ მხრივ „მიუნაკადულა“ ზმნის ჩვენება კონტექსტების მიხედვით:

I. მი-უ-ნაკადულ-ა (ნაკადული // წყალი): მიუნაკადულა წყალი (ნ. ლომ. 667, II).

II. უახლოესი ობიექტის როლს ასრულებს დამოკიდებული წინადადება:

დაასხა თუ არა კოკისპირულად, მაშინვე მიგუნაკადულე (ს. მგალ. 363, 13); ის, რამაც კოკისპირულად დაასხა, არის წვიმა // წყალი // ნაკადული.

III. უახლოესი ობიექტი შესიტყვებაში არ გვაქვს, მაგრამ „შინაგანი ობიექტის“ სახით არის წარმოდგენილი ზმნის ფუძეში: მე მიგუნაკადლებ ბოლოში (ნ. ლომ. 667, II).

და-უ-ბღვირ-ა (თვალები): ბრავშორეული თვალებს უბღვირდა ამ თავხედ ფრინველებს (ვაჟა, VI, 85); მარტო იმისთვის არსებობს და მოდის სოფელში, რომ გლებს თვალები დაუბღვიროს (შ. არაგვ. I, 109, 5).

ეს ზმნა ახალ ქართულში ჩვეულებრივ უახლოესი ობიექტის გარეშე იხმარება: დაუბღვირა მან მას⁸.

სასუბიექტო ქცევის გარდამავალი ზმნები

ბრუნვაცვალებადი ობიექტის გაუჩინარება, როგორც ითქვა, უფრო ხშირად სასუბიექტო ქცევის ზმნათა შემცველ შესიტყვებებში დას-

⁸ შეიძლება ამ ფორმასთან უახლოეს ობიექტად „თვალი“ სიტყვა სხვა, სემანტიკურად მსგავსი ზმნის ანალოგიით იყოს დასმული. მაგ.: დღემ შემოუქვიტა თავისი ნათელი თვალები (ე. ნინოშ. I, 47, 22).

ტურდება. განსახილველი მასალის ანალიზის შედეგად აქ შეიძლება რამდენიმე ჭკუფი გამოიყოს:

ა. როცა უახლოეს ობიექტად უკუქცევითი ნაცვალსახელი „თავი“, ან სხეულის ნაწილები (თავი, ხელი, ფეხი, ტანი, გული...) იგულისხმება, ე. ი. სუბიექტი ტავტოლოგიურ ურთიერთობაშია ობიექტთან, სუბიექტი უდრის ობიექტს. ამასთანავე, დაცული უნდა იყოს ერთი პირობაც — შესაბამის ზმნათა ფუძეებიდან პარალელურად უნდა იწარმოებოდეს სტატიკური ფორმებიც (ობიექტდაკარგული გარდამავალი ფორმები სტატიკურ ზმნათა უღვლილების ნაკლებ პარადიგმას ავსებენ). ამგვარი ფორმები პოლისემიურია: თავს ასეღზედ ნუ იხარებ, ბოლოს ინანდეთ (გურ. 161, 4), შდრ.: იხარებს (მყოფ.) სტატიკ. ხარობს; თავი იბრიყვება და ჩვენც გაგვლახა (რუსულ. 188, 15), შდრ.: იმას დია მოუხდების ყმაწვილობით ვინ იბრიყვებს (გურ. 19, 94, 4), სტატიკ. ბრიყვობს; იცოცხლებს თავს: ერთ დღესაც არ ვიცოცხლებდი თავს (ანტ. ფურც. 106, 1), მაგრამ: იცოცხლებს (მყოფადის მნიშვნელობით): დიდხანს ვეღარ ვიცოცხლებ (ვაჟა, VI, 46); შდრ.: სტატიკ. ცოცხლობს; მაგ კერპობით როგორ გინდა ჩემთან თავი იმამაცო (რ. ერისთ. II, 130), სტატიკ. მამაცობს, მყოფ. იმამაცობს; უახლოესი ობიექტის ხმარება ფაკულტატურია შემდეგ ზმნურ შესიტყვებებში: ინუგეშებს თავს გოგლა (შ. არაგვ. I, 332, 22); თავიდანვე ირწმუნებდა თავს (ოთ. ქილ. 554, 45); თავს იქით იბრუნებს (ილია, II, 150). თავი მოივაცკაცა (გ. ხორგ. 85), ვერაფრით დაისაქმა თავი („მნათ.“ 1983, № 7, გვ. 44) და სხვა. უობიექტოდ ეს ფორმები სტატიკური ზმნის ნაკლებ პარადიგმას ავსებენ: სტატ. ნუგეშობს, დინამიკ. ი-ნუგეშ-ებ-ს — ი-ნუგეშ-ა: თუ ვერ იხერხა, რა ვუყოთ? ამით ვინუგეშებ, რომ ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობია (ილია, II, 131); იცოდა, რა ტყვილით იმტიენეულოს, რა სიხარულით ინუგეშოს (ილია, IV, 255); ჰ-რწამ-ს; ი-რწმუნ-ებ-ს — ი-რწმუნ-ა, ბრუნ-ავ-ს, ი-ბრუნ-ებ-ს — ი-ბრუნ-ა, ვაჟაკ-ობ-ს, ი-ვაჟაკ-ებ-ს — ი-ვაჟაკ-ა...⁹

სასუბიექტო ქცევის რიგ ფორმასთან (როცა უახლოეს ობიექტად წარმოდგენილია „თავი“ უკუქცევითი ნაცვალსახელი) სინტაგმა

⁹ ამ რიგისაა: ესეგვარ მან თავი თვისი იპირუტყოს, ხამს იხაროს, (ვახტ. 32), ღმერთს არ ეშიშვს, უძლებობით მუცელს კმონებს, იპირუტყვებს (არჩ. I, 120, 7. 3); ხოლო მეტისმეტად თავი რომ არ მოიწონოს და არ გაიზვიადოს ავტორმა, ყურს იყრუებს (ილია, IV, 158), წყეული არი დიაცი, გაიზვიადებს თავსაო... (ანდ. 5598, გვ. 364), კუის მკამელი ქათამი თავს ილორებსო (ანდ. 1141, გვ. 98), განგებ იგლებებდა თავს... (ქ. კობ., 18) და სხვ.

მყარია, უახლოესი ობიექტის დასმა შესიტყვებაში აუცილებელია: ვინც ბოროტით გამდიდრდების, თავსა დიდხანს ვერ იმდიდრებს (ვახტ. 134); თავი რატომ მოიყივნეო (რუსულ. 470, 7); მელა მახეში გაება, თავი მოიმძინარა, სიზმარი იქნებაო (გოგ. V, 22); თავს გამოიკვებს და მერე გაუდგება გზას (აკაკი, VII, 281, 26); ამგვარი ნუგეშით თავს იტანჯავდა (თ. ყრფ. თარგმ. 173); თავი ისახელა თავდადებულობით (გოგ. IX, 105); უფრო და უფრო იმკვდარუნებდა თავს (ანტ. ფურც. 228, 20); ფრიქსე თავს იქეზებდა (ოთ. ჰილ. 56, 16); ვანო ეს უკვე მერამდენედ იტუქსავდა თავს (გ. დოჩ. 50); რატომ ითავისუფლებ თავს („თბილისი“, 13, XI, 75); უფრო მკნედ ითავისუფლებდა თავს (უიარალო, II, 391); თავი იღრიკა დარცხვენით (რ. ერისთ. 28); არ იმდაბლა ჩემთან თავი (რ. ერისთ. 142) და სხვა. ამ რიგის ზმნათა ფუძეებიდან სტატიკური ფორმები არ იწარმოება¹⁰.

ზოგიერთ შესიტყვებაში უახლოეს ობიექტს უკუქცევით ნაცვალსახელს „თავი“ შეიძლება სხვა სიტყვა (სხეულის ნაწილის აღმნიშვნელი) შეენაცვლოს: თავს მალა იღვრებს (ს. მგალ. 270, 21); შდრ.: რარიგ საოცრებით მოიღვრებს კისერსა (ილია, II, 32); როგორც უნდოდა ისე გაიხარა გული (უიარალო, II, 208), სახე მოიმხიარულა („მოამბე“, 1894, № 8, გვ. 88); ამდენად თავს არ შეიწუხებდა (ვაჟა, VI, 29); შდრ.: სოსიკა ბიჭი დაეცა მიწაზე, შეიწუხა გული (ნ. ლომ. I, 91, 31); ის იმხნევებდა თავს (ანტ. ფურც. 163, 17), შდრ.: იმხნევებდა ამით მაცი გულს (ანტ. ფურც. 106, 4); იქ იჩრდილავდა თავს (ს. მგალ. 518, 5); შდრ.: მერე ხელი მოიჩრდილა („მნათობი“, I, 1972, 98).

შეიძლება „თავი“ სიტყვის ნაცვალად უახლოეს ობიექტად წარმოგვიდგეს საკუთარი აღქურვილობა; აიშვებს თავს: მოვა დრო და თავს აიშვებს ჭირნახული გმირთა-გმირი (აკაკი, II, 109); კაცმა თუ ერთი თავი აიშვა, მერე გზა უნდა უტოო (დ. შენგ. II, 430); იმ დღიდან ამოიშვა გლეხის ტანჯვიდან თავი (ისაკამ)

¹⁰ სტატიკური ფორმების არსებობა იმის პირობა ვერ იქნება, რომ შესაბამისი ფუძეებიდან ნაწარმოები სასუბიექტო ქცევის ფორმათა შემცველი შესიტყვება ყოველთვის მერყევი უნდა იყოს. შდრ.: ეს სასახლე, კობტა აივნით, თავს ილაშხებს მწვანე ხავერდებში (ან. ერისთავი-ხოშტარია, 6, 4); მაგისტვის რას იბოროტებ თავსა (ს. მგალ. 577, 4); ქალები ყოველთვის თავს ძალად ინაზებენ (ალ. ყაზ. I, 78, 19); ეს შესიტყვებანი — ილაშხებს თავს, იბოროტებს თავს, ინაზებს თავს — მყარი ჩანს, თუმცა ამავე ფუძიდან სტატიკური ფორმებიც იწარმოებიან: ლაშაშობს, ბოროტობს, ნაზობს.

(შ. არაგვ. I, 109, 15); მაგრამ: აიშვეებს ლაგამს, უახლოესი ობიექტი შეიძლება დაიკარგოს კიდევ: აიშვეებს იგი (აიშვეა მან „აეხსნება დაბმული“ (ქგლ. I), ამ ფუძიდან სტატიკური ფორმა არ იწარმოება, თუმცა ობიექტის ფარდი სახელი შესიტყვებაში შეიძლება გაუჩინარდეს. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი შემთხვევები შედარებით იშვიათია.

ზემოვანხილულ შემთხვევებში სუბიექტის მოქმედება ისევ სუბიექტს მიემართება (მოქმედება თავისთავზე), თუმცა შეიძლება სუბიექტის მოქმედება სუბიექტის სფეროს გასცილდეს და გარეშე პირზე ან საგანზე გადავიდეს. ეს იქნება „მოქმედება თავისთვის“: მოქმედება თავისთავზე. არც ერთი თავს არ ინანებდა, ოღონდ სატრფოს მოწონებით გაბედნიერებულიყვნენ (ალ. ყაზბ. I, 135, 6); ისევ საჩქაროდ შეიმაგრებდა თავს (ალ. ყაზ. II, 148, 24). მოქმედება თავისთვის: შენ გვიპატრონე და ნურც ჩვენ შეგვინანებ (ალ. ყაზბ. I, 121, 14). ხელში ველარავინ იმაგრებდა (ს. მგალ. 522, 1).

ზოგჯერ ისეთი შემთხვევებიც გვაქვს, როდესაც უახლოეს ობიექტად ორგანული კუთვნილების სახელი, საკუთარი სხეულის ნაწილი, ან ხმა... გვევლინება და „თავი“ უკუქცევითი ნაცვალსახელის ჩანაცვლება აქ შეუძლებელი ჩანს:

ი-ბარტყუნ-ებ-ს ფეხებს: თან მუხლებზე უნებურად წინა ფეხებს იბარტყუნებდნენ (შ. არაგვ. II, 83, 15).

მი-ი-კნავლ-ებ-ს ხმას: ბეჟანმა მიიკნავლა ხმა (ანტ. ფურც. 343, 41).

შეიძლება ეს ზმნები უახლოესი ობიექტის გარეშეც ვინმართ (სტატ. ბარტყუნობს, დინამ. იბარტყუნებს — იბარტყუნა...):

ზმნათა ნაწილში უახლოესი ობიექტი თითქოს არ იკარგება¹¹:

გამოილოკ-ავ-ს თითხს: პირში თითხს გამოილოკავს (ს. მგალ. 54, 12);

და-ი-მუნჯ-ებ-ს ენას, პირს: ალე პირი ღვთის საქებრად, ნუ გაიმუნჯეო (გურ. 166, 61, 2); მეტი არაფერი მკითხა და ენა დაიმუნჯა („მნათობი“, 1972, I, 42); შდრ.: შევიტყოვ და მას ნუ ვეტყვით, დავიდუმოთ, დავიმუნჯოთ (არჩ. I, 14, 3, 3—4).

ი-გრილ-ებ-ს შუბლს: ხშირად გაოფლიანებულს შუბლს ამ ასწლოვან ხეების ჩეროში იგრილებდნენ (ს. მგალ. 222, 19);

¹¹ უახლოესი ობიექტის დაკარგვა არც ამგვარ შესიტყვებებშია შეუძლებელი: კუდი ამოიძუა მყარი სინტაგმა თითქოს, მაგრამ შდრ.: ამოიძუეს, ძუნძულთ გაუდგნენ მგლები შარასა (აკაკი, IV, 279); ამოიძუა ზამთარმა/ბოლო ეღება, ეს არი (აკაკი, IV, 66, 9).

შდრ.: ინიაცეებს შუბლს, მაგრამ: ცოტა ხანს იქ ვიდექი და პერანგის საყულოთი ვინიაცებდი (რ. ინან. „სალამო ხანის ჩანაწერები“, 146)¹².

ო-კაუჭ-ებ-ს კუღს: კუღი ზურგზე შეიკაუჭა (ნ. ლომ. 421, 2).

ო-კბენ-ს ტუჩებს: თავადი ესტატე სულ ტუჩებს იკბენდა (ს. მგალ. 604, 15). ზოგიერთი სირბილის დროს საკუთარ სხეულს იკბენდა (თ. ყიფ. თარგმ. 187); მოფარვით თითსა იკბენდეს (არჩ. 160, 202, 4).

ო-ღრძ-ობ-ს მკლავს: ჩამოვარდი და მკლავი იღრძევი (ნ. ლომ. I, 145, 9).

ო-მტვრ-ევ-ს თავპირს: თავპირი არ დაინტვირიო (ნ. ლომ. I, 68, 26).

ო-წყალ-ებ-ს თვალებს: რად გინდა მაგდენი კითხვა, რომ თვალებს იწყალებ (შ. არაგვ. II, 517, 20).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ ზმნათა ფუძეებიდან სტატისტიკური ფორმები არ იწარმოება.

ბ. უახლოესი ობიექტი ზმნის ფუძეში გვაქვს წარმოდგენილი (ე. წ. „შინაგანი ობიექტის“ სახით)¹³. ცალკეულ შემთხვევებში ეს ფუძე-ობიექტი შესიტყვებაშიც გამოჩნდება, ე. ი. ზმნასა და ობიექტს საერთო სემა აქვს.

ისაქმა (საქმე): და ვისაქმე საქმე ჩემი (რუსულ. 21, 16); ივალა (ვალი): ვალი ვალზედა ვივალე ვალალობითა ვინანი (არჩ. I, 257); იძმო (ძმა), იღო (და): ვინ ძმა იძმო, ან და იღო (არჩ. I, 4, 16, 2);

ი-ღმერთ-ა (ღმერთი): ვინ იგ მოშალა უწყალოდ, მან ღმერთი აღარ იღმერთა (არჩ. II, 40, 323, 3).

მო-ი-ყრუ-ა (ყური): ისევ ყური მოიყრუა (შ. არაგვ. I, 392, 20—21); შდრ.: გულქანმა წაიყრუა (გ. წერ. II, 377).

ი-ფიც-ა (ფიცი): დიდი ფიცი იფიცა (ნ. ლომ. I, 129, 30); შდრ.: ოცდაათი თუმნის გულისათვის ვინ იფიცებს (ნ. ლომ. 241, 12).

ი-ჩრდილ-ა (ჩრდილი), ილხინა (ლხინი): ჩრდილი იჩრდილეთ, ლხინი ილხინეთ (ნ. ლომ. 367, 7—8).

¹² შდრ.: აგრეთვე დიალექტური: ნახეს, რო კაცი არი მოსული და კალოზე ტრიალუფს და ინიაცეფს ხელით (ქ. დიალ. I, ქართლ. 321, 26).

¹³ იხ. ლ. ნოზაძე, მედიალექტვ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იკე, XIX, 1974, 48, 51.

ი-ძინ-ა (ძილი): და თამარ და იძინა ძილი იგი მართალთა თუესა იანვარსა (ქ. ცხ. II, 146, 1); ძილს არ იძინებდა (გ. ლეონ. 17, 12).

ი-სტუმრ-ა (სტუმარი): დედაბერმა ეს იწყინა / ქმარი ცოლმა არ ისტუმრა / ღა ცხენების მოსავლელად / საჭინბოს გაისტუმრა (რ. ერისთ. 186); სტუმარს წესზედ ისტუმრებდა (ალ. ყაზბ. II, 70, 13).

ი-დარდ-ა (დარდი): ხომ გაგიგონია, ქვეყნის დარდი ბუმი დარდა და თავი გაუსივდაო (დ. შენგ. II, 48).

და-ი-ბუღ-ა (ბუღე): თეთრი ქუჩუ, ქუჩუბელა, გარეთ ბუღეს იბუღებდა (ანდ., 468).

ი-ზამთრ-ა (ზამთარი): პირველად რომ სეთურისას ზამთარი ვიზამთრე, ეს თაბაგარი არ ყავდა მაშინ (ქ. ამირჯიბი, 110, მ).

ი-სახელ-ა (სახელი): იყო ქვრივ-ობრის მფარველი, მამა ობოლთა და ქველი, მოძმე, მოყვასი ლაშქართა, მით ისახელა სახელი (რაფ. ერისთ., II, 7).

ჩვეულებრივ ამგვარ ზმნებთან უახლოესი ობიექტი შესიტყვებაში გამოტოვებულია: იფიცა მან, დაიძინა მან, იზამთრა მან, იჩრდილა მან... შდრ.: თუ ჩრდილი გინდა, ემანდ იჩრდილე (ირ. ევდ. 185) და მგზავრო, იჩრდილე ჩრდილში (ირ. ევდ. 339); და დაიბანა და დაიზამთრა მუნვე (ქ. ცხ. II, 327, 26—27).

უახლოეს ობიექტად შეიძლება წარმოგიდგეს ისეთი სიტყვა, რომელიც შინაარსობრივ ზმნის ფუძესთანაა ახლოს:

ი-ხარებ-ხ (სიხარულს): და აწ იხარებს სიხარულსა მას მოუკლებელსა და გამოუთქმელსა (ქ. ცხ. II, 399, 25).

გამო-ი-ჩქეფ-ა (ჩქეფი — არაგვი): ერთმა კაცმა გამოიჩქეფა არაგვი, ამოვიდა გორაზედ (ალ. ყაზბ. I, 126, 33).

და-ი-ღუმ-ა: და თქუენ დაიდუმეთ საიდუმლო ესე (ქ. ცხ. II, 415, 1).

ა-ი-კანჭურ-ა (კანჭი — ფეხი): აიკანჭურა საცოდავმა პაკომ ფეხი (ს. მგალ. 361, 5); წეროებიც იკანჭურებენ ფეხებს (ქ. კობ. 252).

მო-ი-ბოხ-ა (ბოხი — ხმა, შდრ.: ბოხი ხმა): მაგასაც ვნახავთ, ვნახავთ... მოიბოხა ხმა (ალ. ყაზბ. I, 149, 28).

გა-ი-ბოწკ-ა (ბოწკი, ბოქინტი? — ფეხი): გამობრუნდა და გაიბოწკა ფეხები (ალ. ყაზბ. I, 491, 24).

ა-ი-ვაკ-ა (ვაკე — ბეგი — სერი): აივაკებდნენ ხოლმე რომელიმე ბეგს (გ. წერ. II, 159, 10); ეს სერი რომ ჩავივა-

კოთ¹⁴ (გ. წერ. II, 153). უახლოესი ობიექტი შეიძლება გაუჩინარდეს ამ შესიტყვებიდან: ბარში რომ ჩამოველ და გავივაკე, გულმა მღვდელისაკენ გამიწია (ილია, II, 114); აგრე დოსტოლორვი ჩაივაკებთ („ლიტერატურული საქართველო“, № 42, 1976).

რ-გ ზმნასთან უახლოესი ობიექტი შინაგან ობიექტად გვაქვს წარმოდგენილი ზმნის ფუძეში და შესიტყვებაში თითქოს არ დასტურდება: იღროებს, მივა წყლის პირს (გოგ. V, 49); ევამ წაიმუხლის თავა თრთოლვით (შ. არაგვ. II, 192, 3); მერე ფეხით ამოიღმართეთ („ცისკარი“, № 11, 1975, 85): წამოიმკლავა საქაროდ, საქნარს მიუჯდა გულითა (აკაკი, IV, 338). ამგვარი ზმნებია იოხრა, იჯავრა, იშფოთა, ისადილა... მაგრამ პოტენციურად ამ ზმნებს უახლოესი ობიექტის შეხამების უნარი აქვთ, რაც ენაში კიდევაც აისახება: მუშამ იჯავროს სიგრძე დღისა და სიციხე მზისაო (ანდ. 1577); მე იმისთვის აღარა ვინადვლერა მისიო (რუსუდ. 186, 30); ვერც ერთიმან ვერ ისერა (არჩ. I, 114, 15, 3), ვინ მათ (ხილს) ისერებს, იქნებინ მარადის განათლებული (არჩ. I, 113, 5, 4); ჰა, ეს ცოტა რაღაც მოგიტანე, ჭერჭერობით ეს წაისაუზმე (უიარალო, I, 360); რაც იმრუშე, აქ შენ ისიძვე (გურ. 158, 10); რა იმამაძაღლე, შესულკატიანო (დ. შენგ. II, 335); უსარგებლოდ ვინცა ლხინობს, ბოროტის მეტს ვერას იღხენს (ვახტ. 116); კაცმა უნდა თავის საქმე ყველა ღვთითა მოივარგოს, ამ სოფელსა ხელი ჰყაროს, იქაც ბარგი დაიბარგოს (ვახტ. 15); ნაღვლის რასმე საქარვებლად მეს საქმე ვიშეგობრე (არჩ. I, 84, 726); კაცი მოყვრისა მოშურნე, მისგან თავს უფრო ივენებსა (არჩ. I, 48, 413); ვინ სულსა იღვწის, დაიდებს აღაჰსა კარ-განღებულსა (არჩ. I, 243, 93); ზოგთა იღვაწეს და მოიღვაწეს სამღთონი საქმე (არჩ. I, 243, 108); ვა, თუ ვერცეთი ისუნო, სულთ უყნოსელი დარჩე, ვა (არჩ. I, 101, 35, 4); რა ტირილი დაიდუმა, მორემშვიდდა, მორეწყნარდა (არჩ. I, 183, 392, 1); ცოფად ისრბოლეს, ცეცხლი იბოლეს (არჩ., 239, 74); ჯვივილი და სიტყვა ცუდი არ ვიუქმე სულა ცრული (არჩ. I, 268); წინ დაისვენა ქერპები (არჩ. I, 284, 66-2); რაც იმუშაკონ, ჰამონ და აჰამონ ქვეყნის მფარავთა (გურ. 67, 44, 4); მეფე ვახტანგ ამ რაყამსა არც ისმენს და არც იწიგნებს (გურ. 95, 230, 2); რომელმან ივნო ჯვარია, დასთხია სისხლის ღვარია (გურ. 177, 19, 3—4); მე აწ წამსა ვიანგარიშებ და თუალნი შენსა გზასა ზედა მაქუს (ვისრ. 80, 6—9); წადი, შენი საქმე ისურვე (ვისრ. 86,

¹⁴ უახლოესი ობიექტის შენაცვლებაში აქ პრევერბიუ მონაწილეობს.

19); ამ საწუთროსა შიგან ჩემგან ვერას გაიხარებ (ვისრ. 53, 31); ხელში რომ იგორებდა, გავარდა ხელიდამე და ასეთი შეიქნა ვითა ობოლი მარგალიტი (რუსულ. 165, 23—24), მან მიიხრა: მწვე კი დაიქინეო და, რაღაცას გაიმარჯვებო (რუსულ. 182, 14—15); რომელი მეფემან იგლოვა და ყოველმან კაცმან საქართველოს მყოფმან (ქ. ცხ. II, 110); დაიონავერეს ქალაქნი სამნი (ქ. ცხ. II, 71, 13); და ესრეთ ერთობით დაიმკვიდრე საქართველო, ვითარცა პირველ დავით აღმაშენებელმან (ქ. ცხ. II, 533, 11); და დაჯდა კარსა და მისი მიმდგომი ქუეყანა მოივერაგა ახალციხელთაგან (ქ. ცხ. II, 273, 4); და ვითარ უცოლო იყო მეფე, იქორწინა ცოლი (ქ. ცხ. II, 251, 3); იქორწინა ქართლისა ერისთავისა ჰამადას ასული (ქ. ცხ. II, 309, 21); და იქორწინა ტოლრილის შვილი, რომლისაგან იშვა ასული (ქ. ცხ. II, 172, 6); და დაიერთგულა სრულიად ქართულნი (ქ. ცხ. II, 439, 31); და გასცა საბოძვარი მრავალი სპათა თვსთა ზედა და იერთგულა (ქ. ცხ. II, 331, 21); დაიფორიაქეს ელი და დაჯოცეს მრავალი თათარი (ქ. ცხ. II, 342, 26); მოივარგა ყოველივე საქმე თვისი (ქ. ცხ. II, 335, 19); რომელმან იზმნა სუენი, იზმნა ძლევეანი, იზმნა ნათელი (ქ. ცხ. II, 59, 12); დღიურ ლუკმის მღევარმა სხვისთვის რა ვიმუშავო (აკაკი, II, 95); აწი იმანაც ეილოს თობი და იმუშაოს ყანა (ე. ნინოშ. I, 96, 1); შდრ.: ...ზის ამოსვლამდე ეზოს მახლობელ ყანაში იმუშავებდა... (ე. ნინოშ. I, 196, 37); ამ ხნის დარიანობაში ხალხიც გამხნევედა, თითქმის ვენახები კიდევ შეიმუშავეს („ივერია“, 1887, № 55, გვ. 3); ერთხელ საზრდო მოისუნა და ქურდობას მიჰყო ხელი (აკაკი, II, 120); იქურთხა მასთან ბეჭედი, ღმერთსაც ეს მოეწონება (რ. ერისთ. 46); დღეს ერთს იფრენდა, ხვალე სხვას დაჰმართის უარესია (რ. ერისთ. II, 7); მოხვია თავის მძლავრი მკლავები და თითქოს მგელმა, იფრინა ტყისკენ (ე. ნინოშ. I, 219, 40); ამ სახით სანამდის ერთ გვერდს გაიბეჭითებდა, ფურცლის ნახევარი დავითნში აღარ იყო (გ. წერ. II, 254)...

დიალექტებშიც ხშირად დასტურდება სასუბიექტო ქცევის იმგვარი ფორმები, რომელიც სალიტერატურო ქართულში ჩვეულებრივ უბიექტოდ იხმარება: დამაბრუნა, წადი ზვარი იმუშავეო (ქ. ს. ძეგ. VII, 231); გიორგიმ თანდილას სისხლი ორასი მარჩილი იჩივლა (ქ. ს. ძეგ. VI, 121, გვ. 243); გული ვერ გავიავეო (ქ. დიალ. I, თიან. 161, 4); ნაყურში რომ შემოვიდა, გაიბაღახებს ცხენსაო (მთარაქ. 99); ჩვენ ფულ მოგცემთ, შენი

ცოლ-შვილი თავს ისაზრდოებს (ქ. დიალ. I, ქვემოთმერ. 477, 27); წარმარესა ზოგი უკმოხს ილაპარაკებდა (ქ. დიალ. I, გულამაყ. 87, 4); დასხდებიან, იმაჰაკლებენ იმის ქალს ამ შულისთუნ (ქ. დიალ. I, ინგილ. 242, 20); სალომემ დამძახა: — გივარჯი შენ არაჩი გამამბალა, არა იეშმაკა რაო (ქ. დიალ. I, მოხ. 35, 28)...

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ უახლოესი ობიექტი დაჩნდება 1) მოძრაობის და 2) მეტყველების გამომხატველ ზმნებთანაც:

1) ვიარე ყოველი ქვეყანა სივრძე და სივრცე განი და (ვახტ. 16); გამოვიდა ზავ და კლდენი გამოიარნა (რუსულ. 63, 32); ეწყინა ყაისს დიდად და გამოიარა კარი (რუსულ. 340, 6); ჩემისთანა ვერსად ჰპოონ, სულ ხმელეთი მოიარონ (არჩ. 8, 62, 2); რა იგი წყალი გაიაროთ, ქუეყანა მოგხუდების კარგი (ამირანდარ. 428, 4); კურდღელმა რაც იდგომილა, ის ისტომილა (ანდ. 1277, გვ. 108); შვილმა გული გაიარა, შვილისშვილმა გულისგულიო (ანდ. 3215, გვ. 236); კურდღელმა რაც იკოქნა, ის ისტუნაო (დ. შენგ. II, 267); ბიქს უბრძანა ცხენი შეეკაზმა საჩქაროდ, ზედ მოაჭდა და ხტუნვა-ხტუნვით ეხო გაითამაშა (უიარალო, I, 51); მოვითარე შეთ მთელი ქვეყანა, (დ. შენგ. II, 433); აუშვით, არ წახდება, და ნახეთ მერე, როგორ გადაიქიხვინოს გალაღებულმა ეს მთა, ეს ბარი (დ. შენგ. II, 138)... 2) ...სიტყვა უმეცრულნი უმეცრულად დაიყბედნენ! (ვეფხ. 760, 12); რაც გინდა, იტიტინეო (რუსულ. 519, 30); მან დიაცმაც უმზგავსო იტიტინა (რუსულ. 591, 34); ზოგი სხვა რამ იმწვიტინა, მისგან არ იყო საწყენი (არჩ. II, 59, 503, 1); რაები არ იტყუა, რაები არ იცრუა (ილია, 265); ცარიელი მოუმარჯვა ცურს და რადაც ჩაიბუზღუნა (კ. კობ. 159); ზიზღით რადაც წაილულლულა (თ. ყიფ. თარგმ. 54); რადაც გაუგებარი წაილულლულა (თ. ყიფ. თარგმ. 177); კაცმა რადაც იხუმრა („ცისკ.“ 1979, № 3, 110)...

როგორც ჩანს, შესიტყვებაში, სადაც სასუბიექტო ქცევის ფორმები მონაწილეობს, უახლოესი ობიექტის გაუჩინარების მიზეზი უნდა იყოს ტავტოლოგია სუბიექტისა ობიექტთან („თავი“ უკუქცევით ნაცვალსახელთან) და ტავტოლოგია ზმნის ფუძის და ობიექტისა (ზმნასა და ობიექტს საერთო სება აქვთ). ერთ-ერთ დამატებით პირობად გვევლინება შესაბამისი ზმნური ფუძეებიდან სტატიკურ ზმნათა წარმოება.

გ. უახლოესი ობიექტის სახელი გარდამავალი კონსტრუქციის წინადადებაში უბარლო დამატების ფუნქციით¹⁵.

უახლოესმა ობიექტმა შეიძლება ზმნასთან სინტაქსური კავშირი დაკარგოს და უბარლო დამატებებს სახით მოგვევლინოს:

მოპირდაპირე მხრიდან ჭერ მზემ ამოიბეუტა სხივებით (ალ. ყაზბ. I, 489, 38).

ამოიბეუტა სხივებით — ამოიბეუტა სხივები.

ამას იგონებს მღვიძარე, არ დაიძინებს ლულითა (გოგ. V, 182);

დაიძინებს ლულითა — დაიძინებს ლულს (ძილს).

ტიგრა მოწყვეტით ჩაიმუხლებდა უკანა ფეხებით („ნობათი“, 1975, 4);

ჩაიმუხლებდა ფეხებით — ჩაიმუხლებდა ფეხებს.

ქვაბებზე უკანა ფეხით ალაჯებდნენ (შ. არაგვ. I, 390, 9);

ალაჯებს ფეხით — ალაჯებს ფეხს.

დ. უახლოესი ობიექტის ფარდად ზოგჯერ გვევლინება დამოკიდებული წინადადება. ამგვარ წინადადებას ქართული საენათმეცნიერო ლიტერატურაში პირდაპირ დამატებით დამოკიდებულ წინადადებას ეძახიან. პირდაპირ დამატებითი დამოკიდებული წინადადება „ხსნის მთავარ წინადადებაში ნაცვალსახელით გამოხატულ პირდაპირი დამატების მნიშვნელობას“¹⁶, მაგრამ როდესაც „მთავარ წინადადებაში შემასმენელი ორპირიანი გარდამავალი ზმნითაა გადმოცემული, რომელსაც აკლია პირდაპირი დამატება, ნაკლები პირდაპირი დამატების მაგივრობას აქ დამოკიდებული წინადადება ასრულებს“¹⁷.

ი-ტყუ-ა: თვალით გამხვრიტეს — იტყუა იუდამ (ს. მგალ. 32, 33).

და-ი-ფიც-ა: ყველამ დაიფიცა, რომ ამ ბრძოლაში თავი არავინ შეიშურავს (ყაზბ. I, 366, 24).

გა-ი-ხუმრ-ებ-დ-ა: ნადიბაიძე დღესაც გაიხუმრებდა ხოლმე: რა გვიქნა მაშინ სოსანამ ეხლაც თვალნათლივ მახსოვსო („ლიტერატურული საქართველო“, 9. V. 1975, № 19).

¹⁵ იხ. ი. იმნაიშვილი, სახელის ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1952, 249—250; ა. კიზირია, სინტაქსური ურთიერთობის განვითარების ზოგი საკითხი ქართულში, თსუ, შრ., 3 (142), ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 1972.

¹⁶ ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966, გვ. 364.

¹⁷ იქვე, გვ. 364, 365.

ი-ფიქრ-ებ-ღ-ა: კაცი ნუ იფიქრებდა, რომ ის სადმე ან ვინმესთან წასულიყო (ანტ. ფურც. 224, 11); ყველამ იფიქრა, რომ თავი ეშმაკს მისცაო (ს. მგალ. 86, 34—35).

ი-ძაღლ-ა: ბოლოს იმდენი იძაღლა, რომ დოკუმენტში იობ, იგივე იუდა და იროდე ჩააწერინა (ს. მგალ. 524, 8).

ე. უახლოესი ობიექტის ფარდად წარმოგვიდგება წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვა-გამოთქმები¹⁸:

მიმართვა: გლენჯაყები! — გაუქირცხლა დიამბეგმა (ალ. ყაზბ. I, 235, 1).

ჩართული: ხევის ბატონის შვილი და უბრალო მეცხორე! — გაიკამათა იმანე (ალ. ყაზბ. I, 483, 33).

მიგებითი ნაწილაკი: — არა! — ძლიეს წამოიკვნესა გორგიმ (ს. მგალ. 124, 9).

შორისდებულთ: კმ! ჩაიგმინა ბეჟიამ (ყაზბ. I, 398, 9); ყვაააა! — უფრო შემზარავად დაიჩხავლა (შ. არაგვ. II, 90, 30); ე ჰეეე! — იგრილა უცნაურმა ხმამ (შ. არაგვ. II, 85, 15).

ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა გარდამავალ ზმნათა შემცველი შესიტყვებიდან (ნეიტრალური, საობიექტო და სასუბიექტო ქცევის ფორმები) უახლოესი ობიექტის გაუჩინარების შემთხვევები ახალ ქართულში. ამ გაუჩინარების მიზეზი სხვადასხვაგვარია და გარკვეული სემანტიკის ზმნებს მოიცავს (ძირითადად ნასახელარ ზმნებს). უახლოესი ობიექტი შესიტყვებაში ადვილად იგულსხმება და ის შეიძლება გამოტოვებული იქნეს. ამ შესიტყვებაში აქცენტი სუბიექტზეა გადატანილი და ობიექტს მნიშვნელობა არ ენიჭება. სუბიექტი ტავტოლოგიურ ურთიერთობაშია ობიექტთან (უკუქცევითი ნაცვალსახელი „თავი“). ობიექტი ტავტოლოგიურ ურთიერთობაშია ზმნის ფუძესთან, ობიექტს და ზმნის ფუძეს საერთო (ან მნიშვნელობით მსგავსი) სემა აქვთ. ნაჩვენები იყო უახლოესი ობიექტის გარდამავალ ზმნასთან სინტაქსური კავშირის დაკარგვის ზოგი შესაძლებლობაც (უახლოესი ობიექტი უბრალო დამატების ფუნქციით; დამატებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვა-გამოთქმების სახით)¹⁹.

გარდამავალ ზმნასთან შესიტყვებაში უახლოესი ობიექტის ხმარება—არ-ხმარება მხოლოდ ახალი ქართულის ფაქტი არ არის. ეს მოვლენა ძველ ქართულშიც დასტურდება და ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ცალკეულ შემთხვევებთან დაკავშირებით აღნიშნულია

¹⁸ იხ. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, გვ. 293, 314;

¹⁹ სასუბიექტო ქცევის ფორმათა შემცველი შესიტყვებიდან უახლოესი ობიექტის გაუჩინარების ერთ-ერთ პირობად გვევლინება შესაბამისი ფუძიდან სტატიკურ ზმნის წარმოების შესაძლებლობა.

კიდევ: შეხედნა მან მას²⁰ (<შეხედნა მან მას თუალნი); დაპყვნეთ მაგათ თავი და წვერი (ევსტ. მცხ. 162, 36); რამეთუ ერისკაცთა ჩვეულებაჲ აქუნდა, რაჲთა წუერები მათი ძირითურთ დაიყვნონ (პარხ. 927)... შდრ.: დაყვნეს იგინი თმითა და წუერითა (ევსტ. 163, 19)²¹.

ობიექტის დაკარგვის ტენდენციაზე მსჯელობს ლ. გელენიძე²².

წარმოვადგენთ ძველი ქართულის სათანადო მასალას. პირველ რიგში სასუბიექტო ქცევის შემცველ ზმნათა შესიტყვებებს მიმოვიხილავთ. ამგვარ შესიტყვებებში ძველ ქართულში (როგორც ახალში) უფრო ხშირია უახლოესი ობიექტის ხმარება—არხმარების შემთხვევები.

გ. კლიმოვს მიაჩნია, რომ არ არსებობს იმის თქმის საფუძველი თითქოს მედიოაქტიურ ზმნათა მთელი კლასი გარდამავალ ზმნებს წარმოადგენდა (ე. ი. ამ ზმნებთან არ უნდა ვივარაუდოთ პირდაპირი დამატების არსებობა). ამგვარი დასკვნის წინაპირობა მოთხრობითი ბრუნვის უსიტყვო აღიარებაა გარდამავალი ზმნის ქვემდებარედ — წერს იგი. მისი აზრით, თითქმის შეუძლებელია ვამტკიცოთ იმგვარ პარონომაზიულ გამოთქმათა არქაულობა, როგორცაა „დაიძინა ძილი“, ძველი ქართულის „ცოდა ცოდვაჲ“, „იზრახა ზრახვაჲ“ და მისთ. რადგან, როგორც ცნობილია, ბიბლიურ ტექსტებში დადასტურებული პარონომაზიული გამოთქმები პარალელს ძველ ებრაულში პოულობენ. ამასთან, ამგვარი გამოთქმები არ დასტურდება სხვა ქართველურ ენაში²³.

ბ) უახლოესი ობიექტის ელიფსი შესიტყვებაში

(ძველი ქართულის მიხედვით)

„ზოგჯერ მედიოაქტივ ზმნათა ფუძეებისაგან „გარდამავალი“ (ხაზი ჩვენია — მ. ს.) წარმოებაც გვაქვს. ზმნასთან წარმოდგენილია „გარეგანი ობიექტი“ — წერს ლ. ნოზაძე და სათანადო ფაქტბსაც იმორწმებს: „ბრძანება მოწოდებაჲ მონათაჲ მათ,... რაჲთა უწყოდეს,

²⁰ ა. შანიძე, ზმნათა გარდამავლობის საკითხისათვის ქართველურ ენებში. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, № 2, 1942, გვ. 187—188.

²¹ ივ. იშნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 249; ანტ. კიზირია, სინტაქსური ურთიერთობის განვითარების ზოგი საკითხი ქართულში. თსუ შრ., B 3 (142), 1972, გვ. 98.

²² ლ. გელენიძე, ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებულ ლექსიკა ძველ ქართულში, თბილისი, 1974, გვ. 238.

²³ Г. А. Климов, Типология картвельских языков..., с. 138—140.

რამდენი ივაჭრეს (ლ. 19, 15), ეს სიტყუა ილოცა (კ. I, 274, 22), და ილოცა ლოცვა იაკობ და თქუა (დაბ. 28, 20). გნსუენებასა მისსა არა ინანის (ისო-ზირაქ. 20, 21), მარხვა იმარხეთ ჩემთვის (ზაქარია 360, 75), დღესასწაული ესე წმიდა იდღესასწაულეს (ანტიოქ. 54, 36), იგლოვა იგი ყნ ერმან ჰრომისამან (კ. I, 139, 18), ქურიენი მათნი არა იტირნეს (ფსალ. 211, 64)²⁴.

დასახელებულ ფაქტებს მკვლევარი ამგვარ კვალიფიკაციას აძლევს: „ამ წესით დაკავშირებული პირდაპირი ობიექტი იმეფა ტიპის ზმნებთან, ჩვენი აზრით, მეორეულია, შემდგომ განვითარებულნი“²⁵. მეორეული პირდაპირი დამატება იგულისხმება იუარა, იფიქრა, ინაღვლა, იმკურნალა, იყვირა, იღრიალა და სხვ. ამ რიგის ზმნებთან.

ისევე როგორც ახალში, ძველ ქართულშიც შეინიშნება უახლოესი ობიექტის გამოტოვების ორგვარი შემთხვევა: 1. როცა გარდამავალ ზმნის სინტაგმაში უახლოეს ობიექტად წარმოდგენილია უკუქცევითი ნაცვალსახელი „თავი“, ე. ი. სუბიექტი თანხვედრა ობიექტს; „თავი“ სიტყვას შეიძლება შეენაცვლოს მსგავსი მნიშვნელობის „სული“, ან სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სხვა სიტყვა: გული, ხელი, გვერდი... (მაგ.: განვიძლო თავი ჩემი: ფს. 109; ორედაქციაში: განვიძლო სული ჩემი...) მუცლისა ტყვილი მიზეზ-იდგას და თავი ილმოს (მ. სწ. 243, 3); შდრ.: ილმო. დედაკაცმან ერთსა შინა დღესა (0, ეს. 66, 8). „თავი“ უკუქცევითი ნაცვალსახელი მხოლოდ სასუბიექტო ქცევის გარდამავალ ზმნებთან არ გვხვდება, მაგ.: არა მოუდრეკს თავსა სიმდაბლით ძმათა (მ. სწ. 72, 10); და ერთმანერთსა თავი არა დაუმდაბლეს (პატ. II, 13, 11, 16); იგი მტყუარი არს და აცთუნებს თავსა თვსსა (მ. სწ. 207, 3)... 2. როცა გარდამავალი ზმნის ფუძეს და უახლოეს ობიექტს საერთო სემა აქვთ: დაიძინა მან ძილი > დაიძინა მან...

წარმოვადგენთ სათანადო ნიმუშებს:

ძველი ქართულისათვის უცხო არ არის სასუბიექტო ქცევის გარდამავალზმნიანი შესიტყვებები, როგორც პირდაპირი ობიექტით, ასევე — უობიექტოდ:

ი-გლოვს-: მწუხარედ იგლოვენ და სულ-თქუმით ტირან წარყვანებისათვის სულისა შენისა (მ. სწ. 5, 21); იგლოვდ აქაცოდვთა შენთათვის, რამთა არა მუნ ტანჯვათაგან იგლოვდე ურ-

²⁴ ლ. ნოზაძე, მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში (წინასწარი მოხსენება), ივე XIX, თბ., 1974, გვ. 49.

²⁵ იქვე, 49⁷⁸.

გებად (მ. სწ. 5, 38—39); და ქალწულთა მათთვის არავინ იგლოვდა (ფს. 77C63); შდრ.: და ქალწულნი მათნი არა იგლოვნეს (ფს. 77L63).

გან-ი-სუენ-ებ-ს: აჰა, ესერა, შენ განისუენებ და ესე იპირვის (პატ. II, 14, 13, 18); განვეშორე, მი-მცა-ველ და განვისუენე უდაბნოს (ფს. 54C8); რამეთუ შენ შორის ღმრთეებისა მადლმან განისუენა (სინ. 20, 33); შდრ.: რაათამცა ხატთა და ისუენებდეს სენაკთა შინა (ი.-ე. 40, 19); საობიექტო ქცევა: წარიყვანეს ანგელოზთა და შთაუსუენეს იგი წიაღთა აბრაჰამისთა (მ. სწ. 181, 33); უკეთუ შეიყუარო თავი შენი და განუსუენო, მან შეგაწუხოს შენ და მოგიძულოს (მ. სწ. 305, 29); აღასრულებენ ნებასა გულის-თქუმისასა და განუსუენებენ ჯორცთა მათთა (მ. სწ. 138, 29); დაყუდებამ უღელი არს სულმცირე და ტვრთი სუბუქი, რომელი განუსუენებს მტვრთველთა მისთა (მ. სწ. 23, 2); ღმერთმანცა უბრძანა მონათა თვსთა და განმისუენეს (პატ. I, 97, 18).

და-ი-ღუმ-ებ-ს: ნუ დაიდუმებ, ნუცა დაჰმშვდნები, ღმერთო (ფს. 82C2); არამედ დავიდუმე, რაათა არა ფრიად მოძულებულ ვიქმნე თქუენ მიერ (მ. სწ. 262-31, 32); დავდუმნე C, დავდუმნე B); და უკუეთუ შენ დაიდუმო ვედრებად მოყუისისა შენისა მშუდობისა ყოფად, ვერ შემძლებელ ხარ ცხორებად (მ. სწ. 35, 13 (დაუდუმო B)); შდრ.: ცრემლთა ჩემთასა ნუ დაიდუმებ (ფს. 38C13); ქებასა ჩემსა ნუ დაიდუმებ (ფს. 108C1); მართლად გეტყვ, რამეთუ დაფარულთა თქუენთა, რომელთა საიდუმლოდ იქმთ, იგი დავიდუმე დაწერად წიგნსა ამას შინა (მ. სწ. 270, 34 ~ დავიდუმე იგი B); ღმერთო ჩემო, ნუ დასდუმნები ჩემგან, ნუცა დაიდუმო ჩემი... (ფს. 27C1); რომელი-ი-გი გამოცხადებად არა დავიდუმო (სინ. მრ. 247, 18), ესე ყოველი ჰყავ და დავიდუმე შენ (ფს. 49C21); ესე ყოველი ჰყავ და დავიდუმე (ფს. 49L21).

ი-ვნ-ო: უენებელმან მან და უკუდავმან ივნო ვითარცა კაცმან (სინ. 22, 17); ივნო უენებელმან, რამეთუ უენებელად ჰგიეს მარადის ღმრთეებრი (სინ. 51, 8); შდრ.: ვივნოთ ვნებამ იგი მისი (სინ. 258, 32—33).

ი-ზრუნ-ა: გვედრებით შენ, უფალო პეტრე: ჩუენ ახალწერგათვს იზრუნე... უკუეთუ იყო ნებად უფლისაჲ, დაღათუ ჩუენ არა ვიზრუნოთ თქუენთვის (სინ. 246, 28—30); შდრ.: აწ უკუე იზრუნე თავისა შენისა მყუდროჲ სამკვდრებელი შესავედრებელად (მ. სწ. 197, 1); რამეთუ რომელმან წინავე არა იზრუნოს

ს ა ვ ა კ რ ო ზ , ო დ ე ს ლ ა მ ე მ ო ი წ ი ო ნ ა რ ლ ა რ ა ე პ ო [ო] ს მ ა ს ს ა გ ზ ა ლ ი (მ. სწ. 204, 5); მე არასადა ვიზრუნე საგზალი გზისა მის-
თვს საუკუნოვსა, მე არა ვიზრუნე ზეთი პირველად დაღამე-
ბისა (მ. სწ. 249, 5—6).

ი-თმენ-ს: რამეთუ უკუეთუ დაიყოვნოს მონაზონმან ამათ საქ-
მეთა შინა და მოითმინოს, არა დაიყოვნოს სულმან მისმან
(პატ. I, 133, 45, 7—8); ვითმენდით მშუდობად I, —
ვითმენდელ მშუდობად (0, იერემ. 14, 19)²⁶; შდრ.: ითმენ-
და ესოდენსა ზედა კერპობასა (ბაბ. 45, 14*); ხოლო აწ ვერ-
ლარა დავითმინე წარწყმედაჲ იგი ერისაჲ (პატ. II,
130, 11).

ი-ლოცავ-ს: ხოლო მე ვილოცევდ შენდამი (ფს. 68C14);
კაცი ილოცავს წინაშე ღმრთისა და ღმერთი ჰხედავს გონებასა
მისსა (მ. სწ. 285, 20); ნუმცა პირი შენი ილოცავს და გონებაჲ
შენი იარების (მ. სწ. 5, 9); დასცხერით! რასა-ეგე იქმთ? რამეთუ
ილოცავს თქუენთვის მართალი ესე (სინ. 56, 32); შდრ.: გზად წარ-
სრულთათვს ქმრისა მშუდობით მოსლვასა ილოცავს (სინ.
122, 21); და ვითარცა ესე ლოცვაჲ ილოცა იუდა, შეიძრა
ადგილი იგი (სინ. 242, 4).

ი-მარხ-ავ-ს: იმარხევდ ღვინსაგან და ნუ განსძლები პურითა
(მ. სწ. 150, 1); შდრ.: რამეთუ მოწლედ წმიდაჲ ესე სანთელსა
მას ქალწულებისასა იმარხვიდა (სინ. 9, 13); სიმართლენი
შენნი ვიმარხენ (ფს. 118C8); ვთქუ: ვიმარხნე გზანი
ჩემნი, რამთა არა ვცოდო ენითა ჩემითა (ფს. 38C2); რაჲ დავი-
მარხო, რამთა ღმერთსა სათნო ვეყო? მიუგო ბერმან და ჰრქუა მას:
რაჲ გამცნო, დაიმარხე (პატ. I, 3, 1, 4—5); მამლის მოყუარე არს და
სიწმიდესა იმარხავნ (სინ. 225, 11); ამიერითგან საქმისა
ამის გამოცხადებაჲ მერმესა დღესა და გიმარხო თქუენ
(სინ. 37, 30).

და-ი-მკვიდრ-ა: რამეთუ შენ თანა და შენ შორის უფალმან ყო-
ველმან დაიმკვდრა (სინ. 20, 27); უკუეთუ არა ღმერთმან დაიმ-
კვდროს მის შორის (პატ. II, 15, 13—14); მფრინველთა ცისათა
დაიმკვდრეს რტოთა მისთა (ლ. 13, 19; დაიბუღეს, DE); შდრ.:
და საფლავითა მით დაიმკვდრა ქუეყანაჲ იგი (პატ. II,
184, 90, 18); დაუიმკვდრა მათ ქუეყანაჲ იგი (საქ. მოც.
13, 19)*.

²⁶ ვარსკვლავიან ფორმებს ვიმოწმებთ ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის
ლექსიკონის“ მიხედვით.

ი-მრუშ-ა: არა იმრუშო (მ. 5, 27); შდრ.: კაცმან, რომელმან იმრუშოს ცოლი ქმრისაჲ G — კაცმან, უკუეთუ ვინმე იმრუშოს ქმრის ცოლისა თანა (pb, ლევიტ. 20, 10)*.

აღ-ი-მსთ-ობ-ს: აღიმსთო მოსე განთიად (გამოსლვ. 24, 4); ...რამეთუ წყალობამან მისმან იმსთო ჩემდამო (ფს. 58C11); ღმერთო ჩემო, შენდამი აღვიმსთე (ფს. 62C2); ღმერთო, ღმერთო ჩემო, შენდამი აღვიმსთობ (ფს. 62C2); შდრ.: ლ აღვიმსთობ შენდამი სულსა ჩემსა.

მო-ი-ნადირებ-ს: ნუცა მოინადირებთ თუალთაგან მისთა (0, იგ. სოლ. 6, 25)*; შდრ.: და ვერ მოინადირა იგი რისხვამან (მ. სწ. 195, 27); ხოლო ქებასა მისსა ყოვლით კერძოვე მოვინადირებთ, (მ. სწ. 164, 6); სამი ათასნი სულნი მოინადირნა ცხოვრებად (სინ. 190, 1); სული ზრუნავს ხილთათს და უშრომელად მომინადირებს ჩუენ: რომელი არა შურების, პირველად მას მოინადირებს ეშმაკი (მ. სწ. 274, 33—34).

უახლესი ობიექტის მაგივრად გვაქვს პირდაპირ დამატებითი დამოკიდებული წინადადება:

რადცა იპოოს შინაგან ბაღესა მას, მოინადირონ (პატ. II, 149, 26).

ეს ერთ-ერთი იმ იშვიათ ზმნათაგანია, რომელიც ი- ხმოვან პრეფიქსს კარგავს:

რამეთუ ესერა მოინადირეს სული ჩემი, და მეწინეს მე ძლიერნი (ფს. 58C4); შდრ.: ლ რედაქცია: რამეთუ ესერა მოინადირეს სული ჩემი, და დამესხნეს ჩემ ზედა ძლიერნი. მოინადირეს სული მართლისაჲ (ფს. 93C21; ლ მოინადირონ);

მოინადირებს ფორმის სასხვისო ქცევის ვარიანტი არ გვხვდება. შდრ.: განვედ ველად და მიინადირე მე ნადირი — (შატბ. 223, 29—30). ვნებითის ფორმები კი ამ ზმნისა დადასტურებულია:

ძენი კაცთანი მოინადირებიან ჟამსა ბოროტსა (ეკლ. 9, 12)*, ფრიად შზრახი ენისაგან მოინადიროს (მ. სწ. 274, 16).

ახ. ქართულში ინადირა/მოინადირა ფორმამ შესიტყვებებში უახლოესი ობიექტი დაკარგა, შესაბამისად ვნებითის ფორმებიც აღარ ჩანს. დასაშვებია ალბათ პოტენციალის ის ფორმა (აქ აღარ ინადირება). ამ ფორმის ისტორია დოკუმენტურად ადასტურებს ობიექტიანი შესიტყვების პირველადობას.

ი-ნან-ი-ს: ხოლო სული ბოროტად იგუემებინ და ინანინ ურ-
გებად საქმეთათჳს (მ. სწ. 140, 22); ნუ შეშინდებინ, არამედ შეინა-
ნენ და თქუნ (სინ. 227, 15); შდრ.: და შეინანანა ყოვლითა
გულითა ცოდვანი იგი პირველნი (პატ. 1, 27); ღმერთმანცა
შეინანა განბჭობილი იგი (მ. სწ. 7, 36); რომელთა არა
შეინანეს გულისთქუმათა და სიბილწეთა, რომელ ქმნეს
(სინ. 104, 3).

ი-ნებ-ა არა ინება კაცმან მან დადგრომად M. არა სათნო
კაცმან იყო დადგრომად (G მსჯ. 19, 10)*; ნუ ინებებ ჩუენებად-
ვითარმედ არა ვკამ წუენსა (პატ. I, 99, 4, 1); ნუცა ინებებ
სლვად მათ თანა (O. იგ. სოლ. I, 10)*; შდრ.: არა ინება უფალმან
მოსრვათ თქუენი (II შჯ. 10, 10)*.

ი-რგებ-ს: რამეთუ არავინ ირგებს სიფიცხლითა (პატ. I, 67,
10, 5); რამეთუ მის მიერ ირგებენ სხუანი (პატ. I, 135, 50,
3); არა ირგოს მტერმან მისმან (ფს. 88C23); ო არა ირგოს
მტერმან მისგან; შდრ.: არას ირგებთ (ი. 12, 19); და რაჲ
ვირგო ოქროჲსა მისგან (პატ. II, 291, 11, 18).

ი-სწრაფ-ი-ს: ვისწრაფოთ და შევევედრნეთ უბიწოთა
(მ. სწ. 151, 9); შდრ.: და ნუ ისწრაფი ფურცელთა გარდაყ-
რასა (მ. სწ. 75, 5); ხოლო ჩუენ ვისწრაფით მონაგებთა
შეკრებასა (მ. სწ. 225, 8—9).

ი-ტირ-ა: და იტირონ დაწუვად (G ლევიტ. 10, 6)*; და ქუ-
რიენი მათნი არა იტირნეს (ფსალ. 77L64).

(და) ი-უნჯ-ებ-ს: ამოლდ შურებინ, იუნჯებნ და არა უწყინ ვინ
შეიკრიბოს იგი (მ. სწ. 89, 28; ფს. 38, 6); შენ იუნჯებდ ცათა
შინა (მ. სწ. 90, 4); რამეთუ ღუმილი იუნჯებს, ხოლო ზრახვად
განაბნევს (პატ. I, 51, 7, 2); შდრ.: ჰხედავა, რაჲ შეემთხუევის მათ, რო-
მელნი ქუეყანასა იუნჯებენ? (ფს. 90, 3); ვიდრე ძალა-
გიც, და იუნჯებდ საზრდელსა, რაჲთა ოდეს არა ძალ-
გედვას, ჰპოო (პატ. II, 246, 21, 18); იუნჯებენ თავისა თვისისა
ძკრსა (O. იგ. სოლ. I, 18)*.

ი-ქად-ი-ს: ნუ იქადინ ბრძენი სიბრძნითა თჳსთა, ნუცა
იქადინ ძლიერი ძალითა თჳსთა, ნუცა იქადინ მდიდარი სიმ-
დიდრითა თჳსთა, არამედ ამას ზედა იქადოდენ, რომელ-იგი იქადო-
დინ გულისხმის-ყოფასა და ცნობასა უფლისასა
ყოფად საშჯელი სიმართლისაჲ ქუეყანასა ზედა (ფს. გალ. 3C10,
გვ. 425).

(და) ი-ღრჭ-ენ-ს: და იღრჭინნა ვითარცა ლომმან ახოვნებით
(H. 2251, 349r)*; და იღრჭენდეს მის ზედა (ლატ. ლექც. 116v,

10)²⁷. შდრ.: და იგლოვენ მარადის და იღრქენენ კბილთა (პატ. II, 291, (II), 35); და ნუცამცა და იღრქენენ კბილთა მათთა (მ. სწ. 230, 30); უმზირის ცოდვილი მართალსა, და იღრქინის მის ზედა კბილნი მისნი (ფს. 36^ტ12; ^ტდაიღრქინის); კბილთა თვსთა იღრქენდეს (ფს. III^ტ10).

ი-ღუაწ-ი-ს: და ოდესღა ფრიად მოსწრაფებით იღუაწის მეფემან, ძნად განაშუენის სამოსელი თვისი ბრწყინვალედ (მ. სწ. 191, 1); ვაჲ მე, რამეთუ არა ვიღუაწე ცხოვრებისათვის სულისა ჩემისა (პატ. I, 24, 5, 1); შდრ.: (A-1105:85) ვაჲ მე, რამეთუ არა ვიღუაწე. ცხოვრებად თავი ჩემი; და მისა შემდგომად იღუაწე ღუაწლი იგი მეორე (მ. სწ. 305, 23—24); გვედრები თქუენ, რათა... იღუაწოთ საქმე კეთილისაჲ (მ. სწ. 95, 20); და არაიენ-მცა... იღუაწა განსრულებაჲ ნეშტისაჲ მის (შატბ. 67, 33); და გულისხმა-ყავთ, რამეთუ აბრაჰამცა შეინანოს, ოდეს-იგი იხილნეს დიდ-დიდნი იგი მისაგებელნი და ნიჭნი ღმრთისანი, თუ რა და რა უფროცა იღუაწა (პატ. I, 95, 11, 36); არამცა იღუაწეა ყოველითა ღონისძიებითა მუნვე კუალად-გებაჲ ასომსა მის გუამსა თვსსა (მ. სწ. 42, 11); არა ვიცით, ვითარ დავიღუაწოთ იგი? (პატ. II, 15, 17, 30—31); და დავიღუაწოთ გუამი ესე ამისი (პატ. II, 39, 4, 22); და ვიღუაწნეთ სნეულნი (სინ. 184, 7).

ი-ყნოს-ს: ცხვრ ასხენ და არა იყნოსენ (ფს. 113^ტ14); არცა კამის და არცა იყნოსის (0, ზირ. 30, 19);* შდრ.: იყნოსენ სენსა მას (მ. სწ. 189, 7); და საყნოსელნი იყნოსენ სულსა ძალისასავე და აცნობებენ ტვნსა და ყოველსა საგრძნობელსა (მ. სწ. 176, 15); რაჟამს იყნოსი სული მძორისაჲ, მუნთქუესვე დაიბურნი საყნოსელნი შენნი (მ. სწ. 159, 13).

და-ი-ყოვნ-ა: მის თანა დაიყოვნეს მას დღესა (C ი. I, 39); რამეთუ უკუეთუ დაიყოვნოს მონაზონმან ამოთ საქმეთა შინა და მოითმინოს, არა დაიყოვნოს სულმან მისმან... (პატ. I, 133, 45, 7—8); შდრ.: ნუ დაიყოვნებ კეთილისა ყოფასა ნაკლულევიანისასა (pხ. იგ. სოლ. 3, 27)*.

ი-შუებ-ს: წმიდათა კმითა ღმერთი იშუებს (სინ. 11, 18); რაჲსა იშუებთ და განსცხრებით (მ. სწ. 49, 7—8); აჰა, ესერა რომელნი მმონებდეს მე, იგინი იშუებდნენ; ხოლო თქუენ გშიოდის (შატბ. 226, 29); განიშუეს კეთილთა შინა სულმან თქუენმან (pხ. ეს. 55, 2)*; შდრ.: რამეთუ მახარენ ჩუენ დაბადებულთა.

²⁷ ვიმოწმებთ ზ. სარჯველაძის წიგნიდან „ქართული სალიტერატურო-ენის ისტორიის შესავალი“, თბ., 1984, გვ. 337.

შენითა, და ქმნულსა კელთა შენთასა ვიშუებდეთ (ფს. 91:75); და ქმნულითა კელთა შენათათა ვიხარებდეთ (ფს. 91:75); არამედ, საყურელნო, მოვედით, ვიხარებდეთ და ვიშუებდეთ კსენებასა ყოვლად წმიდისა ქალწულისასა (სინ. 202, 12); მსთუად იშუებდეთ ნაყოფთა მისთა 0, — „მსწრაფლ სკამო ნაყოფი მისი“ (ძხ ზირ. 6, 20)*.

გან-ი-შიშულ-ა: გნებაესა გუერდისაცა ხედვად? აჰა ესერა გან-ვიშოიშულებ შენთვის (სინ. 174, 8—9); შდრ.: თმამ მათი არა განიშოიშულონ (ეზეკ. 44, 20)*.

ი-ხედავ-ს: და განუტევის თუალნი თვისნი და უნდოდ იხედავნ (მ. სწ. 265, 14); იხედავნ ზღუად კერძო (ოქრ. გურიტ. 228, 29)*; იხედვიდა გზად მიმართ (I მეფ. 4, 13)*; შდრ.: დვრესა არა იხედავ (მ. 7, 3); დააჩვენ თუალნი შენნი, რათა არა იხედვიდენ ჯორცთა სხვსათა (პატ. I, 56, 19, 1—2); იხედვიდეს ურთიერთას მოწაფენი (ი. 13, 22 DE).

ი-ძინ-ებ-ს: მერმე ჰრქუა: და-არა-იძინითა? და თქუეს: დავიძინით (პატ. II, 117, 15—16); და თითოეულმან ჩუენგანმან ღამმ თვსაგან დაიძინოს (პატ. II, 50, 1, 25); მაშინ დაიძინას ტეფანე ძილითა, სულნელითა (სინ. 61, 8); შდრ.: დაიძინეს ძილი მათი (ფს. 75:76); შდრ.: და ძილი საუკუნოდ დაგუაძინოს ჩუენ (სინ. 153, 3).

ი-ცოხნი-ს: რომლისა ქლაკნი არა განებულ იყენენ, არცა აღმოიციოხნიდეს, არა-წმიდათა თანა პირუტყუთა შერაცხილ იყავნო. და ვირიცა არა იციოხნის (სინ. 133, 32—33); შესუა ერთი მარცული პირსა და ერთი კელთ იპყრა და მოვიდა მოწაფე იგი მისი და იხილა იგი, რამეთუ იციოხნიდა და ჰრქუა მას. (პატ. II, 218, 22, 6); და ორნივე ქლაკნი განებულ არიან და აღმოიციოხნიან (შატბ. 263, 9—10); შდრ.: აღმოიციოხნიდეს საცოხნელსა საცხოვართა შორის (ლევიტ. II, 4)*; კუალად ძოვს იგი... და ოდეს მოჰმუხოს პირი ეკალმან, აღმოიციოხნის იგი (მ. ცხ. 278r); საობიექტო ქცევა: მამამან დაუციოხნის საურველნი და უქმ-ქმნის (შატბ. 180, 26); არამედ დაუციოხნის იგი პირითა თვისითა (შატბ. 111, 11).

ი-წურთ-ი-ს: მოვიკსენენ, და ვიწურთიდ ღამე გულითა ჩემითა (ფს. 76:77); აჰა, ვიწურთი და ვფსალმუნებ (პატ. II, 261-1); შდრ.: და ვიწურთიდე ყოველთა მიმართ საქმეთა შენთა (ფს. 76:77); იწურთიდ ტყუილსა და იგონებედ სიძვასა და მრუშებასა (მ. სწ. 121, 21); და გონებამ ჩემი იწურთინ ცოდვასა (მ. სწ. 262, 17); რას იწურთი მაგას, უბადრუკო? (პატ. I, 39, 25, 6).

მო-ე-წყინ-ა: არა დავდუმნები და არცა მოვიწყინებ (მ. სწ. 88, 29); და ლაზარე გლახაკი იყო და არა დრტყვიდა და არცა მოიწყინა (მ. სწ. 84, 12); შდრ.: არცა მოიწყინა ლოცვაჲ გლახაკისაჲ (ფს. 21^ს25); ამისთვის მოვიწყინე ნათესავი იგი (ფს. 94^ს10).

ი-ხარებ-ს: ჩვეულებრივ ეს ფორმა უობიექტოდ იხმარება. გული ჩემი და კორცნი ჩემნი იხარებენ ღმრთისა მცმართ ცხოველისა (ფს. 83^ს3); ვიხარებდე და ვიშუებდე შენდამი (ფს. 9, 3); და ვიხარებდეთ და ვიშუებდეთ სიხარულით მათ თანა (მ. სწ. 36, 12); იხარებდეს გული ჩემი შიშითა სახელისა შენისაჲთა (ფს. 85, 11), ჩემ ზედა იხარეს, შეკრბეს (ფს. 34^ს15); შდრ.: და განსცხრებინ და იხარებნ კსენებათა სასირცხვენთა და უნდოთა სიტყუათასა (მ. სწ. 246, 5—6); იხარა ეგვტემან გამოსლვაჲ მათი (ფს. 104^ს38); შდრ.: იხარა ეგვტემან გამოსლვასა მათსა (ფს. 104^ს38); ნუ იხარებ და იგემოვნებ სიტყუათა, რომელთა ეშორო საქმით... (მ. სწ. 290, 25); რომელი დგან და ისმენნ მისსა, სიხარულით იხარებნ კმასა მის სიძისასა (ი. 3, 29).

უახლოესი ობიექტის ამგვარი გამოტოვება მხოლოდ სასუბიექტო ქცევის ფორმათა შემცველ შესიტყვებას არ ახასიათებს. ის დასტურდება აგრეთვე ნეიტრალურ და საობიექტო ქცევათა შემცველ გარდამავალზმნიან შესიტყვებებში. წარმოვადგენთ სათანადო ნიმუშებს:

ფუც-ი-ს: რომელმან ფუცის ტაძარსა, ფუცის მას და რომელ მყოფ არს მას შინა (მ. 23, 21); შდრ.: არა ცილი ჰფუცო (მ. 5, 33).

ა-წოე-ს: ნეტარ... ძუძუთა, რომელთა არა აწოეს (ლ. 23, 29); ნეტარ არს... ძუძუნი, რომელთა გაწოვეს შენ (შატბ. 240, 10); შდრ.: აწოათა ფლი კლდისაგან (G II, შჯ. 32, 13)*.

ბ-ნერწყუ-ა: ჰნერწყუა ქუეყანასა და შექმნა თიქაჲ (ი. 9, 6); ჰნერწყუა ყურთა მისთა (მრ. 7, 33); უკუეთუმცა მამამან მისმან შეჰნერწყუა პირსა მისსა, არა ჯერ იყოს მისა შეწუხებამ (მ. სწ. 40, 32); შდრ.: სისხლი წარმოჰნერწყუა (მ. ცხ. 109r)*.

შობ-ს: იხარებდ ბერწი ეგე, რომელი არა ჰშობდ (I, ეს. 54, 1)*; და ვითარ მოუქდა უბადრუქსა მას ჟამი შობისაჲ და მრავალთა დღეთა იგუემებოდა და ვერ შვა... (პატ. II, 120, 2); ვერ შვა ქალმან მან ვიდრემდის არა აღიარა (პატ. II. 120, 6); შდრ.: გიხაროდენ, რომელი პირველად შენ შობ ყრმასა, თავისუფალსა წყევისაგან (სინ. 128, 7); სიკუდილსა შობენ (მ. სწ. 189, 14); და წესითა მშობელისაჲთა შვა პირმშოჲ იგი (შატბ. 297, 33);

საობ. ქცევა: რომელი წმიდამან და მარადის ქალწულმან მარიაჲ გკვეა ჩუენ (სინ. 48, 9); ცოლმან შენმან გიშეეს შენ ძე (სინ. 26, 30).

ცოდ-ავ-ს: ვიდრემდის ვცოდავთ და არა მრცხუენის (მ. სწ. 96, 21); რომელი ცოდავენ, მან სულსა თვსსა აენის (0, ზირ. 19, 4)*; ვითარ-მე ანუ რაათა-მე გამოაჩინონ, თუ ვინ ცოდა (სინ. 106, 14—15); არა სცოლო, რამეთუ ცოდვამ უმეცრებისაგან ღმრთისა იქმნების კაცისაგან (მ. სწ. 135, 13); შდრ.: გული-ს-წყრომასა თქუნესა ნუ სცოდავთ (ფს. 475); მრავალ გზის გკცოდავს ცოდვამ (მ. სწ. 30, 2); რომელმან ცოლოს ცოდვადიდი (მ. სწ. 129, 27); კაუზატივი: რომელმან ცოდა და აცოდვა ისრაჲლი (0, ლევიტ. 6, 4)*.

წარმართ-ა წარმართა მის ზედა სულმან უფლისამან (M მსაჯ. 14, 6)*; და ათასეულნი წარუმართებენ მას (სინ. 133, 2; 167, 22; ფს. 677, 18); რაათა-მე წარიმართის კაბუქმან გზანი თვსნი, არამედ იმარხნის თუ სიტყუანი შენნი (მ. სწ. 20, 14—15); ...რომელმან არა წარიმართა გული თვისი და არა დაამტკიცა ღმრთისა მიმართ სული თვისი (ფს. 777, 8); საობიექტო ქცევა: რაათა წარუმართოს გზამ მისი (ლიმ. 63, 23).

უ-ლხინ-ა: ნუ იტყვ, ვითარმედ ნინეველთა მათ კაცთა მართლად ულხინა ღმერთმან, ვითარცა წერილ არს... (სინ. 103, 28); ჳირსა ჩემსა მილხინე (ფს. 472); შდრ.: არამედ იგი თავადი მოწყალე იყო, ულხინებდა ცოდვათა მათთა და არა განჰყუენიდა (ფს. 777, 38); არამედ იგი თავადი არს მოწყალე და ულხინოს ცოდვათა მათთა (ფს. 777, 38); ულხინოს მღდელმან მან ცოდვამ იგი მისი 0, — ლხინებაყოს მისთვის მღდელმან ცოდვისათვის (G ლევიტ. 4, 35)*; მრავალნი ევედრებოდეს, რაათა მცირე რამე ულხინოს თავსა თვსსა (პატ. I, 33, 19, 24); ევედრნეს ძმანი ბერსა ვისმე ფრიად მოლუაწესა, რაათა მცირედ რამე ულხინოს თავსა თვსსა (პატ. I, 94, 11, 33).

ძველი ქართული ენის ფაქტების მიმოხილვამაც დაამოწმა, რომ გარდამავალ ზმნათა გარკვეული ნაწილი სათანადო კონტექსტში შეიძლება შეგვხვდეს უახლესი ობიექტითაც და მის გარეშეც. ამ მასალის ანალიზი, ცალკეული ზმნური ლექსემის ისტორიისათვის თვალის გადავლება, გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ სათანადო პირობებში უახლოესი ობიექტი გარდამავალი ზმნის სინტაგმაში ამოვარდება. ამ მტკიცების საბუთად რამდენიმე ფაქტს დავასახელებდით:

ა) ძველ ქართულში ზოგიერთი გარდამავალი ზმნა უახლესი ობიექტით დასტურდება, ახალ ქართულში კი — მის გარეშე.

რამეთუ გონებად იგონებს საქმეთა დუხჭირთა და პირი აღმოიბოყინებს უკეთურებასა (მ. სწ. 145, 25).

შდრ.: ახ. ქართ. ამოიბოყინა // ამოაბოყინა (მან).
ქებასა ჩემსა ნუ დაიდუმებ (ფს. 108, 1);

შდრ.: ახ. ქართ. დაიდუმა მან: დაიდუმა მან იმ იმედით, რომ სიმართლე მაინც... თავს იჩენსო („კვალი“, 1896, № 6, გვ. 9).

რომელმან არა შეიგინოს პირი თჳსი გინებითა, სავსე არს პირი მისი ნაყოფითა სულისა წმიდისადათა (მ. სწ. 244, 32);

რომელი არა იგინებოდის, პირითა დაუცავს მას თავი თჳსი ვნები-საგან დიდისა. ამან არცა პირი თჳსი შეიგინა, არცა სხუათა საფრჯე ექმნა. (მ. სწ. 244, 23—24);

შდრ.: ახ. ქართ. შეიგინა მან...

არცა მოიწყინა ლოცვაჲ გლახაკისაჲ (ფს. 21[25]);

შდრ.: ახ. ქართ. მოიწყინა მან...

ასე იქცევა ზოგი სხვა ზმნაც. ძველ ქართულში ამ ზმნათა შესიტყვებაში უახლოესი ობიექტი დასტურდება, ახალ ქართულში კი ეს ფორმები უობიექტოდ ან, შეიძლება ითქვას, ძირითადად უობიექტოდ იხმარება: იზრუნა, გაიხარა...

ბ) თუ ძველ ქართულში საობიექტო ქცევა გამოხატავდა გარდამავალ ზმნაში უახლოესი ობიექტის ირიბი ობიექტისადმი მიყუთვნებას, მაშინ სათანადო ზმნათა საობიექტო ქცევის ფორმები უახლოესი ობიექტის არსებობასაც ვარაუდობს.

და-უდუმ-ო: უკუეთუ შენ დაიდუმო ვედრებად მოყურისა შენისა მშვიდობისა ყოფად, ვერ შემძლებელ ხარ ცხორებად (მ. სწ. 35, 13). B. დაუდუმო.

გან-უ-სუენ-ო: უკუეთუ განუსუენო, იყოს იგი მისდა საგმობელ და შენდა საქებელ- უკუეთუ განუსუენო, საბრალოს ჰყო ყოველთა მიერ (მ. სწ. 41, 8—9); აღმისრულებენ ნებასა გულის-თქუმისასა და განუსუენებენ კორცთა მათთა (მ. სწ. 138, 29).

პრევერბის შეცვლით უახლოესი ობიექტიც წარმოჩნდება შესიტყვებაში:

წარიყვანეს ანგელოზთა და შთაუსუენეს იგი წიალთა აბრაჰამისთა (მ. სწ. 181, 33).

და-უ-ცოხნ-ო-ხ: რაჟამს შევიან ხუადი კიცვ, მამამან დაუცოხნის საურველნი და უქმ-ქმნის (შატბ. 180, 26); მოართვს მას პური ტფილი და არა მაგარი, რადთა არა ავნოს სასასა მისსა სიმქისე-

მან მისმან უჩუეულობისა მისისაგან, არამედ დაუცოხნის იგი პირითა თუსითა (შატბ. III, 11).

უ-ზრუნავ-ს: გულისკმა-ყავ, ვითარმედ ღმერთი უზრუნავს და სცავს და ჰფარავს მათ ყოველთაგან ენებათა (მ. სწ. 300, 6).

გ) ზოგჯერ ენებითის ფორმათა არსებობაც მიანიშნებს შესაბამისი გარდამავალი ზმნის სინტაგმაში უახლოესი ობიექტის რეალურობას (გარდამავალი ზმნის ობიექტი ენებითის სუბიექტად უნდა წარმოგვიდგეს). მაგ. განიხარა, შობს (შვა) გარდამავალი ზმნები ძველ ქართულში უახლოესი ობიექტის გარეშეც გვხვდებიან; ენებითის ფორმა ვარაუდობს ამ ობიექტს: მხიარულ იქმნიედ გულითა და უხარინ (მ. სწ. 30, 35, B განიხარანიან) ...რომლისგან იშვების სიკუდილი (სინ. 223, 20); ვინ მართალგანი იშვა და ძლუნად კმამ შეწირა მამისა? (სინ. 30, 3—4); და ქრისტე კორციელად იშვეს შენგან (სინ. 200; 3)...

ს-წყევ-ა მან მას: და არა სწყუო მტერსა შენსა (მ. სწ. 39, 34; სწყუო B); შღრ., ენებითი: და ვისგან ქუეყანამ იწყევვა, ამისგანვე გამოჩნდეს ღმრთისა გზანი (სინ. 25, 7)...

ი-ვნო მან იგი / მან: შღრ. ენებითი: და ესევეთარგან ივნო წმიდად იგი კორცი მისი (სინ. 50, 37)...

გან-ი-შიშულ-ა გარდამავალი ზმნა ძველ ქართულში უახლოესი ობიექტითაც გვხვდება და უობიექტოდაც. ენებითის ფორმა ამ გარდამავალი ზმნის სინტაგმაში ობიექტს ადასტურებს: „არამედ დაწერილ არს იგი კალმითა რკინისაჲთა, რაჲთა გამხილოს ღლესა მას განკითხვისასა საშინელსა, ოდეს-იგი განიშიშულოს მკერდი შენი და ცხადად გამოჩნდების წერილი იგი გულისა შენისაჲ (მ. სწ. 131, 1).

სძლევ-ს, სძლ-ო: რამეთუ ღმერთი არს და წესსა მას ბუნებისასა სძლევს (სინ. 35, 21); სძლო მას ისრაჲლმან (რხ. რიცხ. 21, 24)*; შღრ., ენებითი: იძლევის ბუნებაჲ, იძლევინ წესნი სრბისანი (სინ. 33, 6).

შო-ი-ნადირ-ა მან იგი / მან — შღრ., ენებითი: ფრიად შზრახი ენისაგან შონადიროს (მ. სწ. 274, 16).

ამ თვალსაზრისით ინტერესს იწვევს ენებითის ისეთი ფორმები რომელთაც ძველ ქართულში საპირისპირო მოქმედებებითი (სასუბიექტო ქცევისა) არ უჩანთ. ამგვარი გარდამავალი ზმნები მოგვიანო ძეგლებში დასტურდება: მაგ.: იქორწინებოდეს და განჰქორწინებდეს (მ. 24, 38); შღრ.: იქორწინა ცოლი; ნავი, ოდეს იღე- (ლ) ვებოდის, ნავთ-სადგურად მიივლტის, რაჲთა არა დაინთქას (პატ. 1, 100, 1, 12—14). შღრ.: იღელვა მან.

დ) უობიექტო ზმნათა სემანტიკას ზოგჯერ კონტექსტი ხსნის. კონტექსტში შეღავნდება სასუბიექტო ქცევის ზმნათა როგორც აქტიური, ასევე მედიალური სემანტიკა²⁸.

აქტიური სემანტიკა გულისხმობს, რომ პროცესი სუბიექტიდან გამომდინარეობს და სუბიექტის გარეთ ვითარდება. შდრ.: იშუებდ უფლისა მიმართ (ფს. 36C4); რამეთუ მის მიმართ იხარებდეს გული ჩემი (ფს. 32C21); შენდამი, უფალო, აღვიდე სული ჩემი (ფს. 24, 1); ვიხარებდე და ვიშუებდე შენდამი (ფს. 9C3); იხარებენ შენდამი ყოველნი, რომელნი გესვენ (ფს. 5C12); იხარებდენ და იშუებდენ შენდამი ყოველნი (ფს. 34C27); იქადოდიან შენდამი ყოველთა რომელთა უყუარს სახელი შენი და ერი შენი ვიხარებდეთ შენდამი (ფს. 84C7); დასცხერიო! რასა-ეგე იქმთ? რამეთუ ილოცავს თქვენთვის მართალი ესე (სინ. 56, 32); შენთვის ვილოცავთ, უფალო! (სინ. 121, 34); ღმერთო, ღმერთო ჩემო, შენდამი აღვიმსთე (ფს. 62C2; 4 აღვიმსთობ BD შენდამი სულსა ჩემსა BCDE); ღმერთო, ღმერთო ჩემო, შენდამი აღვიმსთობ (ფს. 62L2); და ვიწურთიდე ყოველთა მიმართ საქმეთა შენთა (ფს. 76L13); ხოლო მე ვილოცევდ შენდამი (ფს. 68C14); ამისთვის ილოცვიდეს შენდამი ყოველი წმიდაჲ ეამსა შეწირვისასა (ფს. 31C6)...

მედიალური სემანტიკის გამოხატვისას სუბიექტი წარმოგვიდგება პროცესთან მიმართებით „შინაგან“ სუბიექტად:

მთანი იხარებენ პირისაგან უფლისა, რამეთუ მოვალს (სინ. 3, 21); შენგან და შენ მიერ იხარებენ და იქადიან დედანი (სინ. 53, 3)...

მედიალური სემანტიკა ამ რიგის ზმნებს მხოლოდ უობიექტოდ ხმარების შემთხვევაში აქვთ. ბუნებრივია, თუ უობიექტობა, უახლოესი ობიექტის არქონა, მეორეულია, მეორეული იქნება ამ ზმნათა მედიალური სემანტიკაც.

ე) გარდამავალი ზმნის სინტაგმაში უახლოესი ობიექტი არ გვაქვს, ზმნის ფორმა ამ ობიექტის „მრავლობითობას“ აჩვენებს: შეხედნა მან მას (თუაღნი); ხედ-//ხედ-ნ მონაცვლე ფორმათა გვერდით ღიმ//ღიმ-ნ ფუძეთა მონაცვლეობაზე ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში მიუ-

²⁸ აქტიურ და მედიალურ ზმნათა სემანტიკის განსაზღვრის შესახებ იხ. Э. Бенвенист, *Общая лингвистика*, Москва, 1974, с. 188.

ზმნის ფუძის ამგვარ სემანტიკას ამოწმებს ზმნასთან დაკავშირებული მიმართ, შენდამი, თქვენთვის... სიტყვები.

თითებს ზ. სარჯველაძე და შენიშნავს: „შეხედა ზმნა პირდაპირ ობიექტად თუაღნი სიტყვას გულისხმობს. განილიმნა ზმნისათვის ალბათ ბაგენი ივარაუდება“²⁹. იხ.: უფალი აღმალდა ცათა შინა და იქუხნა (გალ. 3, 10); მიხედნა მან ცუდსა (ფს. 39ღ5); მან განილიმა და პრქუეს მას: C განილიმნა (პატ. II, 115, 12, 23); აღმოიქურიტნა ერთმან მან და ვითარ არვინ ხედვიდა, აღმოკდა (პატ. II, 79, 17); მან მკუეთრ განიცინნის (პატ. II, 231, 14, 12); განიცინის, რამეთუ დაიმდაბლა თავი და წარმომართებულ წარმოიმდერნა სიტყუამან მან... (შატბ. 259, 23). ეს - მოგვიანო ხანის ძეგლებშიაც დასტურდება: გამოიხედნა (ამირანდარეჯ. 42, 10); გაიხარნა (ამირანდარეჯ. 43, 9); ხოლო ბიჩოი განილიმნა და რქუა (ქ. ცხ. II, 193, 8); და ილხინნეს დღესა რაოდენსამე (ქ. ცხ. II, 381, 16); მყის ძლიერად იყურნა ძალმან (ქ. ცხ. II, 88, 20); ხოლო ქართველთა განმხიარულებულთა აღიზახნეს... (ქ. ცხ. II, 249, 5); და თვით ხმითა დიდითა დაიყვირნა (ალექს. 118, 25); დაიყვირნა ვეშაპმან (რუსულ. 44, 8); დაიყვირნა ზავ (რუსულ. 57, 17); ზავ იტირნა მისთვის (93, 34); რამილულნი, სიახლევე საყვარლისა ეოცების. (ვეფხ. 141, 3)...

ყურადღებას იქცევს ის შემთხვევები, როცა ამგვარ ზმნებთან შეხამებული საგარემოებო სიტყვები მრავლობით რიცხვში დგანან — უახლოესი ობიექტის მსგავსად: დაიყვირნა საზარელნი მან დევმან (რუსულ. 56, 34—35); ზავ დიდნი დაიქეხნა (რუსულ. 124, 35); დევს მეტად ემწვავა და დიდნი დაიყვირნა (რუსულ. 132, 13); ხელმწიფე წამოხტა ჩქარად და დიდნი დაიზახნა (რუსულ. 50, 11)...

ვ) საკმაო წილი უობიექტო გარდამავალი ზმნებისა ნასესხები სიტყვებია, ასეა ძველ ქართულში (ივაკრა, ისიძვა, იმრუშა, იფილოსოფოსა, დაიბანაკა, მოიავაზაკა, იამპარტავნა, იდრტუნა და ა. შ.), ასეა მომდევნო პერიოდის ქართულშიც (მოითარეშა, ილაშქრა, იასპარეზა, იშფოთა, იგლახაკა, იონავრა, იეშმაკა, იმუშაკა, ივერაგა, ილაპარაკა...)³⁰. ამ ლექსიკური მასალის ნასესხობა ექვს არ იწვევს. ეს სიტყვები ქართულში სახელებად შემოვიდა და მერე გაზმნავდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათ გასაზმნავებლად ზოგ შემ-

²⁹ ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984, გვ. 555, 555¹.

³⁰ ამ სიტყვათა უცხოური წარმომავლობის შესახებ იხ. ქეგლ-ის სათანადო ტომები, მზ. ანდრონიკაშვილის „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966...

თხვევაში გარდამავალი ზმნის უკვე არსებული უობიექტო მოდელი აქნა გამოყენებული.

ზ) ზოგიერთი უობიექტო ზმნის ფუძე ეტიმოლოგიურად სახელს უკავშირებდა. ამდენად უახლოესი დამატება ამ რიგის ზმნებთან „შინაგან ობიექტად“ წარმოგვიდგება. „ვეფხისტყაოსანში“, „ამირანდარეჯანთანში“, „ვისრამიანში“... დასტურდება უობიექტო ი-ღრეჯს ფორმა:

მზე და იღრეჯს მათი ღრეჯით („ვეფხ.“ 951, 4);

ასმათ ასე დაღრეჯილი, კვლა უფრორე და იღრეჯდა

(„ვეფხ.“ 227, 4);

და გიღრეჯია, მეფეო, აღარ გიციინის პიროო („ვეფხ.“ 61, 1);

ჰკითხა მას მზეკაბუქმან: „რა და გიღრეჯიანო“

(„ამირანდარეჯ.“ 563, 4);

ნუ და იღრეჯ ცუდის საქმისათუის („ვისრ.“ 153, 27).

ღრეჯა. უკავშირდება ეტიმოლოგიურად ღოჯ-სიტყვას (ღრჯოლი)³¹.

თუ ეს ეტიმოლოგია მისაღებია, მაშინ იღრეჯ-ს ზმნის სინტაგმაში უახლოესი ობიექტის (გარეგანი ობიექტის) ამოვარდნის მიზეზად ტავტოლოგია უნდა მივიჩნიოთ.

თ) ძველ ქართულში უობიექტოდ დადასტურებულ ზოგი გარდამავალი ზმნის შესატყვისის მონათესავე ენაში უახლოესი ობიექტი ან ახლავს, ან ივარაუდება, მაგ.: როგორც აღენიშნეთ შევ-გარდამავალი ზმნა ძველ ქართულში ობიექტის გარეშეც გვხვდება. მეგრულსა და ქანურში შევ-ფუძის შესატყვისი გარდამავალ ზმნას უახლოესი ობიექტი აქვს (მეგრ. ქოთო მქ კვერცხი ქოსქჷ — ქან. ქორმე მაქვალ ი ქოღოსქუ „ქათამმა კვერცხი დაღო“³²).

ქართ. სუენ ფუძეს შესატყვისები ეძებნება ქართველურ ენებში³³ (დავისუენე ფორმა ძირითადად უობიექტოდ იხმარება). ქან. შური დოვიშვონი „სული დავისვენე — სული მოვითქვი“³⁴, ქართულის დავისუენე ფორმასთან უახლოეს ობიექტად „სული“ სახელს გულისხმობს. სუ-ენ და სუ-ლ

³¹ თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტა სისტემა და აბლა-უბო ქართველურ ენებში, გვ. 104, 286.

³² არნ. ჩიქობავა, შედ. ლექს., გვ. 325.

³³ არნ. ჩიქობავა, შედ. ლექს., გვ. 361; თ. გამყრელიძე, სიბილანტა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1959, გვ. 17.

³⁴ თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტა სისტემა და აბლა-უბო ქართველურ ენებში, გვ. 286.

ფუძეები ერთმანეთს უკავშირდებიან (გ. როგავა)³⁵. ასე რომ, კანურ-ში ამ გარდამავალი ზმნის სინტაგმაში შენახული გვაქვს თავდაპირველი ვითარება — ზმნის ფუძესა და უახლოეს ობიექტს საერთო სემა აქვთ — ასეთი ტავტოლოგია კი უახლოესი ობიექტის დაკარგვის საფუძველს ქმნის. შდრ.: აგრეთვე სვან. აშხვ ლჷშეშეშინას ლიც ესერი იშეშინე „ერთ დასვენებას წყალიც ისვენებსო“ (სვან. ანდ. 17).

ის უ ნ ე ბ ნ, ის უ ნ ა (მან):

ვა, თუ ვერცე თი ის უ ნ ო, სულთ უყნოსელი დარჩე, ვა (არჩ. 101, 35, 4).

ქართ. ს უ ლ // ს უ ნ- ფუძეს შესატყვისი ეძებნება ქართველურ ენებში; მეგ. შ უ რ ი (სული), კან. შ უ რ ა ფ ს „სუნაეს“. ნ. მარი იმოწმებს ვ-ი-შ უ რ-ამ „ესუნავ“ (ხოფ. ვიშურაფ), ი შ უ რ ა მ ს-სუნს იღებს ძალლი³⁶, სვან. ლ-ი-შ უ რ-ი ე ლ „ამოოხვრა“³⁷; ეჭნემ თემივშ ეწნშურიელე. ბზ.: „იმან სიმწრით ამოოხრა“ (შდრ.: ძვ. ქართ.: სულთ-ითქუნა — უახლოესი ობიექტი ზმნის ფუძეშია წარმოდგენილი). ეს ფორმა სვანურში შეიძლება ობიექტითაც შეგვეხედეს: ეშხუ ლ ი შ უ რ ი ე ლ ს ე ი ი შ უ რ ი ე ლ ე „ერთ ამოოხვრას ამოოხრებს“.

დასტურდება სხვა შემთხვევებიც, როცა უახლოესი ობიექტი უკვალოდ არ ქრება, „მის ადგილს თანადათან იკავებს მოქმ. ბრუნვაში დასმული უბრალო დამატება, როგორც ეს ახალ ქართულში გვაქვს“³⁸; მაგ.: შეხედა / შეხედნა ზმნასთან სახელობითში დასმული ობიექტი უკვალოდ არ გამქრალა: მომხედა თუალითა ბოროტითა (ლიმ. 115, 9); ამგვარი წარმოშობისაა უბრალო დამატება სძლო ზმნასთან: სძლო ეშმაკსა ლოცვითა მით (ძეგლ. I, 60, 15); შდრ.: აგრეთვე:

დაჰყუნნეთ მაგათ თმა და წუერი (ისტ. ქრესტ. I, 162, 36);

³⁵ გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, თბ., 1962, გვ. 87.

³⁶ არნ. ჩიქობავა, შედ. ლექს., გვ. 366; გ. როგავა, დასახ. ნაშრ., გვ. 87, ს უ ლ-ს უ ნ- ფუძეთა ურთიერთობის შესახებ ძველ ქართულში იხ., ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, გვ. 316.

³⁷ თ. გამყრელიძე, გ. მ. პ. ჯავარიანი, სონანტა სისტემა და აბლაუტი..., გვ. 286.

³⁸ ანტ. კიზიარია, სინტაქსური ურთიერთობის განვითარების ზოგი საკითხი ქართულში, გვ. 98.

დაჰყვნენ იგინი თმითა და წუერით (ისტ. ქრესტ-163, 19)³⁹.

ანალოგიური გარდაქმნები დასტურდება ჰხადის და მსგავსი სემანტიკის წოდება, ხმობა, თქუმა და ა. შ. ზმნებთან⁴⁰.

დამატების ბრუნვათა ამგვარი შეცვლა მართო ქართულისათვის არ არის დამახასიათებელი: შდრ.: швирять камнями — швирять камни; ა. პეშკოვსკის მიაჩნია, რომ რუსულ სინტაგმებში — криком кричать, стоном стонет — მოქმედებით ბრუნვაში დასმული დამატება მეორეულია, ასეთი გარდაქმნები ხდება ტავტოლოგიურ ბრალდებითბრუნვიან სინტაგმებთანაც (шутки шутить). ეს ფაქტი სლავურში კვალიფიცირებულია, როგორც ინდოევროპული ბრალდებითი ბრუნვის გარდაქმნა⁴¹. არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც.

უახლოესი ობიექტის გაუჩინარების ერთი საინტერესო შემთხვევა ამ ობიექტის ტრანსფორმაცია, გარდაქმნა სხვა ბრუნვის ფორმად. გარკვეულია, რომ უახლოესი (პირდაპირი) დამატების ფუნქციით ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი (ინფინიტივის ფუნქციით) გვხვდება გარდამავალ ზმნათა ერთ ჯგუფთან. ეს ზმნებია იწყო, ბრძანა, განიზრახა, აიძულა, არწმუნა, იკადრა, ინება, შესძინა, შეუძლო, აცადა, არა აუფლა, არა უტევა, კელ-ყო, ჭერ-ჩინა... ამ ზმნებთან სწორედ უახლოესი ობიექტის ადგილს იჭერს ვითარებითში დასმული მასდარი (ინფინიტივი) და, ამდენად, იგი დამატების ფუნქციის მატარებელია; იწყეს ქადებად ჩუნდა მომართ (კიმ. I, 36, 21). შდრ.: იწყო იერუსალჴმით მახარებელთაგან ქადაგებაჲ (კიმ. II, 187, 36)⁴².

აღნიშნულია, რომ ზემოჩამოთვლილი ზმნები სემანტიკური თვალსაზრისით თავისებურ ჯგუფს ქმნიან, ისინი არ გამოხატავენ კონკრეტულ ფიზიკურ მოქმედებას და, ამდენად, ობიექტურად გულისხმობენ არა კონკრეტულ საგანს, არამედ ზმნას ან ნაზმნარ სახელებს⁴³.

³⁹ ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, გვ. 250.

⁴⁰ იგივე, გვ. 246 და შემდ.

⁴¹ А. М. Пешковский, Русский синтаксис в научном освещении, Москва, 1935, с. 270.

⁴² დ. ჩხუბიანიშვილი, ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში, თბ., 1972, გვ. 46. მასდარის ვითარებით ბრუნვასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ არსებული ლიტერატურა დასახელებულ ნაშრომშია წარმოდგენილი.

⁴³ იქვე.

ამ ცვლილების ზოგადენობრივი ახსნის ცდა არსებობს. ე. კურილოვიჩის თვალსაზრისით ბრუნვები იყოფიან გრამატიკულ და კონკრეტულ ბრუნვებად. ყველა ბრუნვას აქვს პირველადი და მეორეული ფუნქცია. გრამატიკულ ბრუნვათა პირველადი ფუნქციაა სინტაქსური ფუნქცია (ქვემდებარის ფუნქცია, პირდაპირი დამატების ფუნქცია და ა. შ.); მეორეულია სახელდებითი ან სემანტიკური ფუნქცია (მიზნის ბრალდებითი, სივრცობლივი და დროული, შეფასებისა და ა. შ.). კონკრეტულ ბრუნვათა პირველად ფუნქციად სახელდებითი ფუნქცია ითვლება (სხვადასხვა ტიპის. გარემოებები — არსებითებით გამოხატული), მეორეულია — სინტაქსური; თუ არსებითი სახელი ასრულებს სინტაქსურ ფუნქციას, თავისი ბრუნვისგან დამოუკიდებლად იკავებს ცენტრალურ პოზიციას მმართველ სიტყვასთან მიმართებით, ე. ი. პირდაპირი დამატების ფუნქციით გვევლინება; თუ არსებითი ასრულებს სახელდების ფუნქციას, თავისი ბრუნვის მიუხედავად მმართველ სიტყვასთან იკავებს პერიფერიულ ადგილს, პოზიციას — ე. ი. გარემოების ადგილს. განსხვავება ძლიერ და სუსტ მართვას შორის — ესაა განსხვავება სინტაქსურსა (და ამავე დროს ცენტრალურს) ერთი მხრივ, და სემანტიკურს (და ამავე დროს პერიფერიულს) — მეორე მხრივ⁴⁴.

ე. კურილოვიჩის ეს მოსაზრება ბრუნვების გრამატიკალიზაციის და ადვერბიალიზაციის შესახებ ქართულის ფაქტებსაც მიესადაგება. ოღონდ აქ მართვის ადგილს (ძლიერი მართვა, სუსტი მართვა) კოორდინაცია იკავებს. ანალოგიურ შემთხვევებში კოორდინაცია ზმნასა და სახელს შორის ირღვევა: ზმნა ვეღარ მართავს სახელს ბრუნვაში, სახელი ვეღარ მართავს ზმნის პირს...

2) გარდაგავლობა და სუბიექტი

სუბიექტის ელიფსი გარდამავალი ზმნის შესიტყვებაში

გარდამავალი ზმნის შემცველ სინტაგმაში ზოგჯერ სუბიექტის ფარდი სახელი გაუჩინარდება (ნამყო ძირითადში, როცა სუბიექტად III პირი გვაქვს). ეს მოვლენა გარდამავალი ზმნის ნატვრით კილოს ახასიათებს⁴⁵.

⁴⁴ Е. Курнлович, Проблема классификации падежей, в кн.: Очерки по лингвистике, М., 1962, с. 183—188.

⁴⁵ შ. აფრილონიძის აზრით, რადგან ამგვარ შემთხვევებში გრამატიკულ სუბიექტად მხოლოდ III პირი გვევლინება, მისი დასახელება თანდათან ზედმეტი ზდება. ეს ნაგულისხმევი პირი „შეიძლება ნატვრის ერთ-ერთ მუდმივ ატრიბუტად გიგუღვოთ“. შ. აფრილონიძე, შემასმენელისა და ნაწილაკის სინტაქსური ურთიერთობა ქართულში, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1970, № 3 (18), გვ. 24.

„თუ შესრულდება, ნეტამც მე
ეს ნატვრა ამიხდინაო.
ჩემისა ლექსის სტრიქონში
დამმალა, მომცა ბინაო“. (რ. ერისთ., 152)

ა-მი-ხდინ-ა, და-მ-მალ-ა, მო-მ-ც-ა მე ის, სუბიექტი მან შესიტყვებაში გაუჩინარებულია, მაგრამ იგულისხმება (ნაწილაკი — ნეტამც // ნეტავ // ნეტა), შესიტყვებაში სუბიექტი არ გვაქვს, ზმნის ფორმაში კი წარმოჩენილია (სუფიქსი -ა):

ნეტავი ერთხელ კიდევ დამანახვა და მომკლა მეთქი (რუსულ. 533, 26); ნეტავ სულ შენთან მამყოფა (ავა-კი, IV, 361); ახ, ნეტავი, ჩემ შვილებს მიუტანაო! (ვაჟა, VI, 29); ახ, ნეტავ ერთხელ ამომასუნთქა (ი. ევლ. 120); ნეტავ, ფრინველად მაქცია, დამსვა მაღალსა მთაზედა (ხალხ. 213); ნეტავი, ქალო, ფიფქი მქნა (ხალხ. 196); ახ, ნეტავი, ხელში კი ჩაგვაგდებინა, შეგვაკაპა, რომ მოგვესპო მაგისტვის სიცოცხლე (ვაჟა, VI, 13); ნეტა გამაგებინა, ვინ არის ის უბედურ დღეზე გაჩენილი (ნ. ლომ. 151, 25); ნეტავი, მეც ბუღბულად მაქციაო (ვაჟა, VI, 8); ნეტავ ახლა გაგაგვიყა, რა ძვირად მიღირს, — შენ გაგაგვიყა, თუ კარგია (უიარალო, II, 334); ნეტავი, მაჩვენა მისი ბანცალი (უიარალო, I, 43); ნეტავ, მაგ კბილებზედ მიმაკახუნებინა ეს ჭიქა (ხომლი, 1969, II, 127); ნეტაი ასე მომკლა (გ. წერ. II, 404); უჰ, ნეტავი ერთი სამიანი მიმადებინა და მეტი არაფერი მინდაო („ცისკარი“, 1967, 9, 66); ნეტავ იმდენხანს მაცოცხლა, ვიდრე ომის ვარამი ჩაივლის (კ. კობ. „მეწყ.“, 129)...

ნატვრითი კილოს ფორმებში სუბიექტის III პირი გამოხატულია -ა, -ო სუფიქსებით. ხოლო შესიტყვებაში ნეტავ//ნეტავი ერთი//ერთი//ოღონდ ნაწილაკით: ოხ, ერთი ხელში ჩამიგდო — გაიფიქრა მან (უიარალო, II, 196); ერთი გაჩვენათ, რა მორიდებულია მანდილოსანთან („თბილისი“, 1976, № 293, 4); ერთი ევ შენი ჩურჩუტი თავი მომცა ხელში და მერე მომკლა, არა ვჩივი! (დ. შენგ. II, 315); ფარშევანგებიც ძალიან ამაყობენ თავიანთი სილამაზით, მაგრამ მე მგონი თევზების დარდი უფრო აქვთ, ერთი დაგვატყერინა და გვაყლაპაო (მ. ბოლქვაძე, 58); ვიფიქრე: ერთი შენი სისხლი დამალე ვინამეთქვი (ქ. ლიპ. I, ქიზ. 222, 21); ოღონდ მაგას მაღირსა, ოღონდ შვიდად დამაძინა (კ. კობ. 223).

ნატვრითი კილო შეიძლება უნაწილაკოდაც გადმოიცეს⁴⁶:

„კვენსოდე კილუვავთ ბრკყალეზში:

ეს, ბედო, გაგატიალა“ (ირ. ევლოშ. 341)

რომ შეიძლებოდეს და მამაჩემის თბილ პალტოში შემომამყუფებინა კვერნები, ციყვები, შვლის ნუკრები („ლიტერატურული საქართველო“, № 38, [1985], 19. IX. 75).

ამგვარად, გარდამავალი ზმნის მიერ ნატვრითი კილოს გადმოცემისას მესამე სუბიექტური პირის ფარდი სახელი შესიტყვებაში გაუჩინარდება, ზმნის ფორმაში კი გამოხატულია (სუფიქსი -ა) — სუბიექტის ფუნქცია ნატვრითი კილოს გადმოცემისას ირიბ ობიექტს ეკისრება (თუ ზმნა სამპირიანია)⁴⁷: გამაგებინა მან მე ის და ნეტავ გამაგებინა მე ის, და უახლოეს ობიექტს — თუ ზმნა ორპირიანია: მამყოფა მან მე და ნეტავ მამყოფა მე. თუ ზმნურ შესიტყვებაში უახლოესი ობიექტი არ გვაქვს, ნატვრითი კილოს გამოხატვისას მხოლოდ ირიბი ობიექტილა დაგვრჩება სუბიექტის ფუნქციით: ამომასუნთქა მან მე და ნეტავ ამომასუნთქა მე.

ასეთი შემთხვევები, როცა სინტაგმიდან გაუჩინარდება ერგატივში დასმული სუბიექტი, როცა ზმნას მორფოლოგია გარდამავალი ზმნისა აქვს და სინტაქსი გარდაუვალისა, ქართულში სხვადასტურდება. მაგ.: ტანში გამააჟრჟოლა ამ საშინელმა ამბავმა ე. ნინ. I, 34); შდრ.: ერთი გამააჟრჟოლა და ამიტყდა თრთოლა (აკაკი, ქეგლ.). პირველ მაგალითში მორფოლოგია და სინტაქსი ერთმანეთს ეთანხმება, მეორეში — ზმნაში წარმოდგენილია სუბიექტის ნიშანი, სინტაგმაში არა გვაქვს სათანადო სახელი.

როგორც მასალის ანალიზმა გვიჩვენა, გარდამავალი ზმნის შესიტყვებაში შეიძლება გაუჩინარდეს როგორც უახლოესი ობიექტი (III პირისა), ასევე სუბიექტი (III პირისა) — გარდამავლობის ძირითადი სინტაქსური მაჩვენებლები, მაგრამ ზმნის სტრუქტურა ამის შედეგად

⁴⁶ კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შეკრებულ აქტებში 1811 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ: ამ ქოჩიშვილმა გეთემ შენი გამოგზავნილი წიგნი მომიტანა და შენც შეგარცხვინა და იმ წიგნის მამწერიცა... Да бюджет стыдно тебе и тому, кто писал это...

⁴⁷ თ. უორდანი ა შენიშნავს: „ნატვრითი სქესი განირჩევა სრულად დროის მესამე პირისაგან (მიმართულებით მესამისაგან პირველისადმი: მან — მე (მხოლოდ მახვილითა § 10). მაგ. (მან მე) მომცა ანუ მიმაცემინა=ნეტავ მომცა ანუ მიმაცემინა; „ბუღბუღის ენა მასწავლა თქვენს ბაღში შემომჩაჩვია“, ქართული ენის გრამმატიკა (ეტიმოლოგია და სინტაქსი), ტფილისი, 1889, გვ. 57.

არ იცვლება, „მორფოლოგიური სუბიექტ-ობიექტი არ უდრის სინტაქსურს“⁴⁸.

ქართულში ზმნის ჩვენებაა მთავარი; ზმნის ჩვენების მიხედვით კი ყველა ზემოჩამოთვლილი ფორმები გარდამავალია, მიუხედავად იმისა, რომ ერთ შემთხვევაში უახლოესი ობიექტი შეიძლება გაუჩინარდეს ზმნურ სინტაგმაში, სხვა შემთხვევაში კი სუბიექტი (თუმცა გაუჩინარებული სუბიექტის ნიშანი ზმნაში წარმოდგენილი გვაქვს). გარდამავალი ზმნის მორფოლოგიურ სისტემას, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, ახასიათებს ინვერსიული წყობის III სერიის ფორმები⁴⁹ ძველსა და ახალ ქართულში და სუბიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი -ეს სუფიქსი ნამყო ძირითადში⁵⁰, პირდაპირი მიმართების ობიექტური პირის ფორმა, სასუბიექტო ქცევის ფორმა⁵¹. გ ა რ დ ა მ ა ვ ლ ო ბ ი ს და ხ ა ს ი ა თ ე ბ ი ს ა ს ა ხ ა ლ ქ ა რ თ უ ლ შ ი, როგორც ჩანს, სინტაქსურთან ერთად უღვლილების მორფოლოგიური სისტემის ჩვენებასაც უნდა მიექცეს ყურადღება.

⁴⁸ არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში. I, თბ., 1968, მეორე გამოცემა, გვ. 139.

⁴⁹ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, გვ. 197.

⁵⁰ არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქგლ, I, გვ. 052.

⁵¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, I, მორფოლოგია, თბ., 1930, გვ. 109, 115.

VII. გარდამავლობის მორფოლოგიური მახასიათებლისათვის

გარდამავლობის მორფოლოგიური მახასიათებლის ძიებისას მკვლევართა ყურადღებას იქცევდა და იქცევს ქცევის ნიშნები. კერძოდ, არაერთხელ აღნიშნულა ნეიტრალური ქცევის ა-ნიშნის (ა-კეთებ-ს, ა-შენებ-ს...) კავშირი გარდამავლობასთან (ნ. მარი, გ. დეეტერსი, არნ. ჩიქობავა, პ. პეჩი. პ. ფენრიხი...¹). ამ საკითხს სპეციალური წერილიც მიეძღვნა (ა. ჩიქობავა). ა-ხმოვანი პრეფიქსის რაობის შესახებ სხვა თვალსაზრისებიც არსებობს. სამეცნიერო ლიტერატურაში იგი განიმარტება აგრეთვე, როგორც საარვისო (ნეტრალური) ქცევის², მოქმედებითი გვარის³, კაუზატივის⁴, ზმნათა გარკვეულ ჯგუფში საზედაო სიტუაციის, ნასახელარი ზმნების ირიბი ობიექტი-

¹ Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925, გვ. 139, G. Deeters. Das kharthwelische Verbum, Leipzig, 1930, გვ. 73—74... არნ. ჩიქობავა, ზმნის გარდამავლობა, როგორც მორფოლოგიურა კატეგორია ქართულში. ივეწ., IV, თბ., 1979, გვ. 9—19; G. Kettler (Pätsch). Das Verbum finitum in der altgeorgischen Übersetzung des Markus—Evangeliums. Mödling bei Wien, 1938, 85-123; H. Fähnrich. Die Funktionen des Charaktervokals *i* im georgischen Verb.—Wissenschaftliche Veröffentlichungen der Friedrich—Schiller—Universität, Iena, 1965, გვ. 153-156...

² ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, I, მორფოლოგია, ტფილისი, 1930, გვ. 107, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბილისი, 1973, გვ. 326—327.

³ ე. თოფურია, მესამე ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, № 9, 1942, გვ. 969; ფ. ერთელიშვილი, ქცევის საკითხისათვის ქართულში, თსუ შრ., გვ. 114, ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია, 1965, გვ. 197...

⁴ გ. მაკავეარიანი, უნიშნო ვნებითები ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, 1959, გვ. 109... გ. როგავა, ზმნის პოლოპერსონალიზმის ისტორიისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში, ივე, ტ. XIII, თბ., 1962, გვ. 49—50; გ. ნებიერიძე, გვარისა და კაუზატივის ურთიერთმიმართებისათვის ქართულში, საენათმეცნიერო კრებ., I, ეძღვნება გ. ს. ახვლედიანის ხსოვნას, თბ., 1984, გვ. 164...

საღმი მიმართების⁵ აღმნიშვნელი ფორმანტი...: ა-პრეფიქსის (მაქცეჟ-რების) ზოგად ფუნქციას არკვევს მ. მაჭავარიანი⁶.

ამ ნაირგვარი ინტერპრეტაციებიდან გარდამავლობის გაგებას არც ერთი არ გამოიციხავს. ნასახელარ ზმნათა წარმოებაში იგულისხმება სახელიდან გარდამავალი ზმნის წარმოება (ს ა ხ ლ ი — ა-ს ა ხ-ლე ბ-ს...); გარდამავლობას ვარაუდობს კაუზატივიც: გარდამავალი ზმნის ჩამოყალიბების ერთი გზა კაუზატივია (წ უ ხ ს — ა-წ უ-ხ ე ბ-ს...); გარდამავალ ზმნათაგან ნაწარმოებ კაუზატივებში გამოვლენილი ერთი ა- პრეფიქსი (ა-კ ე თ ა — ა-კ ე თ ე ბ ი ნ ა...) იმას ადასტურებს, რომ კაუზატივის ა- და გარდამავალ ზმნათა ა- პრეფიქსი ერთი და იგივე ოდენობაა, წინააღმდეგ შემთხვევაში კაუზატივის ფორმაში ორი ა- გვექნებოდა. შდრ.: ა-ა ყ ვ ა ნ ი ნ ა, ა-ა წ ე-ვ ი ნ ა, ა-ა ლ ე ბ ი ნ ა...? უხმოვანპრეფიქსო გარდამავალი ზმნებიდან ნაწარმოებ კაუზატივებში ეს ა- აღდგება (ხ ა ტ ა — ა-ხ ა ტ ვ ი ნ ა). თუ რატომ, ამის შესახებ ქვემოთ გვექნება მსჯელობა. მოქმედებითი გვარი ასევე გულისხმობს გარდამავლობას. გარდამავალია საარვისო ქცევის ფორმებზე მიჩნეული ა- ხმოვანპრეფიქსიანი ა-კ ე თ ე ბ ს, ა-შ ე ნ ე ბ ს... ზმნები, გარდამავალია სრული ასპექტის გამომხატველი ა- პრეფიქსიანი ფუძეებიც: ვ ნ ე ბ ს — ა-ვ ნ ე ბ-ს — ა-ვ ნ ო, პ რ გ ე ბ ს — ა-რ გ ე ბ-ს — ა-რ გ ო... საზედაო სიტუაციის, ირიბი მიმართების გამომხატველი ფორმები შეიძლება გარდამავალიც იყოს და გარდაუვალიც (ა-წ ე რ-ს, ა-ხ ა ტ ა ვ-ს... მაგრამ: ა-წ ე რ ი ა, ა-ხ ა ტ ი ა... ა-დ გ ე ბ ა, ა-ჯ ლ ე ბ ა...); არსებობს თვალსაზრისი, რომ ე. წ. „საზედაოს“ ა- პრეფიქსი და ნეიტრალური ქცევის გარდამავალ ზმნებში გამოვლენილი ა- (ა-წ უ ხ ე ბ-ს, ა-შ ე ნ ე ბ-ს) სხვადასხვა ოდენობა შეიძლება იყოს⁸.

არც გარდამავალ ზმნათა ა- პრეფიქსი (ა-შ ე ნ ე ბ-ს) და არც კაუზატივის ა- (ა-შ ე ნ ე ბ ი ნ ე ბ ს...) თურმეობითში არ შეიძლება გვეკონდეს: თურმეობითში გარდამავლობის ნეიტრალიზაციას აქვს აღ-

⁵ ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბ., 1983, გვ. 42—84 (საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურა ვრცლად ამ ნაშრომშია მიმოხილული).

⁶ მ. მაჭავარიანი, ქცევის კატეგორიის საკითხისათვის, იკე, XXII, გვ. 51.

⁷ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ზმნის გარდამავლობა, როგორც მორფოლოგიური კატეგორია ქართულში, გვ. 18; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქეგლ, თბ., 1950.

⁸ გ. რ ო გ ა ვ ა, ზმნის პოლიპერსონალიზმის ისტორიისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკე, XIII, 1962, გვ. 50; გ. მაჭავარიანი, „უნიშნო ვნებითი“ ქართველურ ენებში, გვ. 109...

ვილი⁹. ე. ი. ა- პრეფიქსი გარდამავლობას უკავშირდება. თურმე-ობითში არ გადაყვება არც „საზედაოს“ ნიშანი და ესეც გასათვალისწინებელია.

ა- პრეფიქსი იკარგვის გარდამავალი ზმნის გარდაუვლად მოქცევისას ა-დ ნობს — დ ნება...

მაგრამ ფაქტია, რომ გარდამავალ ზმნათა გარკვეულ სტრუქტურულ მოდელებში ა- ხმოვანი პრეფიქსი არ დასტურდება; ესენია ფუძედრეკადი ზმნები, -ი, -ავ და -ამ სუფიქსიანი ზმნები¹⁰.

ამ რიგის ზმნებში ა- ხმოვანი პრეფიქსის არქონა მეორეულ ფაქტადაა მიჩნეული — გამოწვეული სხვადასხვა რიგის ფაქტორებით (ფონეტიკური, მორფოლოგიური). ქართულურ ენათა (სვანურის) ვითარება ამოსავალში ა- ხმოვნის პირველადობას ვარაუდობს¹¹.

ქართულში გარდამავალი ზმნის (მოქმედებითი გვარის) ორი მოდელის არსებობა: 1. ა-შ ე ნ ე ბ ს, ა-შ ე ნ ა... (ა+ფუძე+სუფიქსი)... 2. ხ ა ტ ა ვ ს, ხ ა ტ ა (ფუძე+სუფიქსი) ისტორიული ცვლილების შედეგია. არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ა- ხმოვანპრეფიქსიან გარდამავალ ზმნათა სათანადო გარდაუვალი ფორმები ძირითადად სუფიქსაციით იწარმოება (ა-წ უ ხ ე ბ-ს — წ უ ხ-დე ბ-ა...), ხოლო უხმოვანპრეფიქსო გარდამავლების საპირისპირო გარდაუვალი ზმნები ძირითადად პრეფიქსული ვნებითის ფორმებია (ხ ა ტ ა ვ ს — ი-ხ ა ტ ე ბ-ა...)¹².

„უნდა აღინიშნოს, რომ ეს შესატყვისობანი გრამატიკული მოვლენის ძირითად ვითარებას ასახავენ. გამონაკლისები კი საკმაოდ ხშირად დასტურდება — წერს ბ. ჯორბენაძე. ასე, მაგალითად, ა-გ ზ ნ ე ბ-ს, ა-ვ ს ე ბ-ს, ა-ქ ე ბ-ს ფორმები სავარაუდო სუფიქსიანი ვნებითის ნაცვლად პრეფიქსიან ვნებითებს იძლევიან: ი-/ე-გ ზ ნ ე ბ ა, ი-/ე-ვ ს ე ბ ა, ი-ქ ე ბ-ა...“ აქვე განხილულია მოქმედებითი გვარის წარმოების განსხვავებული მოდელები შესაბამის ვნებითებთან შეპირისპირებით¹³.

⁹ ა. ჩიქობავა, ზმნის გარდამავლობა, როგორც მორფოლოგიური კატეგორია ქართულში, გვ. 18.

¹⁰ ა. ჩიქობავა, იგივე, გვ. 12; მისივე, გარდამავალ ზმნათა წარმოების ორი ტიპი და მათი ისტორიული ურთიერთობა ძველ ქართულში, თსუ ფილოლოგიის ფაკ. XIII სამეცნიერო სესია, 1970, 6—14 აპრილი, თეზისები, გვ. 18.

¹¹ ა. ჩიქობავა, ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზმნებში, იკე, XI, თბ., 1959, გვ. 161—167.

¹² ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, გვ. 138.

¹³ იქვე, გვ. 124—127.

გარდამავალ ზმნათა ა- ხმოვანპრეფიქსიან და უხმოვანპრეფიქსო მოდლებს დაპირისპირება ასეთ სურათს წარმოაჩენს:

ა+ფუძე+ებ მოდელით ნაწარმოებ გარდამავალ ზმნებს ძირითადად უპრეფიქსო ვნებითები შეესაბამება. აქ ყურადღებას იქცევს ის შემთხვევები, როცა გარდამავალ ფორმაში ა- ხმოვანპრეფიქსი იკარგვის და საპირისპირო ვნებითის ფორმები პრეფიქსიანია (ანდა, ვნებითის ფორმები არ ეწარმოება): ა-პ ა ტ ი ყ ე ბ ს // ა-პ ა ტ ი ყ ე ბ ს თვითონაც მუხლთან მიუჯდა, პურს ა-პ ა ტ ი ყ ე ბ ს ალუდსა (ვაჟა, ქეგლ) — ეპატრება, ა-პ ა ტ ი ყ ე ბ ს — იპოვება (პოტენციალისი), ა-მ ო ს ძ ა ხ ე ბ-ს — ა მ ო-ი-ძ ა ხ ე ბ-ა (იმ სიტყვას, რომელიც გულიდამ ა მ ო ი ძ ა ხ ე ბ ა პირდაპირ, მეორე გულამდინ შუამავალი არ უნდა; ილია, II, 526), ტ ო ვ ე ბ-ს (შდრ.: მ ო-ა-ტ ო ვ ე ბ-ს) — დაიტოვება („სახლში არ დაიტოვება“), გა და ა ჰ კ ი დ ე ბ ს („აქ არ გა და ი კ ი დ ე ბ ა“), ბ ა დ ე ბ ს — ი ბ ა დ ე ბ ა... ვნებითები არა აქვს ახ. ქართულში ს ტ ა ც ე ბ ს (შდრ.: ძვ. ქართ. მ ი მ ო-დაიტაცებინ), ა ძ ა გ ე ბ ს (ძვ. ქართ. ს ძ ა გ ე ბ ს) ფორმებს.

ა+ფუძე+ობ მოდელით ნაწარმოებ გარდამავალ ზმნებს ძირითადად უნიშნო ვნებითები შეესაბამება (გამონაკლისები: ა-მ კ ო ბ ს — ი-მ კ ო ბ-ა, ა-წ რ თ ო ბ ს — ი-წ რ თ ო ბ-ა, ა-მ ხ ო ბ-ს — ი-მ ხ ო ბ-ა...); გარდამავალ ფორმებთან ამგვარ მოდელში ა-ს დაკარგვაც დასტურდება. ძვ. ქართ. ა-გ რ ძ ნ ო ბ-ს — ა-გ რ ძ ნ ა, ახ. ქართ. გ რ ძ ნ ო ბ ს, ვნებ. ი გ რ ძ ნ ო ბ ა...

რიგი ა+ფუძე+ი მოდელის ზმნები პარალელურად უხმოვანპრეფიქსოდაც იხმარება: ა-გ ზ ა ვ ნ ი ს — გ ზ ა ვ ნ ი ს, ა-ყ ვ ე დ რ ი ს — ჰ ყ ვ ე დ რ ი ს... ვნებითები ამ წარმოებას პრეფიქსიანები შეესაბამება: ი-გ ზ ა ვ ნ ე ბ ა, ი-ყ ვ ე დ რ ე ბ ა... -ი სუფიქსიანი გარდამავალი ზმნები ძირითადად უხმოვანპრეფიქსოა.

ა+ფუძე+ევ მოდელით ნაწარმოებს ზმნებს პრეფიქსიანი ვნებითები აქვს — აქაც -ა ხმოვანი იკარგვის:

მ ი ვ ა კ ე ლ ი ე // მ ი ვ კ ე ლ ი ე, მ ო ა ხ ვ ი ა // მ ო ჰ ხ ვ ი ა, ვნ. მ ი-ი-კ ე ლ ე ვ ა, დ ა ი ხ ვ ე ვ ა, ს ძ ლ ე ვ ს — ი ძ ლ ე ვ ა (დაიდლევა)...

ა+ფუძე+ენ მოდელით ნაწარმოებ ზმნებს ძირითადად უნიშნო ვნებითები შეესაბამება: ა ძ ვ რ-ე ნ-ს — ძ ვ რ ე ბ ა, ა ც ლ-ე ნ-ს — [ს]-ც ლ ე ბ ა, ა წ ვ ლ-ე ნ-ს — [ს]-წ ვ ლ ე ბ ა. ოდენ -ენ სუფიქსით ნაწარმოებ ზმნებში ა- ხმოვანი არ გვაქვს და პრეფიქსიანი ვნებითები შეესაბამება: ს ძ ე ნ ს — შ ე ი ძ ი ნ ე ბ ა, კ ბ ე ნ ს — ი კ ბ ი ნ ე ბ ა, ჰ რ ქ ე ნ ს — ი რ ქ ი ნ ე ბ ა...

ა+ ფუძე+ამ / 0+ ფუძე+ამ: ამ მოდელში დასტურდება როგორც პრეფიქსბოვნიანი, ისე უბისო წარმოება: ა-ღ გ ა მ-ს, ა-ს ხ ა მ-ს, ა-ბ ა მ-ს, ა-რ ტ ყ-ა მ-ს... დ გ-ა მ-ს, ს ხ-ა მ-ს, ს ვ-ა მ-ს, ნ თ ქ-ა მ-ს... ვნებითები პრეფიქსულადაა ნაწარმოები: ი-ღ გ-მ ე ბ--ა, ი-ს ხ მ-ე ბ-ა, ი-ბ მ-ე ბ-ა...

0+ ფუძე+ემ: / ც-ე მ-ს, — ვნებითი პრეფიქსულად იწარმოება: ი-ც ე მ-ე ბ-ა.

0+ ფუძე+ავ მოდელის გარდამავალ ზმნებს პრეფიქსიანი ვნებითები უპირისპირდება: ხ ა ტ-ა ვ-ს — ი-ხ ა ტ-ე ბ-ა... ასევეა მარტივფუძიან და ფუძედრეკად ზმნებთანაც.

დასკვნა ასეთია: გარდამავალი ზმნის ა- ხმოვანპრეფიქსული წარმოება ვერ იკლებს ვნებითის პრეფიქსულ წარმოებას. ა- ხმოვანი პრეფიქსი გარდამავალ ზმნაში მაშინ ზის მყარად, თუ შესაბამისი გარდაუვალი ვნებითის ფორმა პრეფიქსით არ იწარმოება. მაგრამ ეს უკვე შედეგია, ამგვარი შედეგი კი იმით უნდა იყოს გაპირობებული, რომ ა- ხმოვნიანი გარდამავალი ზმნები უფრო სტაბილურია — ამ რიგის გარდამავალი ზმნის ფუძიდან ვნებითები იშვიათად იწარმოება¹⁴, განსხვავებით ხ ა ტ ა ვ-ს, წ ე რ-ს ტიპის უხმოვანპრეფიქსო გარდამავალ ზმნათაგან, რომლებიც ლაბილურობის თვისებას ამჟღავნებენ — ნამყო ძირითადში სასუბიექტო ქცევისა და ვნებითის ფორმები იდენტური აქვთ: დ ა-ხ ა ტ ა, დ ა-ი-ხ ა ტ-ა მან იგი / დ ა-ი-ხ ა ტ-ა იგი...

სადავოა გარდამავალ ა-წ უ ხ ე ბ-ს ტიპის ზმნათა ა- ხმოვანი პრეფიქსისა და „საზედლო“ სიტუაციის ფორმებში (ა-წ ე რ-ს, ა-ხ ა ტ ა ვ-ს...) გამოვლენილ ა-ს მიმართების საკითხი. ორივე შემთხვევაში ა- ფუძის წინ დაისმის. ამ პრეფიქსთა განსაზღვრული ადგილი მათი ფუნქციების ერთგვარობის შესახებაც სვამს საკითხს. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ერთ შემთხვევაში კუთვნილება-დანაშინულება აღინიშნება განსაზღვრულ საოპოზიციო ცალკებთან მიმართებისას, საზედლოს ფორმები კი აღნიშნავენ მიმართებას ირიბ ობიექტთან სივრცეში განლაგების თვალსაზრისით: „იქ ქცევაა, ანუ ვერსია, აქ კი — სიტუაცია, ამიტომ მათი ერთ სიბრტყეზე განხილვა შეუძლებელია. საზედლო ფორმა რომ ქცევის ფორმად ვიცნათ, მაშინ, უეჭველია, ქცევის განსაზღვრაში ახალი მომენტი უნდა შევიტანოთ და არსებითად ორი სხვადასხვა კატეგორია შევაერთოთ. ეს იგივე იქნებოდა, რომ ერთად გან-

¹⁴ ჩვენი აზრით, ამ რიგის გარდამავალ ზმნათა შესაბამისი სუფიქსიანი ვნებითები (წ უ ხ ღ დ ე ბ ა, ძვ. ქართ. წ უ ხ-ე ბ-ი-ს...) ამოსავლად მოქმედებით გვარს ან ვარაუდობს, მოქმედებითი გვარის ფორმებიდან არ იწარმოება. ისტორიულად ისინი, ისევე, როგორც უნიშნო ვნებითები, უგვარაო დანამოკრ ზმნებს წარმოადგენენ (იხ. შ. ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი, სუფიქსიანი ზმნათა წარმოქმნის ზოგი საკითხისათვის ქართულში, იკე, XXII, 1980, გვ. 126—135).

გვეხილა ისეთი ფორმები, როგორცაა, ვთქვათ: დ-წ-ე-რ-ა, დ-ი-წ-ე-რ-ა (აქტ.), დ-უ-წ-ე-რ-ა, დ-ი-წ-ე-რ-ა (პას.) და დ-ე-წ-ე-რ-ა (პას.). იმ მარტივი მოსაზრების გამო, რომ ყველა მათ, პირველს გარდა, პრეფიქსი აქვს საწარმოებლად¹⁵.

სხვადასხვა წარმოშობისადაა კვალიფიცირებული ეს სხვადასხვა მოდელებში გამოვლენილი ა- გ. როგავას, გ. მაჭავარიანის მიერ.

ვეარაუდობთ, რომ ა-წ-უ-ხ-ე-ბ-ს ტიპის გარდამავალ ზმნათა ხმოვანი პრეფიქსი და ა-წ-ე-რ-ს „საზედაო“ ფორმის თავკიდური ა-ხმოვანი ამოსავალში ერთი და იგივე ოდენობაა... „საზედაო“ ფუნქცია რომ არ უნდა იყოს ამ უკანასკნელისათვის ძირითადი, ეს ბევრჯერ აღნიშნულა: „საზედაოს კატეგორია სუსტადაა გამოხატული ქართულში“¹⁶, „დ-ა-ა-წ-ე-რ-ა, დ-ა-ა-შ-ე-ნ-ა... ზმნები ზედაობას გადმოგვცემენ, მაგრამ ამის გამო ეს ა- ვერ იქნება საზედაოს ნიშანი თავისი წარმოშობით“¹⁷, „თუ ა- საზედაოს ფორმანტია, იგი (თუ ყოველთვის არა) უმეტეს შემთხვევაში მაინც ამ ფუნქციით უნდა გამოიყენებოდეს, არის კი პირიქით“...¹⁸ საზედაოს ნიშანს ქცევის ნიშანთა რიგისად თვლიან: ეს „საზედაო“ შინაარსი ქცევისას არ ხვდება, მაგრამ იმავე რიგისაა¹⁹. ყველა სახის ა- პრეფიქსს ქცევის პრეფიქსულ ხმოვნებთან ერთ რანგში განიხილავს მ. დამენია²⁰.

ვეარაუდვს ყველა სახის ა- ხმოვანი პრეფიქსის ერთი წარმომავლობის შესახებ შემდეგი ფაქტებიც უჭერს მხარს:

1. ა- ხმოვანი პრეფიქსის განსაზღვრული ადგილი — იგი ყოველთვის ზმნის ფუძის წინ დაისმის.

2. ა- ხმოვანი პრეფიქსის მიმართება ზმნის სხვა მორფოლოგიურ ელემენტებთან (პირის პრეფიქსებთან, ზმნისწინებთან).

ფუნქციური განსხვავება ა- პრეფიქსის გამოყენებაში მეორეულია. ამ განსხვავებას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს:

ა- ხმოვანი პრეფიქსის არქონა გარდამავალ ზმნათა ერთ ნაწილში (ხატავს, წერს შლის...) მეორეულია, და, ჩვენი აზრით, ამ ზმნური ფუძეების ლაბილურობითაა გამოწვეული. ამ დაკარგვას ქართულური ენებიც ამოწმებს (სვან. აქნი „ხნავს“...). თანამედროვე ქართულში დადასტურებული, პარალელურად ხმარებული უხმოვან-

¹⁵ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 375.

¹⁶ იგივე, გვ. 373...

¹⁷ ა. ჩიქობავა, ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზმნებში, გვ. 167.

¹⁸ ბ. ჭობენაძე, ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, გვ. 51.

¹⁹ ა. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, გვ. 059.

²⁰ მ. დამენია, ქართული ზმნური მორფემების სტრუქტურული მოდელები, თბ., 1982, გვ. 129—130.

პრეფიქსო და ა- ხმოვანპრეფიქსიანი გარდამავალი ფორმების შეჯერება ისტორიულად შესაძლებელ სემანტიკურ და სინტაქსურ ცვლილებათა თანმიმდევრულ სურათსაც წარმოაჩენს:

ა) დასტურდება ა- პრეფიქსიანი და უპრეფიქსო გარდამავალ ფუძეთა თავისუფალი მონაცვლეობა: ა-გ ზ ა ვ ნ-ი-ს — გ ა-ა-გ ზ ა ვ ნ-ი-ს — გ ა-ა-გ ზ ა ვ ნ-ა || გ ზ ა ვ ნ-ი-ს — გ ა-გ ზ ა ვ ნ-ი-ს — გ ა-გ ზ ა ვ ნ-ა, 3-ყ ვ ე დ რ-ი-ს || ა-ყ ვ ე დ რ-ი-ს... ამ პარალელურ ფორმებს ფუნქცია ერთნაირი აქვთ და არც სინტაქსი შეცვლილა.

ბ) ა-ხ ვ ე ვ-ს // ჰ ხ ვ ე ვ-ს — გ ა-ა-ხ ვ ე ვ-ს — გ ა-ა-ხ ვ ი ა (შდრ.: დიალ. გ ა-ხ ვ ი ა); სინტაქსი არ ცვლილა, აწმყოში პარალელურად იხმარება ხმოვანპრეფიქსიანი და უხმოვანპრეფიქსო ფორმები, ოღონდ სრული ასპექტის დროებში ოდენ ხმოვანპრეფიქსიანი ხმოვნები გვაქვს.

გ) ს ტ კ ე ნ-ს — ა-ტ კ ე ნ-ს — ა-ტ კ ი ნ-ა, ჰ-რ გ ე ბ-ს — ა-რ გ ე ბ-ს — ა-რ გ ო, ვ ნ ე ბ-ს — ა-ვ ნ-ე ბ-ს — ა-ვ ნ-ო... ხმოვანპრეფიქსიანი ზმნები სრული ასპექტის გაგებას ითავსებენ (ეს არაა შემთხვევითი, სრული ასპექტის დროებში გარდამავლობის სემანტიკა უფრო მკაფიოა).

დ) წ ე რ-ს — დ ა-წ ე რ-ს — დ ა-წ ე რ-ა, ა-წ ე რ-ს — დ ა-ა-წ ე რ-ა. ა- ხმოვანპრეფიქსიანმა ფორმამ „საზედაოს“ შინაარსი გაითავისა. ამგვარ შინაარსს სათანადო ზმნურ ფუძეთა სემანტიკა განაპირობებს. შდრ.: ვ წ ე რ, ვ ა წ ე რ წ ი ზ ნ ზ ე... ვ ხ ა ტ ა ვ, ვ ა ხ ა ტ ა ვ კ ე დ ი ლ ზ ე... სხვა შემთხვევაში, როცა ფუძის სემანტიკა ამგვარ შინაარსს ვერ იგუებს, „საზედაოს“ მნიშვნელობა არ გვაქვს (ა წ უ ხ ე ბ-ს, ა ტ ი რ ე ბ-ს...).

ე) როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, ფუნქციონალური განსხვავება უნიშნო და ა- პრეფიქსიანი ზმნებს შორის კუთვნილება-დანაშინულების თვალსაზრისით არ არსებობს: „უნიშნო წარმოებაცა და ანიანიც თანაბრად უპირისპირდება ინიანსა და უნიან წარმოებას, ერთ ობიექტიანი იქნება ზმნა თუ ორ ობიექტიანი“²¹.

ამიტომ, რეალური გვეჩვენება ხმოვანპრეფიქსიანი ფორმიდან

უხმოვანპრეფიქსო ფორმის მიღების გზა: *ჰ ა წ ე რ-ს $\begin{cases} \text{ა-წ ე რ-ს} \\ \text{წ ე რ-ს} \end{cases}$ —

ერთ შემთხვევაში ფორმა იცვლება, ა- პრეფიქსი იკარგვის, მაგრამ ფუძის მნიშვნელობა და სინტაქსი იგივე რჩება (წ ე რ-ს), მეორე შემთხვევაში მნიშვნელობის რეინტერპრეტაცია მოხდა, ამის შესაძლებლობას ფუძის სემანტიკა იძლეოდა (შდრ.: ა-წ ე რ-ს, წ ე რ-ს რ ა დ ა ც ა ზ ე...); მნიშვნელობის შეცვლას სინტაქსის (ვალენტობის) ცვლა მოჰყვა (ირიბი ობიექტი შემოდის შესიტყვებაში და ფორმაშიც

²¹ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 326.

ირიბი ობიექტის პირის ნიშანი დაჩნდება: მ-ა-წ ე რ-ს, გ-ა-წ ე რ-ს / კ/ ა-წ ე რ-ს...); სადაც ამგვარი ახალი მნიშვნელობის გამოხატვის შესაძლებლობას ზმნის ფუძის სემანტიკა არ იძლეოდა (მაგ.: ასპექტისას: ვ ნ ე ბ-ს — ა-ვ ნ ე ბ-ს — ა ვ ნ ... ანდა მნიშვნელობის სხვა რამ ნიუანსი), პრეფიქსიანი ფორმები ამ ფუძისა აღარ შემოგვრჩებოდა.

არსებითია, რომ „საზედაო“ სემანტიკა უახლოესი ობიექტის არსებობას გულისხმობს გარდამავალ ზმნებში; უფრო ზუსტად: უახლოესი ობიექტის მიმართებას ირიბ ობიექტთან: ის აღნიშნავს, რომ „მოქმედების მომენტში უახლოესი ობიექტი ირიბ ობიექტზე იმყოფება“²². ამ ურთიერთობაში უახლოესი ობიექტია ძირითადი წევრი, რადგან, ჯერ ერთი, სუბიექტური წყობის ფორმებში ირიბი ობიექტი შეიძლება უბრალო დამატებადაც წარმოგვიდგეს: ვ-ა-წ ე რ კ ე დ ე ლ ს // კ ე დ ე ლ ხ ე..., მეორეც, ირიბ ობიექტს თავისი ნიშანი აქვს.

„ა- პრეფიქსი ყოველთვის არ მიგვითითებს ირიბ ობიექტზე, მეორეულ ზმნებში ის გარდამავალ ზმნათა მაწარმოებელია საარვისო ქცევით ა-წ ი თ ლ ე ბ-ს, ა-გ ო რ ე ბ-ს, ა-წ ვ ე ნ-ს“,...²³ — წერს ა. შანიძე. ა- პრეფიქსის ფუნქციის დასადგენად არსებითია უახლოესი ობიექტის არსებობა. ერთ შემთხვევაში ის აღნიშნავს უახლოეს ობიექტს ირიბ ობიექტთან მიმართებით, მეორე შემთხვევაში — უახლოეს ობიექტს მიმართების გარეშე.

როგორც ჩანს, ა- პრეფიქსი გარდამავალ ზმნის ფორმაში უახლოეს ობიექტზე მიუთითებს პირის კონკრეტიზაციის გარეშე. შეიძლება ითქვას, რომ უახლოესი ობიექტის პირის აღნიშვნა ქართულში ერთგვარად შეზღუდულია: როცა გარდამავალი ზმნის უახლოესი ობიექტი რა ჯგუფის სახელია, ბუნებრივია, გარდამავალ ზმნას ასეთ შემთხვევებში ობიექტური წყობის ფორმები (ე. ი. I და II პირის ობიექტური წყობის ფორმები) არ უკეთდება. პიროვნების აღმნიშვნელი უახლოესი ობიექტის რომელობას (I და II პ.) მ-, გ- პრეფიქსები გამოხატავენ. შე-მ-ა-წ უ ხ-ა მან მე, შე-გ-ა-წ უ ხ-ა მან შენ, შე-მ-ა-წ უ ხ-ე შენ მე. შე-გ-ა-წ უ ხ-ე მე შენ ფორმებთან მ-, გ- თანხმობანი პრეფიქსებისა და ა- ხმობანი პრეფიქსების მიჯრით წარმოჩენა ზმნის თავკიდურ პოზიციაში იმით უნდა იყოს გაპირობებული, რომ თანხმობანი პრეფიქსები უახლოესი ობიექტის პირის ნიშნებია, ხმობანი პრეფიქსი კი პირის რომელობის მიმართ ნეიტრალური უახლოესი ობიექტის გამოხატველია.

²² G. Deeters. Das kharthwelische Verbum, გვ. 71.

²³ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. გვ. 376.

ტრადიციულად ქცეული შეხედულების მიუხედავად, მართებულად გვიჩვენება პრეფიქსულ ხმოვანთა (ა-, ი-, უ-) ერთ სიბრტყეზე განხილვისა და მათი საერთო ფუნქციის დაძებნის ცდა. ვფიქრობთ, რომ ი-, უ- ხმოვანი პრეფიქსებიც გარდამავალ ზმნებში უახლოესი ობიექტის აღნიშვნას უკავშირდება. სასუბიექტო ქცევის ფორმა რომ მხოლოდ გარდამავალ ზმნებს ახასიათებს, ეს ფაქტი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია (ა. შანიძე). სასუბიექტო ქცევის ი- პრეფიქსის გარდამავლობასთან კავშირის შესახებ ცნობილია აგრეთვე პ. ფენრიხის მოსაზრება²⁴. შემთხვევითი არ არის, რომ ქცევის ფორმათა ქრესტომათიულ განმარტებებში უკვე წარმოჩნდება ქცევის ხმოვანი პრეფიქსების კავშირი გარდამავლობასთან: „საარვისოა (ნეიტრალურია) ფორმა, რომელიც გვიჩვენებს რომ პირდ. ობიექტი არავის კუთვნილება არ არის (ხაზი ყველგან ჩვენია — მ. ს.) და არც ვისთვისმეა განკუთვნილი (დანიშნული): სახლს ვაშენებ.

სათავისოა (სასუბიექტოა) ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ პირდ. ობიექტი ეკუთვნის მოქმედ პირს, სუბიექტს, ან მისთვისაა განკუთვნილი: სახლს ვიშენებ.

სასხვისოა (საობიექტოა) ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ პირდ. ობიექტი ირიბს ეკუთვნის, ან ირიბისთვისაა განკუთვნილი: სახლს ვუშენებ²⁵.

როგორც ვხედავთ, გარდამავალი ზმნების ქცევის ფორმათა განსაზღვრაში საერთო ჩანს უახლოესი ობიექტის აღნიშვნა. ეს საერთო გამოიხატება ხმოვანი პრეფიქსების განსაზღვრული ადგილით — ზმნის ფუძის (ძირის) წინ, ხოლო ხმოვანთა სხვაობა (ა-, ი-, უ-) გამოავლენს უახლოესი ობიექტის განსხვავებულ მიმართებებს: უახლოესი ობიექტი განსხვავებულ მიმართებას ამყარებს სუბიექტთან ან ირიბ ობიექტთან. მიმართების თვალსაზრისით ა- მაქცევრიანი ფორმები უპირისპირდება ი-, და ი-/უ- მაქცევრიან ფორმებს კუთვნილება-დანიშნულების გამოხატვით (უფრო ზუსტად: გამოუხატველობით). ა- მაქცევრიან ფორმებში უახლოესი ობიექტის მიმართებაში სუბიექტთან ან ირიბ ობიექტთან ნეიტრალიზებულია კუთვნილება-დანიშნულების მნიშვნელობა, ი- და უ- მაქცევრები კი ამ მიმართებისას კუთვნილება-დანიშნულებით ურთიერთობას ასახავენ.

აქვე უნდა ითქვას, რომ სასუბიექტო ქცევის ზმნებს იშვიათად უკეთდება ობიექტური წყობის ფორმები, ე. ი. უახლოესი ობიექტის აღნიშვნა აქაც შეზღუდულია. ეს გასაგებიცაა. სასუბიექტო ქცევას

²⁴ H. Fähnrich, დასახ. ნაშრ., გვ. 153—157.

²⁵ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 323 და შემდეგ-

არსებითად ორგვარი სემანტიკური გამოხატულება აქვს: „მოქმედება თავისთვის“ და „მოქმედება თავისთავზე“. პირველ შემთხვევაში ზმნაში უახლოეს ობიექტად ძირითადად რა კლასის სახელი არის წარმოდგენილი (ი ვ ე ნ ე ბ ს ს ა ხ ლ ს...) და, ბუნებრივია, ობიექტური წყობის ფორმები ვერ ექნება; მეორე შემთხვევაში, უახლოესი ობიექტია უკუქცევითი ნაცვალსახელი „თავი“, (ი კ ლ ა ვ ს თ ა ვ ს...), რომელიც ობიექტურ პირად ასევე ვერ მოიქცევა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ა- მაქცევარი უახლოესი ობიექტის პირის ნიშნებს ძნელად თუ შეიგუებას. საყურადღებოა, რომ სასუბიექტო ქცევის ზმნათა ობიექტური წყობის იშვიათი ფორმები (I და II ბ.) ომონიმურია: დ ა მ ი - კ ი რ ა მ ა ნ მ ე / მ ა ნ მ ე ხ ე ლ ი, დ ა მ ი ყ ე ნ ა მ ა ნ მ ე / მ ა ნ მ ე ი გ ი... მიმდევრობა ობიექტური პირის ნიშანი + ი- მაქცევარი საობიექტო ქცევის ზმნათა ობიექტურ წყობას (I და II ბ.) ახასიათებს. პირის ნიშანი ამ მიმდევრობაში ირიბ ობიექტს აღნიშნავს.

თუ გარდამავალ ზმნებში გამოვლენილი ხმოვანი პრეფიქსები უახლოეს ობიექტს უკავშირდება, გარდაუვალ ზმნებში ეგევე პრეფიქსები სუბიექტს მიაწინებენ და ამ შემთხვევაშიც ნეიტრალური არიან პირის რომელიმე მიმართ. ერთპირიან გარდაუვალ ზმნებში (ვ ი მ ა - ლ ე ბ ი...), ბუნებრივია, არავითარი მიმართება არ აისახება. აქ სუბიექტის აღმნიშვნელი ორი პრეფიქსი — პირის ნიშანი და მაქცევარი — ჭარბი იქნება. რა კლასის სახელებს ახალ ქართულში ეს სიჭარბე არ ექნებათ: (ი ფ უ რ ც ლ ე ბ ა, ი კ ვ ა ნ ძ ე ბ ა). ორპირიან გარდაუვალ ზმნებთან ხმოვანი პრეფიქსები ასახავენ სუბიექტის მიმართებას ირიბ ობიექტთან (ა ზ ი ს ის მ ა ს, უ წ უ ხ ს მ ა ს გ უ - ლ ი...). ასეთივე მიმართება აისახება დრო-კილოთა III ჯგუფშიც. აქ, ინვერსიის შედეგად, უახლოესი ობიექტი გრამატიკულ სუბიექტად წარმოგვიდგება, ხოლო სუბიექტი — ირიბ ობიექტად. რეალური ირიბი ობიექტი უბრალო დამატებად იქცევა.

გარდამავალი ზმნის ინვერსიისას, გარდაუვალად ქცევისას, ხმოვანპრეფიქსთა საობიექტო ქცევის მოდელის გადატანა იმით აიხსნება, რომ ამ მოდელისათვის დამახასიათებელია მხოლოდ ერთი სახის მიმართება ირიბ ობიექტთან, რაც რელატიური გარდაუვალი ზმნის ერთადერთ მიმართებასაც წარმოადგენს. ა- ხმოვანი მოდელისათვის ირიბ ობიექტთან მიმართება ერთადერთი არ არის და მხოლოდ გარკვეული სემანტიკის ზმნებს ახასიათებს.

მაქცევართა ამგვარი კვალიფიკაცია, რა თქმა უნდა, შემდგომ კვლევას და, პირველ რიგში, ამ თვალსაზრისით საქცეო სისტემის მთლიან შესწავლას მოითხოვს. ხმოვანი პრეფიქსების ფუნქციის ამ-

გვარი გააზრება კლასოვანი უღვლილების მსგავს პრინციპებს მიანიშნებს²⁶.

საერთოდ, ხმოვანპრეფიქსთა სისტემა ქართულში მიგვანიშნებს, რომ საქცეო ურთიერთობის (კუთვნილება-დანიშნულებითი ურთიერთობის) გამოხატვა არ უნდა ყოფილიყო ამ ხმოვანთა თავდაპირველი ფუნქცია. შდრ.: ხმოვანპრეფიქსთა ამ სისტემიდან ამოვარდნილი ე- ხმოვანი (ე-ძ ე ბ ს, ე-ს რ ო ლ ა...); კუთვნილება-დანიშნულების სისტემის ჩამოყალიბების ფაქტიდან შეიძლება გააზრიანდეს, აგრეთვე, ა- პრეფიქსის არქონა ზმნათა ერთ დიდ ჯგუფში (ხ ა ტ ა ვ ს, წ ე რ ს, შ ლ ი ს...); უხმოვანპრეფიქსო ფორმებს კუთვნილებითი ურთიერთობის სისტემაში ნეიტრალური წევრის ადგილი უკავიათ და, ბუნებრივია, ამ დაპირისპირებაში ა- ხმოვანპრეფიქსი ქარბი იქნებოდა: ამავე რანგის ი- და უ- ხმოვნები კუთვნილებით ურთიერთობას ასახავენ; ამდენად, ი- და უ- კუთვნილება-დანიშნულებით პრეფიქსს 0 დაუპირისპირდა (0-ხ ა ტ ა ვ ს — ი-ხ ა ტ ა ვ ს, უ-ხ ა ტ ა ვ ს). ხოლო ა- პრეფიქსიანი ფორმა (ა-ხ ა ტ ა ვ ს...) ფუძის სემანტიკის შესაბამისი ურთიერთობის გამოხატვისკენ ისწრაფვის, რასაც ძირითადად ზმნის სინტაქსის შეცვლით აღწევს. მეორე რიგის ზმნებს: ა-წ უ ხ ე ბ ს, ა-დ უ მ ე ბ ს, ა-ტ ი რ ე ბ ს... მართალია, კუთვნილება-დანიშნულების ამსახველი საოპოზიციო ფორმები ეწარმოება, მაგრამ ა- ხმოვანი არ ეკარგვის. არ ეკარგვის იმიტომ, რომ სხვა ფორმებთან ოპოზიციაში (გარდაუვალ ზმნებთან, სახელებთან) მკაფიოდ ჩანს მისი სიტყვაწარმოებითი ფუნქცია (წ უ ხ ს — ა-წ უ ხ ე ბ ს... ს ა ხ ე ლ ი — ა-ს ა ხ ე ლ ე ბ ს...).

ამგვარად, ჩვენი თვალსაზრისით, ხმოვანი პრეფიქსები გარდამავალ ზმნებში უახლოესი ობიექტის აღნიშვნას უნდა უკავშირდებოდეს.

აქვე კიდევ ერთი არსებითი საკითხი დაისმის — გარდამავალია თუ არა ზმნა, რომელსაც სინტაგმაში უახლოესი ობიექტი ეკარგება? ამ ფაქტს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთი კვალიფიკაცია ეძლევა: 1. ამგვარი ზმნა გარდაუვალია (ა. შანიძე)²⁷. უფრო ადრე ა. შანიძე დაიძინა მან ტიპის ზმნებს ც ა ლ მ ა გ გ ა რ დ ა მ ა ვ ლ ე ბ ს ეძახდა. 2. ზმნა მაინც გარდამავალია, „ი გ რ ძ ნ ო“, „ი ც ი ნ ა“, „დ ა ი ძ ი ნ ა“, „გ ა ი ღ ვ ი ძ ა“, „ი შ ი მ შ ი ლ ა“

²⁶ ამ პრინციპის მიხედვით კანონზომიერია ერთი და იგივე ფორმანტი (პრეფიქსი) გვექონდეს გარდამავალ ზმნაშიცა და გარდაუვალშიც. გარდამავალ ზმნაში ის უახლოეს (ე. წ. პირდაპირ) ობიექტზე მიუთითებს (ობიექტური კლასოვანი უღვლილება), გარდაუვალში კი — სუბიექტზე (სუბიექტური კლასოვანი უღვლილება) — ა. ჩიქობავა, ზმნის გარდამავლობა, როგორც მორფოლოგიური კატეგორია ქართულში, გვ. 19.

²⁷ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 303.

ფუძის მნიშვნელობას თუ დავემყარებთ, გარდაუვალი ზმნები გვე-
გონება, მაგრამ მათ სუბიექტის ბრუნვად ერგატივი (მოთხრობითი)
აქვთ (როგორც გარდამავალ ზმნებს) და, როგორც ჩანს, ობიექტსაც
სახელობითში იგუებდნენ (დაიძინა მან „ძილი“, იგრძნო
მან „თავი“), ე. ი. უახლოესი ობიექტი მოეპოვებოდათ. ამჟამად
ეს ობიექტი არ ჩანს. მაგრამ ზმნის უღვლილება, მისი პარადიგმატიკა
არ ცვლილა: „იგრძნო“, „გაიცინა“, „დაიძინა“... გარ-
დამავალი ზმნებია. თურმეობითი ეწარმოება ინვერსიულად: დაუ-
ძინია, გაუცინია, უგრძენია მას²⁸.

გარდამავალი ზმნის შესიტყვებაში პირდაპირი ობიექტის დაკარ-
გვა დამახასიათებელია ინდო-ევროპული ენებისათვისაც. აკუზატივში
დასმული პირდაპირი ობიექტის დაკარგვით გარდამავალი ზმნა გარ-
დაუვალი ხდება (ბერძნული, გერმანული, რუსული...). რიგი გარდა-
მავალი ზმნებისა მხოლოდ პოტენციურად ითხოვს განსაზღვრულ სინ-
ტაქსურ პირობებს (პირდაპირ დამატებას ბრალდებით ზრუნვაში). ამ
პირობების გარეშე გარდამავლობის მნიშვნელობა არ რეალიზდება.
მაგრამ ეს ინდო-ევროპულ ენებს ეხება, სადაც სუბიექტის ბრუნვა
გარდამავლობისათვის არ არის ღირებული (გარდამავალსა ლა გარდა-
უვალ ზმნებს სუბიექტი სახელობითში დაესმით). ქართულში უახ-
ლოესი ობიექტის გაუჩინარება ზმნის სინტაგმაში სუბიექტის ბრუნ-
ვას არ ცვლის: დაიძინა მან (იგულისხმება დრო-კილოთა ნამ-
ყო ძირითადის წყება).

ქართულში გარდამავლობის სინტაქსური მაჩვენებლის — უახ-
ლოესი ობიექტის დაკარგვა, რასაც თავისი გარკვეული მიზეზები
აქვს²⁹, კომპენსირებულია სათანადო ზმნის ფორმით, ფუძის წინ წარ-

²⁸ ა. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ.,
1979, გვ. 164—165.

²⁹ ობიექტის დაკარგვის მიზეზებში იგულისხმება: 1. ტავტოლოგია ზმნის სუ-
ბიექტისა ობიექტთან — „თავი“ უკუქცევით ნაცვალსახელთან, რომელიც ფართო-
დაა გავრცელებული ქართულსა და მთის კავკასიურ ენებში (სხვათა შორის, ბასკურ-
შიც — იხ. G. Deeters. Das kharthwelische Verbum. გვ. 84-85), 2. ტავტო-
ლოგია ზმნის ფუძისა და უახლოესი ობიექტისა: დაიძინა ძილი — დაიძინა... ამგვარი
ტავტოლოგია სხვა ენებშიაც დასტურდება და ნაირგვარი სახელწოდებითაა ცნობილი:
შინაგანი დამატება (innere object), შინაარსის დამატება (object of content), ფაქტი-
ტიური დამატება (factitive object), უფრო ძველი სახელწოდებაა figura etymologica.
შდრ. ინგლ. I dreamed a dream „ძილი დავიძინე“, ლათ. servitutum servive — იხ.
O. Есперсен, Философия грамматики, М., 1958, с. 156-157. ამ რიგის „ში-
ნაარსის აკუზატივები“ უხვდაა დამოწმებული პ. პაულის გერმანული ენის გრამატიკაში:
den Leben leben, den Kampf kämpfen, den Schlaf schlafen... G. Paul, Deutsche
Grammatik, ტ. III, ნაწ. IV, Halle (Saale), 1956, გვ. 226; შინაგან დამატებად
(ა. შახმატოვი...), შინაარსის დამატებად (ა. პეშკოვსკი) არის სახელდებული
ამგვარი დამატება რუსულ გრამატიკულ ლიტერატურაში: rope говевать...

მოდგენილი ხმოვანი პრეფიქსით: ღ ა - ი - ძ ი ნ ა, გ ა - ი - ღ ი მ - ა, გ ა - ი - ც ი ნ - ა...

ხმოვანი პრეფიქსების გარდამავლობასთან კავშირს წარმოაჩენს რთული შედგენილობის გარდამავალი ზმნების ორგანული წარმოების ზმნებად ქცევის მექანიზმი.

ამ რიგის რთულ ზმნებში (ღ ა ღ ა დ - ყ ო, ზ რ ა ხ ვ ა - ყ ო, ლ ო - ც ვ ა - ყ ო...) სახელადი ნაწილი უახლოეს ობიექტს წარმოადგენს და შესიტყვებაში უახლოესი ობიექტი არ გვაქვს³⁰. უახლოესი ობიექტის ადგილი განსაზღვრულია, „იგი უშუალოდ წინ უძღოდა ზმნას“³¹. გარდამავალი რთული ზმნების ორგანული წარმოებით შენაცვლებისას სახელადი ნაწილი ზმნის ფუძედ გვევლინება, ხოლო ხმოვანი პრეფიქსი სახელადი ნაწილის — უახლოესი ობიექტის ადგილს იკავებს: ღ ა ღ ა დ - ყ ო — ი - ღ ა ღ ა დ - ა, ლ ო ც ვ ა - ყ ო — ი - ლ ო ც - ა, ზ რ ა ხ ვ ა - ყ ო — ი - ზ რ ა ხ - ა... და ვითარცა განთენა, ზ რ ა ხ ვ ა ყ ვ ე ს ყ ო ვ ე ლ თ ა მ ღ დ ე ლ თ მ ო ძ ლ უ ა რ თ ა (მ. 27, 1, DE/C), შდრ.: ი ზ რ ა ხ ე ს ზ რ ა ხ ვ ა მ ბ ო რ ო ტ ი შე ნ თ ვ ს (I, ეს. 7, 5).

ანალოგიურ ფაქტს იმოწმებს ეკ. ოსიძე აფხაზური ენიდან: „აფხაზურში არაკომპოზიტ ზმნებშიც, თუ გარდამავალ ზმნას უშუალოდ წინ უსწრებს პირდაპირი ობიექტი მესამე პირისა (ამასთან ნივთის კლასისა), ზმნა პირდაპირ ობიექტს აღარ აღნიშნავს: ა უ ს ყ ა - ს - წ ო - მ ტ „საქმეს ვაკეთებ“ (ხ- I პირის სუბიექტური ნიშანია), უნდა კი გვქონოდა ა უ ს ი - ყ ა - ს - წ ო მ ტ, სადაც ი- პირდაპირი ობიექტის მაჩვენებელია“³².

ქ. ლომთათიძე ანალიზებს რა ობიექტდაკარგულ გარდამავალ ზმნებს, აჭიჭტრა „ძახება“ ზმნასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „პირის აჭიჭტრა — „ძახება“ ზმნა, რომელსაც ერთი პირი გააჩნია და ეს ერთი პირიც განკვეთილს ფუძეშია მოქცეული. „ვიძახი“ იქნება ქიჭ-ს-თუე მტ. ამის გამო კაცს შეიძლება ეფიქრა, რომ ეს ზმნა გარდაუვალია. მაგრამ იგი გარდამავალი ზმნაა, რომელსაც პირდაპირი ობიექტი დაუკარგავს. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ნიშნავდა არა საერთოდ „ძახებას“, არამედ „რისამე დაძახებას“, როგორც აქედან ჩანს, გარკვეულ ზმნებთან, მაინცდამაინც, პირდაპირი ობიექტის მიმართ იწყება იგივე პროცესი, რაც ზოგ ქართულ ზმნაში უკვე დასრულდა“³³.

³⁰ ეკ. ოსიძე, ღ ა ღ ა დ - ყ ო ტიპის ზმნები ძველ ქართულში, იკვ, XII, გვ. 268, 270...

³¹ იქვე.

³² იქვე, გვ. 272.

³³ ქ. ლომთათიძე, გარდამავლობის კატეგორია აფხაზურ ზმნებში, ენიმკის მოამბე, XII, თბ., 1942.

ამრიგად: უახლოესი ობიექტის დაკარგვით დაიძინა, გაი-
ცინა, გაიღიმა... ფორმები ისევ გარდამავლები რჩებიან —
ზმნის ფორმაში უახლოესი ობიექტი აისახება ი- ხმოვანი პრეფიქსის
მქონებლობით, შესიტყვებაში — სუბიექტის ერგატიული ბრუნვით.

უახლოესი ობიექტის დაკარგვა გარდამავალი ზმნის შესიტყვე-
ბაში შედეგის მიხედვით შეიძლება დახასიათდეს, როგორც გარდა-
მავალი ზმნის სტაბილიზაცია „გასუბიექტუ-
რების“ გზით. ამგვარ ზმნებს არსებითად აღარ ეწარმოება ობი-
ექტური წყობისა და, შესაბამისად, ვნებითი გვარის ფორმები.

VIII. გარდამავალ ზმნათა გამოყენება სტატიური ზმნების ნაკლები პარადიგმის შესავსებად

გარდამავალ ზმნათა ერთი ჯგუფის გასუბიექტურება შესიტყვებაში უახლოესი ობიექტის დაკარგვამ განაპირობა. თავის მხრივ, „გასუბიექტურებული“ გარდამავალი ზმნები გახდა ქართული ზმნის უღვილილებაში მნიშვნელოვანი ცვლილების საფუძველი. ეს ფორმები გარდაუვალ სტატიურ (საშუალი გვარის) ზმნათა ერთი რიგის ნაკლები პარადიგმის შემავსებლად გვევლინება (მყოფადისა და ნამყოფადის ძირითადი წყებაში): სტატიკ. აწმყ.: წ უ ხ-ს, დ უ მ-ს, ბ უ დ ო ბ-ს, ც ხ ო ვ რ ო ბ-ს, მ ე ფ ო ბ-ს... დინამიკ. მყოფ.: ი-წ უ ხ ე ბ-ს, დ ა-ი-დ უ მ-ე ბ-ს, დ ა-ი-ბ უ დ-ე ბ-ს, ი-ც ხ ო ვ რ-ე ბ-ს, ი-მ ე ფ-ე ბ-ს... ნამყოფადი: ი-წ უ ხ-ა, დ ა-ი-დ უ მ-ა, დ ა-ი-ბ უ დ-ა, ი-ც ხ ო ვ რ-ა, ი-მ ე ფ-ა... შან. ეს სესხება-შენაცვლება სტატიურ და დინამიურ ფორმებს შორის მყოფადის გამოხატვის ახალ სისტემას უკავშირდება. ეს სისტემა ადრე ჩამოყალიბდა ქართულში, გამოიყვება XI საუკუნეში და, საბოლოოდ, XVI საუკუნეში გასრულდა¹.

ამ სესხება-შენაცვლების ერთ-ერთი მკაფიო ნიმუშია ძველი ქართულის სტატიურ ჰყავს, აქუს ზმნათა პრევერბიან ფორმებთან (მ ი-ჰყავს, მ ი-აქუს...) მყოფადსა და ნამყოფადის ძირითადის ნაკვეთებში დინამიური გარდამავალი ფორმების ჩანაცვლება. ძველ ქართულში მოიყვანებეს, მიიყვანებეს, შთაიყვანებეს და მსგავსი გარდამავალი ფორმები, როგორც წესი, აწმყოს მნიშვნელობით იხმარებოდა: იწრო არს ბჰმ და საჭირველ გზად, რომელი მიიყვანებეს ცხორებასა (მ. 7, 14)... მყოფადის გამოხატვის ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით ამ ზმნის უღვილილების პარადიგმა ასეთი სახით ჩამოყალიბდა: აწმყო: სტატიკ. მ ი-ჰყავს, მყოფ. მ ი-ი-ყ ვ ა ნ/ე ბ-ს — ნამყოფადი: მ ი-ი-ყ ვ ა ნ-ა².

ასევე: მ ი-აქ ვ ს, მ ო-აქ ვ ს ფორმებს მყოფადსა და ნამყოფადსა

¹ ა შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 266—268; ზ. კ უ მ ბ უ რ ი ძ ე, Будущее время в картвельских языках, სადოქტორო დისერტაცია, ავტორეფერატი, თბილისი, 1968.

² მ. ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი, მყოფადის წარმოება და სტატიურ ზმნათა პარადიგმა ქართულში, იკე, XI, 1976, გვ. 78—86.

ძირითადში ენაცვლება გარდამავალი მოიტანს — მოიტანა, წაიღებს — წაიღო ფორმები³.

ამ შენაცვლებით მო-აქეს, მო-ჰყავს... ფორმები გარდამავალი არ გამხდარა. ამ ზმნებმა თავიანთი გრამატიკული სტატუსი შეინარჩუნეს. არც გარდამავალი მიიყვანა, მიიტანა, წაიღო... ფორმები ქცეულან გარდაუვლად.

რა თქმა უნდა, სესხება-შენაცვლებას ხელი შეუწყო შესანაცვლებელ ფორმათა გარკვეულმა შინაარსობრივმა მსგავსებამ. მიჰყავს და მიიყვანებს ფორმები ძველ ქართულში თითქმის იდენტური მნიშვნელობისა არიან. სხვა შემთხვევაში ასეთი „შეთვისება“ პარადიგმაში არ გვექნებოდა (შდრ.: და-აქუს, და-ჰყავს ფორმებთან ამგვარი შენაცვლება არ გვაქვს).

ჯერ კიდევ 1873 წ. ალ. ცაგარელი უსაყვედურებდა პირველ ქართველ გრამატიკოსს ანტონი I-ს რეალურისა და გრამატიკულის აღრევას გვარის გამოყოფისას (ლოგიკურის, resp. რეალურის და გრამატიკულის აღრევა, საერთოდ, წინარე გრამატიკული აზროვნებისთვისაა დამახასიათებელი).

შენიშნული იყო, რომ ქართულში მოიპოვება ერთი მხრივ, ისეთი ზმნები, რომელთაც აქტიური შინაარსი აქვთ, მაგრამ გარდამავალ ზმნებად ვერ მიიჩნევიან; მეორე მხრივ, ვხვდებით ისეთ ზმნებსაც, რომელნიც შინაარსით აქტიურნი არ არიან, მათი „მოქმედება ობიექტზე არ გადადის“ და მაინც გარდამავალნი არიან⁴.

ასეთი ვითარება, როდესაც შინაარსი და ფორმა ერთმანეთს არ ფარავს, ბუნებრივია, მხოლოდ ქართულს არ ახასიათებს: „არაფრით არ არის უფრო აქტიური აფხაზური ზმნა ავუნჯს გრგლოტ — „სახლს ვაგებ“ და დგს ფყოტ — „ვეურტყამ, ვლახავ (გონიერს)“, ვიდრე ზმნა სლგს უეტ — „ვსცემ მას (ქალს)“. თუ მოქმედების გადასვლაზე იქნებოდა მსჯელობა, ყველა მოყვანილ მაგალითში მოქმედება გადადის სხვაზე, თუ აქტიურობაზე იქნებოდა მსჯელობა, ყველა აქ მოხსენებულს ზმნაში უაღრესად აქტიური შინაარსია მოცემული. ყოველ შემთხვევაში „ცემა“-ს ნაკლებ აქტიურობას და ნაკლებ მოქმედებითობას ვერ დავსწამებთ, ვიდრე დანარჩენ ორს („აგებას“ და „გალახვას“), მაგრამ გამოირკვა, რომ აფყარა, არ გგლარა ზმნები არიან გარდამავალნი, ასრა „ცემა“ კი გარდაუვალია“...⁵

³ ა. შანიძე, გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან, თსუ, ძველ ქართულ ენის კათედრის შრომები, 7, 1961, 226.

⁴ არნ. ჩიქობავა, სახელისა და ზმნის ანალიზის პრინციპები ქართულში. შურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1934, № 4—5, გვ. 42.

⁵ ქ. ლომთათიძე, გარდამავლობის კატეგორია აფხაზურ ზმნაში, გვ. 1—2.

რეალურისა და გრამატიკულის გასარჩევად გვარის საკითხთან დაკავშირებით ო. იესპერსენს შემოაქვს ცნებითი აქტიურობა-პასიურობა (აქტივისა და პასივის „ცნებითი კატეგორია“) და უსაყვედურებს „ცნობილ მეცნიერთ“, რომელთაც ვერ განუსხვავებიათ ლინგვისტური აქტიურობა-პასიურობა ფიზიკური ან სულიერი აქტიურობა-პასიურობისაგან⁶. ო. იესპერსენისეული „ცნებითი“ კატეგორიები ი. მეშჩანინოვის შრომებშიც მოგვევლინა⁷. „ცნებითი კატეგორიები“ ტრანსფორმირებული სახით წარმოგვიდგა ბ. უორფისა და ნ. ხომსკის ენათმეცნიერულ ნააზრევში („ფარული კატეგორია“, „სიღრმული სტრუქტურა“)⁸.

კონცეფცია წინადადებაში ორი სტრუქტურის — ზედაპირულისა და სიღრმულის — გამოყოფის შესახებ 50-იანი წლებიდან ლინგვისტური სამყაროს ყურადღების ცენტრში დადგა. ამ კონცეფციას ჰყავს მომხრენიც და მოწინააღმდეგენიც⁹, რომელნიც „სიღრმულ სტრუქტურას“ საერთოდ უარყოფენ. ნ. ხომსკის თეორიის მომხრეთათვის საკამათოა „სიღრმული სტრუქტურის“ სტატუსის საკითხი. ზოგნი ამ ცნებაში ლოგიკურ ბუნებას ხედავენ¹⁰, ზოგათვის „სიღრმული სტრუქტურა“ სემანტიკურს უტოლდება¹¹. არსებობს სიღრმული სტრუქტურის სხვაგვარი გაგებაც¹².

ერთი სიტყვით, წინადადებაში ორი სტრუქტურის გამოყოფის თაობაზე თვალსაზრისთა ერთიანობა არა გვაქვს. უფრო ზუსტად, საკამათოა „სიღრმული სტრუქტურის“ რაობის საკითხი, ლოგიკური ია, რეალურ-სიტუაციური, თუ გრამატიკული.

გვარის კატეგორია თანამედროვე ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ფორმალური და ფუნქციური ნიშნების მიხედვით არის

⁶ О. Есперсен, *Философия грамматики*, М., 1959, с. 187—189.

⁷ И. И. Мещанинов, *Члены предложения и части речи*, М.-Л., 1945, с. 195.

⁸ იხ. ამის შესახებ: В. А. Звегинцев, *Предисловие*, в кн.: Н. Хомский, *Аспекты теории синтаксиса*, М., 1962, с. 7. *Понятийные категории и универсальная грамматика*, იკე, XVIII, с. 34—90; В. М. Солнцев, *К вопросу о глубинной структуре и порождении смысла средложения*, М., 1976.

⁹ იხ. Роберт А. Холл, мл., *Критика теории Хомского*, ВЯ, № 5, М., 1978, с. 55—65.

¹⁰ В. А. Звегинцев, *დასახ. ნაშრომი*.

¹¹ Холлес А. Чейф, *Значение и структура языка*, М., 1975, с. 21. ამის შესახებ იხ. ლ. ვნუქიძე, *სემანტიკის საკითხი წარმომშობ გრამატიკაში*, იკე, XIX, 1980, გვ. 33.

¹² В. М. Солнцев, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 124; А. С. Бархударов, *К вопросу о поверхностной и глубинной структуре предложения*, ВЯ, № 3, 1973, с. 56.

განმარტებული. თვალსაზრისებში აქ განსხვავება გვაქვს¹³. არსებითად ფუნქციურია საშუალო გვარის („მედიაოქტივისა“ და „მედიაოპასივის“) გამოყოფის საფუძველი¹⁴. გარდაუვალი ზმნების ერთი ჯგუფის „აქტიური“ შინაარსი საენათმეცნიერო შინაარსი კარგახანია ცნობილია. ამის დადასტურებაა სწორედ „მედიაოქტიურ“ ზმნათა გამოყოფა საშუალო გვარის ზმნებში¹⁵. ჰ. ფოგტი ამ ზმნებს „ფსევდო აქტიურებს“ უწოდებს¹⁶. ვ. თოფურია აქტიური შინაარსის გარდაუვალ ზმნებს დინამიკურის კვალიფიკაციას აძლევს¹⁷. დინამიკურ, აქტიურ ზმნებად მიაჩნია ამგვარი ფორმები ლ. ნოზაძეს¹⁸. აქტიურ გარდაუვალ ზმნებად თვლის ამ რიგის ზმნებს გ. ჰოპი...¹⁹

აქტიურობის თეორიის დამკველთა აზრით²⁰ ზმნის აქტიური სემანტიკა რეალიზებულია სინტაქსურ დონეზე: ნამყო ძირითადის ჯგუფში სუბიექტი წარმოდგენილია ერგატიული (resp. აქტიური) ბრუნვით. თვალსაზრისთა შორის განხვავება აქ მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ, მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ნამყო ძირითადის ჯგუფი არაორგანულია, მეორეულია „მედიაოქტიური“ ზმნებისათვის. ამ ტიპის ზმნები დროის ნაკლებ მწკრივებს ივსებენ მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის ფორმებით²¹. მკვლევართა მეორე ნაწილის აზრით

¹³ იხ. ამის შესახებ, ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975, გვ. 11.

¹⁴ იხ. იქვე.

¹⁵ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძველები, I, მორფოლოგია, თბ., 1973 (მეორე გამოცემა), გვ. 305, 470...

¹⁶ H. Vogt, Grammaire de la langue georgienne. Oslo, 1971, გვ. 133—154.

¹⁷ იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. III (ტომის რედაქტორი ვ. თოფურია).

¹⁸ ლ. ნოზაძე, მედიაოქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, ივე, XIX, 1974, 50.

¹⁹ G. Höpp, Evolution der Sprache und Vernunft, Berlin—Heidelberg. New York, 1970, ვიძოვნებთ: Г. Климов, Типология языков активного строя, с. 218.

²⁰ ცნობილია, რომ არსებობს ამ ფაქტის სხვაგვარი კვალიფიკაციებიც. მოქმედების დიურატიულობას ხედავს ამ ზმნათა სემანტიკაში. გ. დეეტერსი (იხ. G. Deeters. Das kharthwelische Verbum, 1930, გვ. 126); დიურატიულობა გარდაუვალ ზმნებში სტატიურობას უტოლდება, ამდენად ეს ზმნები სტატიური ზმნებია. ასეთაა ა. ჩიქობავას თვალსაზრისი.

მოქმედების, მოქმედების პროცესის სტატიურად წარმოსახვას ამჩნევს ამ ზმნათა სემანტიკაში ბ. ჯორბენაძე (ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1977, გვ. 177)...

²¹ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძველები, გვ. 305, 354, 470...

კი გარდაუვალ აქტიურ ზმნებს უღვლილების საკუთარი და სრული პარადიგმა აქვთ²².

იმ ფაქტის მიხედვით, რომ გარდაუვალ (საშუალო გვარის) ზმნათა ერთ ნაწილს აორისტში ერგატიულსუბიექტიანი კონსტრუქცია შეესაბამება (აგრეთვე რიგი სხვა გრამატიკული მოვლენების გათვალისწინებით) უქანასკნელ ხანს, როგორც უკვე ითქვა, წამოყენებული იქნა დებულება ქართული (ქართველური) ზმნის თავდაპირველი აქტიური ბუნების შესახებ²³. ი ტ ი რ ა, ი რ ბ ი ნ ა, დ ა ი ძ ი ნ ა მ ან... სინტაქსური კონსტრუქცია არქაიზმია ქართულისათვის²⁴ (რომ ქართული ენის ფაქტები ამ მოსაზრებას არ ადასტურებს, ამის შესახებ უკვე ითქვა). ტერმინი „აქტიური“ სათავეს იღებს აქტიური ბრუნვიდან. ქართველური „ერგატივი“ წარმოადგენს, ქვემდებარის ბრუნვას როგორც გარდაუვალ, ასევე გარდამავალ ზმნებში და ეს აახლოებს ამ ბრუნვას აქტიური ტიპოლოგიის წარმომადგენელ ენათა აქტიურ ბრუნვასთან²⁵. რადგან ზმნური ლექსემა, გარდამავალი ან გარდაუვალი შინაარსისა დამოუკიდებლად აპირობებს შესიტყვებაში ქვემდებარის დასმას მოთხრობით (ერგატიულ) ბრუნვაში, რომელიც ფუნქციონალურად უფრო აქტიურს ეტოლება, ვინემ ერგატივს. აქტიური წყობის ენებში ზმნები ლექსიკალიზებულია არა გარდამავლობა-გარდაუვალობის მიხედვით, არამედ „მოქმედების“ აქტიურობა-სტატიურობის მიხედვით; შესაბამისად სუბსტანტივები დაყოფილია აქტიურებად (ცოცხალი) და ინაქტიურებად (არაცოცხალი)²⁶, ქართულში, არსებით სახელთა შიგნით „ვინ“ და „რა“ ჯგუფის სახელები გამოიყოფა და არა ცოცხალისა და არაცოცხალისა; ასეა სხვა ქართველურ

²² ლ. ნოზაძე, მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იბ. აგრეთვე, გ. ნებიერიძე, ქცევის კატეგორია ქართულში (ტრანსფორმაციული ანალიზი). „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1977, № 4, 135—136.

²³ Г. А. Климов, Очерк общей теории эргативности, М., 1973, с. 237—238. Типология языков активного строя, М., 1977, с. 223, 229—230.

²⁴ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ცნობილია თვალსაზრისი (ა. შანიძე, ა. ჩიქობავა...), ოდენ ერგატიულსუბიექტიანი ფორმების მეორეული წარმოშობის შესახებ; ი ტ ი რ ა, ი ფ რ ი ნ ა მ ან და მისთ. ელიფსირებული შესიტყვებაა, უახლოესი (პირდაპირი) ობიექტი ჩავარდნილია; ამავე თვალსაზრისზე დგას გ. დეეტერსი (იბ.: G. Deeters, Das kharthwelische Verbum, 85). ამას გარდა, ძველი ქართული ენის ტექსტების დაწვრილებითი ანალიზის შედეგად მიღებულია დასკვნა, რომ მედიოაქტიურ ზმნათა სისტემა ძველ ქართულში ისახება. ამგვარი ფორმები ძველი ქართული ენის შედარებით გვიანდელ ძეგლებში დასტურდება. იბ. რ. ენუქაშვილი, Глагол среднего залога в древнегрузинском языке (Автореферат диссертации на соискание учёной степени кандидата филологических наук, Тб., 1974).

²⁵ Г. А. Климов, Типология языков активного строя, с. 228.

²⁶ იქვე, с. 220...

ენებშიც). ზმნათა ამგვარ კონსტრუქციას (ი ტ ი რ ა, ი რ ბ ი ნ ა მ ა ნ) აპირობებს სემანტიკური შესაბამისობა: ამ ჯგუფში ერთიანდებიან მოძრაობის, მეტყველების, აფექტის პრედიკატები: ისინი, პირველ ყოვლისა, იმგვარ მოქმედებას გამოხატავენ, რომელთა აქტანტები „აქტიური“ ლექსიკური კლასის სახელებით გადმოიცემა²⁷, ე. ი. ოპოზიცია აქტიური (ცოცხალი) ~ ინაქტიური (არაცოცხალი) ქართულში სემანტიკურად არის დეტერმინირებული²⁸. ეს ოპოზიცია, აქტიური ტიპოლოგიის თეორიის თანახმად, მიეკუთვნება ფართოლ გავრცელებულ (უნივერსალურს თუ არა) სემანტიკურ კატეგორიათა ჯგუფს, სხვადასხვა ენობრივ წრეში რომ წარმოიხდება. აღნიშნულია, რომ ლექსემათა ეს ორივე დაჯგუფება ქმნიან ე. წ. „ფარულ კატეგორიებს“, რაც დიდი ხნის მანძილზე არ აძლევდა მკვლევართ შესაძლებლობას დაენახათ ამ ორი დაჯგუფების განმსაზღვრელი როლი განხილულ ენათა სტრუქტურულ მექანიზმში: აქტიური წყობის სტრუქტურა ადასტურებს იმ ზოგადლინგვისტური თეზისის სისწორეს, რომელიც ლექსიკურის პირველადობას აღიარებს გრამატიკულთან მიმართებაში²⁹.

აქტივი და პასივი ლექსიკურ-სემანტიკური თვალსაზრისით არ უდრის აქტიურს ან პასიურს სტრუქტურული თვალსაზრისით: „ლექსიკურ-სემანტიკური სტრუქტურულს არ მიჰყვება“³⁰. „ის ეხმარება, შველის, ებრძვის მას — აქტიური მნიშვნელობისანი არიან, მაგრამ გარდაუვალ ზმნებს წარმოადგენენ: ის და ე ხ მ ა რ ა მას, წ ა ე შ ვ ე ლ ა მას, შ ე ე ბ რ ძ ო ლ ა მას — აორისტი ობიექტი ყველგან მიცემითშია, სუბიექტიც სახელობითში შეეფერება (მაშასადამე შეცთომაა, როცა ხმარობენ: მ ა ნ და ე ხ მ ა რ ა, წ ა ე შ ვ ე ლ ა, შ ე ე ბ რ ძ ო ლ ა)“³¹. ქართულში ორდინარული აქტივ-პასივის გვერდით მედიოაქტივის ან მედიოპასივის და სხვა დაჯგუ-

²⁷ Г. А. Климов, Очерк общей теории эргативности, с. 236—238.

²⁸ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ქვემდებარის აქტიურობისა და პასიურობის თვალსაზრისით დაპირისპირებული სემანტიკური ჯგუფებია მაგ. თ. ჟორდანიასული მოქმედებითი და მდგომარეობითი ზმნები, რაც გრამატიკოსის მიერ ზმნის საკლასიფიკაციო ერთეულად აღიარებული: მოქმედებით გვარში ერთიანდება გარდაუვალი და გარდაუვალი (ახლანდელი ვაგებით „მედიოაქტიური“) ზმნები საშუალო გვარისა. იხ. თ. ჟორდანიას, ქართული გრამატიკა, ტფ., 1899, გვ. 50).

²⁹ Г. А. Климов, Типология языков активного строя, с. 305. კონტენსური სტრუქტურის სიღრმული სტრუქტურის არსის შესახებ. იხ.: В. Б. Касевич, Элементы общей лингвистики, М., 1977, с. 141.

³⁰ არნ. ჩიქობავა, ქართული ენა, მისი აგებულება-შედგენილობის ზოგადი საკითხები, იყე, XIV, 1964, გვ. 43.

³¹ არნ. ჩიქობავა, სახელისა და ზმნის ანალიზის პრინციპები ქართულში, გვ. 43.

ფებების გამოყოფა ზმნის ლექსიკურ-სემანტიკური კვალიფიკაცია იქნება და არა ფორმობრივი. ამგვარი დაჯგუფებანი იმ „ცნებითი კატეგორიების“ რიგში დგება, რომელთა რაობის საკითხი თავისთავად საკვლევეია.

შევეცდებით, ძალიან ზოგადად, წარმოვადგინოთ ის დამოკიდებულება, რაც გარდაუვალი ზმნის ფუძის აქტიურ სემანტიკასა და ერგატულ კონსტრუქციას შორის არსებობს თანამედროვე ქართულში. ჩვენი მსჯელობისათვის ამჭერად მნიშვნელობა არ ენიჭება ორგანულ წარმოებად ჩავთვლით ნამყო ძირითადის კონსტრუქციას ამ რიგის ზმნებთან, თუ გარდამავალ ზმნათაგან ნასესხებად³² (სესხების ფაქტსაც გარკვეული მიმართება განაპირობებს).

1. რიგი გარდაუვალი ზმნური ლექსემა აქტიური შინაარსისაა, მაგრამ ნამყო ძირითადის ფორმა არ გააჩნია, ამდენად გამოირიცხულია ერგატიული ბრუნვის საკითხიც. ამგვარი ზმნებია: კრთ-ი-ს (შეკრთა ნამყო ძირითადის ფორმაა კრთება გარდაუვალი უგვა-რო დინამიკური ზმნისა), უინიან-ობ-ს, უგუნურ-ობ-ს, ურჩ-ობ-ს, მოუსვენ-ობ-ს, ყმაწვილ-ობ-ს („ნულარ ყმაწვილობა“, აკაკი)... კრთ-ი-ს და უინიან-ობ-ს, უგუნურ-ობ-ს და მისთ. სხვადასხვა წარმოებრი, მაგრამ მსგავსი სემანტიკის ფუძეებია; ასევე აქტიური სემანტიკისაა რბ-ი-ს, ქრ-ი-ს, თრთ-ი-ს და მისთ. ნამყო ძირითადის ფორმაში ამ ზმნებთან სუბიექტი ერგატივში კი დგას, მაგრამ ფუძე განსხვავებულია: ირბინ-ა, იქრთლ-ა, ითრთლ-ა მან... კრთ-ი-ს და თრთ-ი-ს ზმნები სემანტიკურად და წარმოებითაც მსგავსია, მაგრამ პირველს (კრთის) ნამყო ძირითადის ფორმა არ გააჩნია, მეორეს (თრთ-ი-ს) ნამყო ძირითადის ფორმად ითრთლა განსხვავებული ფუძე აქვს და სუბიექტი ერგატივშია: „ითრთლეთ თქვენცა, ფიცგამტეხნო და მემრუშენო“ (ი. მაჩაბ. ქგლ.); ანდა, თუ შევადარებთ კეკლუცობს და პრანჭიაობს ფორმას („თავის მოწონება უყვართ, კეკლუცობენ და პრანჭიაობენ“; ივერია, 1887, № 143, 2) სემანტიკურად და წარმოებითაც ესენი ერთგვაროვანი ფორმებია, მაგრამ მათი უღვლო-ლების პარადიგმები განსხვავებულია: კეკლუცობ-ს — იკეკლუცა მან; პრანჭიაობს ფორმა მხოლოდ აწმყოს დროებში დასტურდება.

2. აქტიური სემანტიკისაა ერთი ნაწილი ნასახელარი გარდაუვალი ზმნებისა, რომელთა ამოსავალი ფუძე კომპოზიტს წარმოადგენს.

³² ჩვენი თვალსაზრისით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნამყო ძირითადის ფორმები ამ რიგის ზმნებთან გარდამავალ ზმნათა ფორმებია, უახლოესი ობიექტის დაკარგვით მიღებული.

მათ ნამყო ძირითადის ფორმები არსებითად არა აქვთ და, ამდენად, სუბიექტის დასმაც ერგატივში გამორიცხულია (აქტანტების სემანტიკაც არაა რელევანტური). ამგვარი ზმნებია: გულდილობს, გულმაგრობს, გულგრილობს („თუმცა არც აქ გულგრილობენ“, რ. ერისთ.), გარეწრობს („ამიტომაც გარეწრობენ“, აკაკი), პირქუშობს („ცა შეიკუმუხვნა, პირქუშობს“, აკაკი), პირმოთნეობს („პირმოთნეობს უფროსებთან, ერიდება დიდთა წყენას“, აკაკი), ლომგულობს („ბარათაშვილი ზაალი ლომგულობს ეს პირწყლიანი“, რ. ერისთ.) და მრავალი სხვა.

„მედიაოქტიური“ ზმნათა ზმნისწინიანი ფორმები, რომელთაც ასევე აქტიური სემანტიკა აქვთ, შესაბამის უზმნისწინო ფორმებისაგან განსხვავებით მხოლოდ აწმყოში დასტურდებიან³³ (რა თქმა უნდა, ზმნისწინს მისთვის დამახასიათებელი ნიუანსი შეაქვს ამოსავალი ფუძის სემანტიკაში, მაგრამ სემანტიკურად ზმნისწინიანი ფორმები მაინც „აქტიური“ რჩება. აქტანტების სემანტიკაც არ იცვლება): ქრ-ის/და-ქრ-ის — იქროლა მან, თარეშობს-ს/და-თარეშობს-ს — თარეშა მან, ფორთხავს/და-ფორთხავს — იფორთხა მან, მაქვანკლობს-ს/დამაქვანკლობს — იმაქვანკლა მან, წრიალებს/და-წრიალებს — იწრიალა მან და მრავალი სხვა.

4. ზოგი აქტიური სემანტიკის ზმნას (ნეიტრალური ქცევისას) ნამყო ძირითადის ფორმაში ერგატივსუბიექტიანი ფორმა ენაცვლება: წუხს იგი — იწუხა მან, დუღს იგი — იდუღა მან... თუმცა ამავე ზმნების სასხვისო ქცევის ფორმას (უწუხს-ს მას იგი...) ნამყო ძირითადში შესაბამისი ფორმა არა აქვს. შეუწუხდა მას იგი ნამყო ძირითადის ფორმაა უწუხდება ზმნისა, შეუწუხა მან მას იგი არის შეუწუხებს იგი მას მას ფორმის ნამყო ძირითადი. ქცევის ფორმანტის დართვა ორდინარულ მოქმედებით თუ ვნებითი გვარის ზმნებთან აწმყო და ნამყო ძირითადის დროთა ჭგუფებს შორის მიმართების ამგვარ შეცვლას არ იწვევს.

5. ბუდობს, ყუჩობს, სადგურობს, მორცხეობს, შიმშილობს, ფხიზლობს, ნუგეშობს, არსებობს... ზმნათა ფუძის სემანტიკა „აქტიური“ არაა (= „დაბუდებულია“, „გაყუჩებულია“, „დასადგურებულია“, „მორცხეულია“ და ა. შ.), მაგრამ ნამყო ძირითადის შესაბამის ფორმაში სუბიექტის ბრუნვად ერგატივი გვევლინება: იბუდა, იყუჩა

³³ ა. შანიძე. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 311.

იმორცხვა, ისადგურა, იშიმშილა, იფხიზლა,
იარსება, ინუგეშა მან:

„ღმერთია მოწყალე, იმის იმედით ვინუგეშოთ, ჩემო ბა-
ტონო“ (დ. კლდ. 340, 4);

„თუ მოერიდე, თუ იმორცხვი, ჰირივით შესძულდები“
(დ. შენგელაია).

სუბიექტის ფარდი სახელი შეიძლება აქტიურიც (ცოცხალი) იყოს და ინაქტიურიც (არაცოცხალი): იყუჩა კაცმა, ბუნებამ; და ისადგურა სიჩუმემ... აი, უკანასკნელად იტკაცუნა შეშამ (უიარაღო, II, 229), შეშამ იძვირა (ე. ნინოშ. I, 228)...

6. ერთი და იმავე ზმნის ფუძის სემანტიკა შეიძლება აქტიურიც იყოს და არააქტიურიც (კონტექსტის მიხედვით): მაგ.: გორავს აქტიური სემანტიკის შეიძლება იყოს დამოუკიდებლად აქტანტების სემანტიკისა: გორავს ბავშვი, ძალი, ქვა, მაგრამ: „სიცივეს კაცი მოუკლავს, საწყალი აგერ გორავსა“, აქ არააქტიური სემანტიკაა წარმოჩენილი (გორავს აქ ნიშნავს „წევს“, „გდია“, ანდა: მკურნალობს იგი მას, მკურნალობს იგი (თავისთავს მკურნალობს) აქტიური სემანტიკისა არიან. მაგრამ წინადადებაში: „გველი მკურნალობს, ბაყაყი იჩემებს. ბულბულობსო“ (აკაკი), აქტიური სემანტიკა ამ ფუძისა არ ჩანს, თუმცა სუბიექტი აქტიურთა კლასს განეკუთვნება.

7. ნამყო ძირითადის ფორმაში ზოგი „ერგატივსუბიექტიანი“ ზმნის ფუძე არააქტიური სემანტიკისაა: დაიძინა, დაისვენა, დააყოვნა, დაჰყო („ერთ თვეს დაჰყო“), დაიბუღა... მან:

8. ის ფაქტი, რომ ნამყო ძირითადის ფორმაში ი-პრეფიქსიანი ზოგი ფორმა ლაბილურია (შეიძლება მოქმედებითი გვარიც იყოს და ვნებითიც) სუბიექტის ბრუნვის რაგვარობის მიხედვით (ერგატივი თუ სახელობითი): და-ი-ხატ-ა მან თავი, და-ი-ხატ-ა იგი... ალბათ იმას უნდა მოწმობდეს, რომ ზმნის ფუძის (ძირის) სემანტიკა არ განსაზღვრავს სუბიექტის ერგატივში დასმას.

მაშასადამე, ზმნის ფუძის აქტიური სემანტიკა და სუბიექტის დასმა ერგატიულ ბრუნვაში არ ამქდავენებენ ქართულში ცალსახა დამოკიდებულებას. ამდენად, „მედიაოქტიურ“ ზმნათა ერთ ამოსავალ მოდელად გამოყოფა (უღვლილების სრული პარადიგმით) ჰირს არა მარტო სტრუქტურული ნიშნების მიხედვით, არამედ სემანტიკის გათვალისწინებითაც. სტატიკურ და დინამიკურ ზმნათა ნაკვეთების შენაცვლება-სესხება უღვლილების პარადიგმაში ქართული ზმნის უღვლილების ისტორიული განვითარების რთული პროცესის შედეგია.

ა) გარდამავლობას ქართულში სინტაქსურად ახასიათებენ — უახლოესი ობიექტის და სუბიექტის ბრუნვათა მიხედვით. დასტურდება შემთხვევები, როდესაც ამ სინტაქსური მახასიათებლებიდან ერთ-ერთი შესიტყვებაში არაა წარმოდგენილი. ხშირად გარდამავალი ზმნის სინტაგმაში არა გვაქვს უახლოესი ობიექტის ფარდი სახელი ძველსა თუ ახალ ქართულში: დ ა ი ძ ი ნ ა , ი ზ რ უ ნ ა... მან; ჩვენი აზრით, ზმნის ფორმაში გამოვლენილი ხმოვანი პრეფიქსი უახლოეს ობიექტს მიაწინებს. საერთოდ, ხმოვანი პრეფიქსების ძირითადი ფუნქცია გარდამავალ ზმნებში უახლოესი ობიექტის მიმართებათა აღნიშვნაა — განსხვავებული ხმოვნები უახლოესი ობიექტის განსხვავებულ რელაციას ასახავს. გარდაუვალ ზმნებში ხმოვანი პრეფიქსები შესაბამისად სუბიექტის განსხვავებულ მიმართებებს აჩვენებენ.

ბ) ზმნის გარდამავლობა არ იცვლება შესიტყვებიდან სუბიექტის ელიფსის შემთხვევებშიც, გარდამავალი ზმნის ნატვრითი კილოს ფორმებში სუბიექტის ნიშანი გვაქვს (-ა), შესიტყვებაში კი სუბიექტი გაუჩინარდება: ნ ე ტ ა გ ა მ ა კ ე თ ე ბ ი ნ ა მე იგო (შღრ.: გამაკეთებინა-ა მან მე იგო)...

გ) გარდამავალი ზმნის შესიტყვებიდან ობიექტის გაუჩინარებას გარკვეული მიზეზები ეძებნება. ამოსავალი მდგომარეობა ობიექტს ვარაუდობს. ეველი ქართულისა და ქართველურ ენათა სათანადო ფაქტები უახლოეს ობიექტს აღადგენს შესაბამის გარდამავალ ზმნათა შესიტყვებაში.

დ) ადამიანისა და ნივთის („ვინ“ და „რა“ ჯგუფის სახელების) სემანტიკური დაპირისპირების კვალი ზმნებშიაც აისახება: „ვინ“ და „რა“ ჯგუფის სახელთა თავისებურებებს ზმნასთან შეხამებისას წარმოაჩენს თვით ამ ნაცვალსახელთა ქცევა. კერძოდ, ვინ? კითხვითი ნაცვალსახელისათვის ძირითადი ფუნქციაა სუბიექტის აღნიშვნა (გარდამავალი თუ გარდაუვალი ზმნისა); რა? — ნაცვალსახელისათვის ძირითადი ჩანს გარდამავალი ზმნის ობიექტის აღნიშვნა.

ე) კითხვითი ნაცვალსახელებისა და ზმნის შეხამებისას სუბიექტისა და ობიექტის პოზიციები გარკვეულწილად განსაზღვრულია. გარდამავალი ზმნის ობიექტური წყობის ფორმებთან ვინ? სუბიექტის

როლში გვევლინება (ერგატივის ფუნქციით); ვინ მომიყვანოს მე ქალაქსა მას ძნელსა? (ფს. 107,11), ვინ გიჩუენა თქუენ სივლტო-ლაჲ მომავლისა მისგან რისხვისა (მ. 3,7); ასეთ შემთხვევებში ზმნაში წარმოდგენილია მარკირებული უახლოესი ობიექტი.

ვ) სუბიექტური წყობის ორვალენტიან გარდამავალ ზმნას ძირითადად რა? კითხვითი ნაცვალსახელი დაესმის: ნუ ჰზრუნავთ და იტყუთ: რაჲ ვჰამოთ, ანუ რაჲ ვსუათ, ანუ რაჲ შევიმოსოთ (მ. 6. 31)... (ზმნაში სუბიექტის ნიშანია წარმოდგენილი). „რა“ კითხვითი ნაცვალსახელი ამგვარ შეხამებაში ზმნასთან უახლოესი ობიექტის ფუნქციით გვევლინება. ამ ფუნქციით „ვინ“ ნაცვალსახელის გამოყენება ძველ ქართულში იშვიათობაა.

ზ) კითხვითი ნაცვალსახელების ფუნქციის შესაბამისად წარმოგვიდგება ძველ ქართულში მათი ბრუნვის პარადიგმაც: რა ნაცვალსახელი გარდამავალი ზმნის სუბიექტად ერგატივში (რამან?) იშვიათია, ფორმობრივადაც ახალი წარმონაქმნია. „ვინ“ ნაცვალსახელს არ გააჩნია მოქმედებითი (ინსტრუმენტალისი) და ვითარებითი (ტრანსფორმატივი) ბრუნვები. ბუნებრივი იქნება, ვივარაუდოთ, რომ კითხვით ნაცვალსახელთა ეს თავისებურებანი, რაც მათი სემანტიკითაა გაპირობებული, ახასიათებდა აგრეთვე, ამ ნაცვალსახელთა სათანადო კლასის სახელებსაც.

РЕЗЮМЕ

Переходность в новогрузинском и в древнегрузинском языках является синтаксической категорией. Обращает внимание тот факт, что в ряде синтагм с переходным глаголом могут быть утеряны основные синтаксические показатели переходности глагола: ближайший (прямой) объект или субъект:

а) утеря ближайшего объекта

მაპ და-ი-ჯიპ-ა «заснул», მაპ ი-პიგეშა «утешил он (себя)» (ср., და-ი-ჯიპა ჯილი букв. «заснул сон», იპიგეშა თავი «утешил себя»...);

б) утеря субъекта

მ-აპახვ-ა მაპ მე იგი «показал он мне кого-либо, что-либо» მეტავ მ-აპახვ-ა მე იგი «увидеть бы кого, что-либо»...

Это обстоятельство говорит в пользу мнения, согласно которому при определении переходности глагола в грузинском языке, наряду с синтаксическими признаками, должны быть учтены и данные морфологии. В переходном же глаголе присутствует как показатель субъекта — личный аффикс -а (მეტავ მ-აპახვ-ა), так и показатель ближайшего объекта — гласные префиксы (ა-, ი-, უ-). Позиция ближайшего объекта обусловлена его местом перед основой (корнем) глагола. Различные гласные выявляют разные отношения ближайшего объекта.

При сочетании с переходными глаголами реализуются особенности имен класса человека и вещи, в частности они хорошо выявляются в функционировании вопросительных местоимений ვინ «кто?» и გა «что?».

Вопросительное местоимение ვინ «кто?» при глаголе выступает в роли грамматического и реального субъекта.

Основная функция местоимения გა «что?» заключается в выражении объекта III-го лица переходного глагола (а именно, вещи, включая и животное).

Позиция вопросительных местоимений ვინ «кто?» и გა «что?» при сочетании с переходными двухвалентными глаголами строго определена: ვინ выступает в качестве субъекта при формах объектного строя, გა в роли ближайшего объекта при формах субъектного строя. Употребление ვინ «кого?» в роли ближайшего объекта при формах субъектного строя, так же как и употребление გა «что?» в качестве субъекта (в форме эргатива «გა-მ აპ?») — в древнегрузинских текстах редкое явление.

შემოკლებათა განმარტება¹

- აკაკი — წერეთელი აკაკი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, თბ., 1956.
- ალექსან. — ალექსანდრიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო რევაზ მირიანაშვილმა, თბ., 1980.
- ამირან. — მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსცა ლ. ათანელაშვილმა (XVII—XVIII სს. ხელნაწერების მიხედვით).
- ანდ. — ანდაზები, ხალხური სიბრძნე ხუთ ტომად, ტ. V, ანდაზები, მახვილსიტყვაობა, გამოცანები (შემდგ. ლ. ლუქვაია, ა. ცანავა, მ. ჩიქოვანი, ჟ. ბარდაყელიძე), თბ.. 1965.
- ამირეჯ. — ამირეჯიბი ჰაბუა, „დათა თუთაშხია“, რომანი ორ წიგნად, თბ., 1975.
- არაგვ. — არაგვისპირელი შიო, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1947, ტ. II, 1948.
- არჩ. — არჩილიანი, I, „საქართველოს ზნეობანი“, II, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა, თბ., 1937, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით.
- ბალ. — ბალავარიანის ქართული რედაქციები, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, ა შანიძის რედაქციით (ძველი ქართული ენის ძეგლები, 10), თბ., 1957.
- ბზ. — ბალსზემოური.
- გალ. — გალობაჲ, იხ. ფსალმუნნი.
- გოგ. — გოგებაშვილი იაკობ, თხზულებანი, თბ., ტ. V, 1957, ტ. VI, 1958.
- გურ. — გურამიშვილი დავით, თხზულებათა სრული კრებული, შეადგინა და შესავალი წერილი დაურთო ს. ცაიშვილმა, თბ., 1980.
- დოჩ. — დოჩანაშვილი გურამ, „საქმე“, თბ., 1974.
- ევდ. — ევდომვილი იროდიონ, რჩეული ლექსები და პოემები, თბ., 1948.
- ერისთ. — ერისთავი რაფიელ, რჩეული ლექსები, ტფილისი, 1932.
- ერისთ. — ერისთავი რაფიელ, პოემები, ტ. II, შალვა რადიანის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1936.
- ერისთ.-ხოშტ. — ერისთავი-ხოშტარია ანასტასია, „მოლოძულ გზაზე“, „ბედის ტრიპლი“, თბ., 1963.
- ვუა — ვუა ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, თბ., 1964.
- ვახტ. — ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, აღ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1975.
- ვისარ. — ვისარამიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და ლექსიკონი დაურთეს აღ. ვახარამ და მავ. თოღუამ, თბ., 1962.

¹ ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ თუ სხვა ავტორთა შრომების მიხედვით დამოწმებული ძეგლების დასახელება შემოკლებათა განმარტებაში არ გაკვიტანია.

- რეფტა. — შოთა რუსთაველი, ეფთხისტყაოსანი, გამოსცეს ა. შანიძემ და ა. ბარამიძემ, 1966.
- ილია — ჰავკავაძე ილია, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, 1958.
- ინან. — ინანიშვილი რევაზ, საღამოს ხანის ჩანაწერები, თბ., 1971.
- ი. — იოვანე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წწ.), გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1945.
- ი. ე. — გიორგი მთაწმინდელი, ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად მოამზადა ივ. ჭავჭავიძელმა, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1946.
- კ. — კიმენი, ქართული პაგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი I, ტ. I, ტფილისი, 1918, ტ. II, თბ., 1946, პროფ. კ. კეკელიძის რედაქტორობით.
- კობ. — კობერიძე კარლო, იმეწყერი, თბ., 1983.
- ლ. — სახარება ლუკასი — იხ. იოვანე.
- ლუონ. — ლეონიძე გიორგი, ინატერის ხე, თბ., 1962.
- ლიმ. იოანე მოსხი, ლიმონარი, ტექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1960.
- ნ. ლომ. — ლომოური ნიკო, თხზულებანი, თბ., 1963.
- მ. — სახარება მათჴსი. — იხ. იოვანე.
- მაჩაბ. თარგმ. — შექსპირი უილიამ, ტრაგედიები, ივანე მაჩაბლის თარგმანი, 1940, წ. I.
- ს. მგალ. — მგალობლიშვილი სოფრომ, რჩეული მოთხრობები, თბ., 1963.
- მ. სწ. მამათა სწავლანი, X და XI ს.—თა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილ. აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1955.
- ნინ. — ეგნატე ნინოშვილი, თხზ., სრ. კრებ., IV გამოც., ტ. I, ტფილისი, 1932.
- პატ. — შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, I, ქართული პატერიკის ერთი ძველი რედაქციის ექვთიმე ათონელის თარგმანი — XI საუკუნის ხელნაწერის მიხედვით., 1966, II ანბანურ-ანონიმური პატერიკები, 1974, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მ. დვალმა.
- რუსულ. — რუსულდანიანი, ილ. აბულაძისა და ივ. გვიგინიშვილის რედაქციით, თბ., 1957.
- სინ. — სინური მრავალთავი, 864 წლისა, ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1959.
- სევან. ანდ. — ალექსი დავითიანი, სევანური ანდაზები, ა. შანიძისა და მ. ქალდანის რედაქციით, თბ., 1973.
- ფს. — ფსალმუნის ძველი ქართული ენის რედაქციები X—XIII საუკუნის ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა მზ. შანიძემ, თბ., 1960.
- ფურტ. — ფურტელაძე ანტონ, რჩეული ნაწერები, თბ., 1951.
- ქგლ. — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I—VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950—1964 წწ.
- ქ. დილალ. — ი. გვიგინიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1974.
- ქ. ს. ძეგ. — ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, 1977.
- ქ. ცხ. — ქართლის ცხოვრება, ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით გამოსცა პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა, I, 1955, II, 1959.
- ყაზბ. — ყაზბეგი ალექსანდრე, თხზულებანი ორ ტომად, 1962.

- ყიფ. — აპულეუსი, ოქროს ვირი, მეტამორფოზები, თბ., 1963, თარგმნა თ. ყიფიანმა.
- შატბ. კრ. — შატბერდის კრებული X საუკუნისა, ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, I, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979.
- წერ. — წერეთელი გიორგი, თხზულებანი, თბ., ტ. II, 1948.
- ჰილ. — ჰილაძე ოთარ, „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, თბ., 1975.
- ხალხ. — ქართული ხალხური პოეზია, შემდგენელი ელ. ვირსალაძე, თბ., 1974.
- ხორგ. — ხორგუაშვილი გიორგი, „წითელი ხარი“, პიონერის ბიბლიოთეკა, I — (8), 1976.

შ ი ნ ა რ ს ი

I. გარდამავლობის რაობისათვის	3
II. გარდამავლობის საპითხი ქართული ენის კრატტიკულ გრამატიკებში	12
ა) გარდამავლობის სემანტიკური რაობისათვის	12
ბ) გარდამავლობის სინტაქსური დახასიათება	19
III. გარდამავლობა თანამედროვე ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში	26
IV. ქართველური ზენის ატიურობის ჰიკოთეზა	34
V. გარდამავლობა-გარდაუვალობა და „ვინ“ და „რა“ ჯგუფის სახელთა დაპირისპირება ქართულში	37
ა) ზმნური ლექსიკური დუბლეტები ქართულში	37
ბ) ერთი გამონაკლისი კითხვითი „რა“ ნაცვალსახელის ხმარებაში	44
გ) „ვინ“ და „რა“ კითხვითი ნაცვალსახელების ზოგიერთი თავისებურება ზმნასთან შეხამებისას	49
VI. გარდამავლობის სინტაქსური მახასიათებლები ქართულში (უახლოესი ობიექტი, სუბიექტი)	58
1) გარდამავლობა და უახლოესი ობიექტი	59
ა) უახლოესი ობიექტის ელიფსი შესიტყვებაში (ანალი ქართულის მიხედვით)	59
ბ) უახლოესი ობიექტის ელიფსი შესიტყვებაში (ძველი ქართულის მიხედვით)	73
2) გარდამავლობა და სუბიექტი. სუბიექტის ელიფსი გარდამავალი ზმნის შესიტყვებაში	90
VII. გარდამავლობის მორფოლოგიური მახასიათებლისათვის	94
VIII. გარდამავალ ზმნათა გამოყენება სტატისტიკური ზმნების ნაკლული კარადიზმის შესავსებად	108
ძირითადი დასკვნები	117
Резюме	119
შეშოკლებათა განმარტება	120

МУРМАН СТЕПАНОВИЧ СУХИШВИЛИ

ПЕРЕХОДНЫЕ ГЛАГОЛЫ В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Некоторые вопросы системы и истории

(на грузинском языке)

Тбилиси
«Мецниереба»
1986

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3009

გამომცემლობის რედაქტორი გ. გოგიავა
მხატვრული რედაქტორი ი. სიხარულიძე
ტექნიკური რედაქტორი ნ. ოკუჯავა
კორექტორი ე. გოგიავა

გადაეცა წარმოებას 29.1.1986; ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.5.1986;
ქალაქის ზომა 60×90/16; ქალაქი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდო თაბახი 7.8;
პირ. სალ.-გატ. 7.9; სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 6.8;
უე 01145; ტირაჟი 1500; შეკვეთა № 100;
ფასი 1 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19